



შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში

შუახვევის ჰიდროელექტროსადგური  
EBRD-ის პროექტის ნომერი 45335  
საქმე 2019/01

მაისი, 2022

**პროცედურის შესახებ:**

2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის (PAP) გარდამავალი დებულებების შესახებ ნაწილში V აღნიშნულია, რომ PAP-ის ძალაში შესვლის თარიღისთვის მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, „IPAM-ის ხელმძღვანელი, საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, განსაზღვრავს პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) პროცედურული წესების შესაბამისად დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი, შესაბამისობის მიმოხილვა, უნდა დასრულდეს პროექტის გასაჩივრების მექანიზმის დანიშნული ექსპერტის მიერ თუ უნდა დაექვემდებაროს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის დებულებებს, უკვე განხორციელებული მიმოხილვის მოცულობის (და ხანგრძლივობის) და ასევე იმის გათვალისწინებით, უკვე გამოიტანა თუ არა პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ექსპერტმა რაიმე დასკვნა.“

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, IPAM-ის ხელმძღვანელმა 2020 წლის ივლისში დაადგინა, რომ მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით - 2019/01 შუახვევი ჰესი (45335) - დანიშნულმა PCM ექსპერტმა, ნილ პოპოვიჩმა უნდა დაასრულოს შესაბამისობის მიმოხილვის პროცესი 2014 წლის პროექტის საჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების შესაბამისად, რადგან იმ დროსათვის მას უკვე განხორციელებული ჰქონდა მიმოხილვის არსებითი ნაწილი და გამოტანილი შესაბამისი დასკვნები. ამრიგად, წინამდებარე შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში, მისი დასკვნები და შესაბამისობის განსაზღვრებები შეესაბამება 2014 წლის პროცედურების წესებს და წარმოადგენს PCM ექსპერტის პასუხისმგებლობას.

ამის მიუხედავად, IPAM-ის ხელმძღვანელმა სთხოვა IPAM-ის გუნდს დოკუმენტის განხილვა და ზოგიერთი აზრის რედაქტირება, რომლებიც შეეხება კონფიდენციალურ ინფორმაციას, ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის და/ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის თანახმად, ვითარების შესაბამისად. შედეგად, ამ გადახედვასთან (შესწორებასთან) დაკავშირებული ნებისმიერი შეცდომა ან გამოტოვება არის IPAM-ის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, პროცესის ნებისმიერი შეფერხება 2020 წლის ივლისიდან მოყოლებული, ასევე არის IPAM ოფისის პასუხისმგებლობა.

<p>საკონტაქტო ინფორმაცია პროექტის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი პირველი საფონდო ბიჩუის მოედანი, ლონდონი გაერთიანებული სამეფო, საფოსტო ინდექსი EC2A 2JN ტელ: +44 (0)20 7338 6000</p>	<p>პროექტების გასაჩივრების მექანიზმში (IPAM) მომართვის წესი  EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის, სოციალურ ან საჯაროობის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით, ან მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით</p>
--	---

## სარჩევი

მოკლე შეჯამება .....	5
პროექტი: .....	5
მოთხოვნა: .....	5
შესაბამისობის მიმოხილვის მოცულობა და მეთოდოლოგია: .....	5
დასკვნები და რეკომენდაციები:.....	6
1. საქმის გაცნობა.....	9
1.1. მოთხოვნაში მოხსენიებული პროექტი.....	9
1.2. საქმის მხარეები.....	10
1.3. მოთხოვნა.....	10
2. საქმის წარმოება და შესაბამისობის მიმოხილვის მეთოდოლოგია .....	11
2.1. შესაბამისობის მიმოხილვის მიზნები.....	11
2.2. საქმის წარმოება შესაბამისობის მიმოხილვამდე.....	12
2.3. შესაბამისობის მიმოხილვის მეთოდოლოგია .....	14
3.1 ვალდებულებები 2008 წლის ESP-ის და PR-ების გამოყენებისას.....	18
3.2 EBRD-ის გარემოს დაცვის და სოციალური წინასწარი კვლევების მიმოხილვა	21
5. შესრულების მოთხოვნები 4 (PR4): თემის ჯანდაცვა, უსაფრთხოება და უშიშროება	36
7. შესრულების მოთხოვნები 6 (PR6): ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა .....	52
8. შესრულების მოთხოვნა 10 (PR10): ინფორმაციის გაზიარება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.....	62
9. შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები და რეკომენდაციები.....	75

## აბრევიატურების სია

AGL	შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (AGL ან კლიენტი)
ADB	აზიის განვითარების ბანკი
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
BWS	ბალკანეთის ველური ბუნების საზოგადოება
CEMP	სამშენებლო გარემოს დაცვის მართვის გეგმა
CAP	მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESAP	გარემოს დაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESD	EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
ESDD	გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების წინასწარი კომპლექსური შესწავლა (კვლევა)
EHS	გარემოს დაცვა, ჯანდაცვა და უსაფრთხოება
ESIA	გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESMP	გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (2008)
EU	ევროპის კავშირი
FAQ	ხშირად დასმული კითხვები
GIP	კარგი საერთაშორისო პრაქტიკა
GWh	გიგავატი
HEP	ჰიდროელექტრო პროექტი
HPP	შუახვევის ჰიდროელექტროსადგური
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
LALRP	მიწის შექმნისა და საარსებო საშუალებების (წყაროს) აღდგენის გეგმა
LTA	მსესხებლების ტექნიკური მრჩეველი
MW	მეგავატი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
PIC	საჯარო ინფორმაციის ცენტრი
PIP	EBRD-ის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა
PR	შესრულების მოთხოვნები
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SPV	სპეციალური დანიშნულების კომპანია/იურიდიული პირი
SPS	დაცვის პოლიტიკის განცხადება
TOR	ტექნიკური დავალება
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

## მოკლე შეჯამება

### პროექტი:

PCM-მა 2018 წლის 16 ივლისს მიიღო საჩივარი CEE Bankwatch-ისგან და „მწვანე ალტენატივისგან“ საქართველოს რესპუბლიკაში EBRD-ის შპს აჭარისწყალი ჯორჯიასთვის (AGL) გამოყოფილი 86.5 მილიონ აშშ დოლარამდე (63.7 მილიონი ევრო) სესხთან დაკავშირებით - შუახევის ჰიდროელექტროსადგურის (45335) დაფინანსების, განვითარებისთვის, მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის მდინარე აჭარისწყალზე (პროექტი). შუახევის ჰესის დადგმული სიმძლავრეა 185 მეგავატი, სავარაუდო ელექტროენერჯის გამომუშავება 452 გიგავატ/საათი. ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს ჰესს ორ წყალსაცავში სადღეღამისო შენახვის შესაძლებლობით, რაც პროექტს საშუალებას აძლევს წყალი შეინახოს 12 საათამდე და ელექტროენერჯია გაყიდოს პიკური მოთხოვნის დროს. სესხი დაამტკიცა EBRD-ის საბჭომ 2014 წლის 30 აპრილს და ამ ანგარიშის მომზადების დროს სესხი დაფარვის პროცესში იყო.

### მოთხოვნა:

EBRD-მა შეაჩერა საჩივრის რეგისტრაცია 2018 წლის 27 ივლისს, რადგან წამოჭრილი საკითხები გონივრულად იყო დაკავშირებული ადრე წარდგენილ PCM საქმესთან, რომელიც გადიოდა პრობლემის მოგვარების ინიციატივას.<sup>1</sup> PCM-მ დაადგინა, რომ წინამდებარე საჩივარი აკმაყოფილებდა PCM-ის სარეგისტრაციო მოთხოვნებს 2019 წლის 18 თებერვალს და საბჭომ დაამტკიცა ბ-ნი ლუკ ზანდელიეტის დანიშვნა საგანგებო PCM ექსპერტად შესაფერისობის თანაშემფასებლად, PCM ოფიცერთან ერთად, 2019 წლის 1 მარტს. 2019 წლის ივლისში, დასაშვებობის შემფასებლებმა დაადგინეს, რომ საჩივარი დასაშვებია შესაბამისობის განხილვისთვის. 2019 წლის აგვისტოში, PCM-მა დანიშნა ნილ ა.ფ. პოპოვიჩი საგანგებო PCM შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტად.

### შესაბამისობის მიმოხილვის მოცულობა და მეთოდოლოგია:

PCM შესაბამისობის მიმოხილვა მოიცავდა საჯარო დომენის პროექტის ინფორმაციისა და შიდა დოკუმენტების, ასევე, მომჩივანთა და AGL-ის მიერ მოწოდებულ დოკუმენტების მიმოხილვას. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი მონაწილეობდა ბანკის მენეჯმენტთან საკონფერენციო ზარებში. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასევე მონაწილეობდა

---

<sup>1</sup> საჩივარი, რომელშიც ითხოვდნენ პრობლემის მოგვარების ინიციატივის დაწყებას, დარეგისტრირდა 2018 წლის მარტში.

საკონფერენციო ზარებში მომჩივანებთან და AGL-თან. 2019 წლის ოქტომბერში, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა, PCM ოფიცრის თანხლებით, განახორციელა საქართველოში ვიზიტი. ადგილზე ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების მაცხოვრებლებთან, მომჩივან „მწვანე ალტერნატივასთან“ და AGL-ის წარმომადგენლებთან.

### დასკვნები და რეკომენდაციები:

მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა პროექტის პოტენციურ გარემოზე და სოციალური ზემოქმედების არაადეკვატურ შეფასებას, პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური კომპონენტების არაადეკვატურ მონიტორინგს, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის არაადეკვატურ შეფასებას და მონიტორინგს და ინფორმაციის გამჟღავნებასა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მხრივ ხარვეზებს. კერძოდ, როგორც დადგინდა იქნა დასაშვებობის შემფასებლების მიერ, მომჩივნებმა გამოავლინეს 16 საკითხი –

1. ახორციელებდა თუ არა, EBRD პროექტის მუდმივ მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტის დოკუმენტებში შეტანილი გარემოს დაცვისა და სოციალური კომპონენტები, როგორცაა გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელება (ESAP) არსებითად ყოფილიყო დაცული. [2008 ESP, ¶¶ 35 & 36.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკის მიერ პროექტის მონიტორინგი, ESAP-ის განხორციელების ჩათვლით, აკმაყოფილებს ბანკის 2008 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (ESP) მოთხოვნებს.
2. შეასრულა თუ არა EBRD-მა, PR 1-ის (გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასება და მართვა) ვალდებულებები, რათა უზრუნველყო პოტენციური გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების შეფასება პროექტის გავლენის ზონის კონტექსტში. [PR 1.6.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ იმის გამო, რომ ESIA და სხვა პროექტის დოკუმენტები მკაფიოდ და თანმიმდევრულად არ იდენტიფიცირებენ პროექტის გავლენის არეალს, ბანკი არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარემოზე და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედება შეფასებულიყო პროექტის სრული გავლენის არეალის კონტექსტში.
3. დაადასტურა თუ არა EBRD-მა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჯგუფების იდენტიფიცირების ფაქტები (მაგ., პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალები) და ESAP მოიცავდა თუ არა დიფერენცირებულ ზომებს მათ დასაცავად. [PR 1.14.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) გამოყენების შედეგად, ESAP მოიცავს დიფერენცირებულ ზომებს ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაცავად.
4. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ ESAP პასუხობდეს პროექტის გარემოებების ცვლილებებს, გაუთვალისწინებელ მოვლენებს და მონიტორინგის შედეგებს. [PR 1.15.]

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ESAP, მათ შორის ESMP-ის გათვალისწინების გზით, რეაგირებს პროექტის გარემოებების, გათვალისწინებულ მოვლენებსა და მონიტორინგის შედეგებზე ცვლილებებზე.

5. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ AGL-ს დააწესებინა პროცედურები გარემოს დაცვის და სოციალურ დებულებებთან, მათ შორის, ESAP-თან შესაბამისობის მონიტორინგისა და გაზომვის/შეფასების მიზნით. [PR 1.20.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-ს დაეწესებინა პროცედურები გარემოს დაცვის და სოციალურ დებულებებთან, მათ შორის, ESAP-თან შესაბამისობის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.
6. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენებული ყოფილიყო AGL-ის მუშაობის კორექტირებისთვის და/ან გასაუმჯობესებლად. [PR 1.21.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენებული იყო AGL-ის მუშაობის გამოსწორებისა და გაუმჯობესების მიზნით.
7. შეასრულა თუ არა EBRD-მა თავისი ვალდებულებები, უზრუნველყო AGL-ის მიერ ყოვლისმომცველი გეოლოგიური კვლევები ჩატარება პროექტის დიზაინისა და მშენებლობის დროს. [PR 4.7, PR 4.10 & PR 4.11.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ AGL-ის მიერ განხორციელებულიყო ყოვლისმომცველი გეოლოგიური კვლევები პროექტის დიზაინისა და მშენებლობის დროს.
8. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ AGL-ს გამოევიდინა პოტენციური არასასურველი გავლენა ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მათ შორის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მუდმივ ჩართულობის და მატერიალური ცვლილებების წინასწარი განხილვის გზით. [PR 4.8.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-ს გამოევიდინა პოტენციური უარყოფითი გავლენა ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე თანმიმდევრულად. მათ შორის, პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით.
9. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ AGL-ს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებისათვის ეცნობებინა პროექტის რისკებისა და პოტენციური ზემოქმედების შესახებ. [PR 4.9.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-ს ეცნობებინა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებისათვის პროექტის რისკების, პოტენციური ზემოქმედებისა და სარგებლობის შესახებ.
10. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ AGL-ს მიეღო ზომები ბუნებრივი საფრთხით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად, როგორცაა მეწყერი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტისთვის მიწის გამოყენების ცვლილების შედეგად. [PR 4.15.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ

AGL-ს მიეღო ზომები ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად, როგორცაა მეწყერი.

11. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ AGL-ს თავიდან აეცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა პროექტის უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ წყალზე, მცენარეულობასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც გამოიყენება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მიერ. [PR 4.16.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა არ უზრუნველყო, რომ AGL-ს თავიდან აეცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა პროექტის უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ წყლის რესურსებზე.
12. დაადასტურა თუ არა EBRD-მა, რომ AGL ადეკვატურად აღწერდა ბიომრავალფეროვნების რისკებს შეფასების პროცესის მეშვეობით. [PR 6.6 & PR 6.8.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა დაადასტურა, რომ AGL ადეკვატურად აღწერდა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ რისკებს შეფასების პროცესის მეშვეობით.
13. ახორციელებდა თუ არა EBRD ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ეფექტიან მონიტორინგს, რათა არ დაკარგულიყო ბიომრავალფეროვნება. [PR 6.8.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკი აკვირდებოდა ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას, თუმცა, ბანკი ყოველთვის (შესაძლოა იმიტომ, რომ ვერ ახერხებდა) არ უზრუნველყოფდა, რომ პროექტი განხორციელებულიყო ბიომრავალფეროვნების ნულოვანი დანაკარგით.
14. უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, პროექტის განხორციელების დროს, რომ AGL-ს მიეწოდებინა მიმდინარე/უახლესი ინფორმაცია გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებისათვის. [ESP #7, PR 10.3, PR 10.15 & PR 10.21.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-ს მიეწოდებინა მიმდინარე და უახლესი ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისათვის გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებებთან დაკავშირებით პროექტის განხორციელების დროს.
15. შეასრულა თუ არა EBRD-მა თავისი ვალდებულებები - უზრუნველყო, რომ AGL-ს სათანადოდ გამოევიდინა დაინტერესებული მხარეები პროექტის განხორციელების დროს, მათ შორის, ყოფილიყო მნიშვნელოვანი ჩართულობა არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებ და მოწყვლად ადამიანებთან პროექტის მომზადებისა და განხორციელების ეტაპებზე. [PR 10.8, PR 10.9, PR 10.12, PR 10.13 & PR 10.15.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა შეასრულა თავისი ვალდებულებები, რომ AGL-ს სათანადოდ გამოევიდინა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები პროექტის განხორციელებისას.



16. დაადასტურა თუ არა EBRD-მა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებთან კონსულტაციები ჩატარდა ინკლუზიური და კულტურულად შესაბამისი გზით. [PR 10.11, PR 10.15 & PR 10.16.] შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა დაადასტურა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებს კონსულტაციები გაუწიეს ინკლუზიურად და სათანადო ფორმით.

## 1. საქმის გაცნობა

### 1.1. მოთხოვნაში მოხსენიებული პროექტი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დირექტორთა საბჭომ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი 2014 წლის 30 აპრილს დაამტკიცა და გასცა სესხი 86.5 მილიონი დოლარის (63.7 მილიონი ევრო) ოდენობით. პროექტის სრული ღირებულებაა 417 მილიონი დოლარი (307 მილიონი ევრო) შუახევის ჰესის განვითარების, მშენებლობისა და ოპერირების დასაფინანსებლად. ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდინარე აჭარისწყალზე. შუახევის ჰესის დადგმული სიმძლავრეა 185 მეგავატი, სავარაუდო ელექტროენერგიის გამომუშავება 452 გიგავატ/საათი. ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს ჰესს ორ წყალსაცავში სადღეღამისო შენახვის შესაძლებლობით, რაც პროექტს საშუალებას აძლევს წყალი შეინახოს 12 საათამდე და, შესაბამისად, ელექტროენერგია გაყიდოს პიკური მოთხოვნის დროს.

კლიენტი, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ არის სპეციალური დანიშნულების იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა მდინარე აჭარისწყალზე სამი ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის მიზნით, რომელთაგან პირველი შუახევის ჰესია. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ფლობენ „ელინ ენერჯი ინვესტი“ AS (40%); „ტატა ფაუერი“ (40%); და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის Infraventures (20%).

პროექტს მინიჭებული აქვს კატეგორია A EBRD-ის 2008 წლის გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკის (ESP) შესაბამისად. პროექტი მოიცავს ორ კაშხალს, რომელთა სიმაღლეა, 39 მეტრი და 22 მეტრი, შესაბამისად, თითოეული აღემატება 15 მეტრის სიმაღლეს, რომელიც მითითებულია ESP-ის 1-ლ დანართში (2008), როგორც A კატეგორიის ზღურბლზე მიმანიშნებელი.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> პროექტი თავდაპირველად განიხილავდა მეორე კაშხლის აშენებას კორომხეთში, ხოლო მესამის - ხერთვისში. ბანკისგან დაფინანსება მხოლოდ შუახევის სქემამ მიიღო და AGL-მა დაადასტურა, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და გარემოს დაცვის რისკების გამო, ხერთვისის სქემას პროექტის ფარგლებში არ გააგრძელებს.

პროექტი საქართველოსა და თურქეთის ენერჯისტიკებს ელექტროენერჯით მოამარაგებს გადამცემი ხაზების მეშვეობით, რომლებიც ცალკე პროექტის სახით აშენდება. მოსალოდნელია, რომ პროექტიდან გამომდინარე ელექტროენერჯის უმეტესი ნაწილი ექსპორტირებული იქნება თურქეთში.

## 1.2. საქმის მხარეები

2018 წლის 16 ივლისს CEE Bankwatch-მა და „მწვანე ალტერნატივამ“ პროექტთან დაკავშირებით საჩივარი წარუდგინეს EBRD-ის პროექტის გასაჩივრების მექანიზმს (PCM). მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ადგილი ჰქონდა EBRD-ის 2008 წლის გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკასთან (ESP) შეუსაბამობას. საჩივარი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ESIA-სა და წინასწარი ტექნიკურ-ფინანსური კვლევის თანმიმდევრულობას, პროექტის განხორციელებასა და პროექტის მონიტორინგის პროცესებს, მათ შორის, გამოთქმულია შეშფოთება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ადეკვატურობასთან, ქალთა, როგორც მოწყვლადი ჯგუფის დაცვის ღონისძიებებთან და ბიომრავალფეროვნების ღონისძიებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

## 1.3. მოთხოვნა

PCM-მა შეაჩერა საჩივრის რეგისტრაცია 2018 წლის 27 ივლისს, რადგან საჩივარში წამოჭრილი საკითხები გონივრულად იყო დაკავშირებული PCM-ის სხვა საქმესთან, რომელიც გადიოდა პრობლემის მოგვარების ინიციატივას, რომელიც წარდგენილი იყო პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის წევრების მიერ და დარეგისტრირდა PCM-ის მიერ ოთხი თვით ადრე, 2018 წლის მარტში.<sup>3</sup> 2018/03 წლების საჩივრის პრობლემის გადაჭრის ინიციატივის მიმდინარეობისას, 2019 წლის 18 თებერვალს PCM-მ დაადგინა, რომ წინამდებარე საჩივარი აკმაყოფილებს PCM-ის რეგისტრაციის მოთხოვნებს. 2019 წლის 1 მარტს, ბ-ნი ლუკ ზანდვლიეტი საბჭომ დაინიშნა PCM-ის საგანგებო ექსპერტად, რათა შეესრულებინა თანაშემფასებლის ფუნქცია PCM ოფიცერთან ერთად. EBRD-მა ოფიციალურად უპასუხა საჩივარს 2019 წლის 20 მარტს და 2019 წლის ივლისში დასაშვებობის შემფასებლებმა დაადგინეს, რომ საჩივარი დასაშვებია შესაბამისობის განხილვისთვის.

მათი პასუხის მიხედვით, ბანკი ამტკიცებს, რომ პროექტის ყველა შესაბამისი დოკუმენტი და დაინტერესებული მხარეების აქტივობა ჩატარდა და/ან ინფორმაცია გავრცელდა ESP-ის

---

<sup>3</sup> საჩივარი 2018/03, ხელმისაწვდომია PCM რეესტრში. მსგავსი საჩივრები წარედგინა აზიის განვითარების ბანკის სპეციალური პროექტების ფასილიტატორის ოფისს (OSPF) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესაბამისობის მრჩეველს/ომბუდსმენს (CAO). პრობლემების გადაჭრის ინიციატივა იყო CAO-სა და PCM-ის (მექანიზმების) მიერ, და OSPF-ი, რომელიც პროცესზე დამკვირვებლის როლს ასრულებდა. საქმე 2018/03 დაიხურა 2020 წლის ბოლოს, მხარეთა შეთანხმების გარეშე.

შესაბამისი დებულებების შესაბამისად. ბანკის ხელმძღვანელობამ აიღო ვალდებულება მიაწოდოს დოკუმენტაცია და დამხმარე ინფორმაცია, PCM-ის მიერ, საჭიროებისამებრ, ESP-თან შესაბამისობის დასადასტურებლად.

AGL-მა საჩივარზე ორჯერ წერილობითი პასუხი გასცა.<sup>4</sup> AGL აცხადებს, რომ პროექტის დიზაინი, ზემოქმედების შეფასება და სათანადო წინასწარი კვლევები იყო ადეკვატური და შეესაბამებოდა EBRD-ის მოთხოვნებს. AGL ასევე აცხადებს, რომ იგი ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის განმავლობაში, კერძოდ, მათ შორის ღონისძიებების გატარების მიზნით, რათა უზრუნველყო ქალების მონაწილეობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში. AGL ამტკიცებს, რომ საჩივარში შეტანილი განცხადებები არის „არასწორი, მცდარი და არასწორად წარმოდგენილი“ და რომ მომჩივნები არ ცდილობდნენ თავიანთი შეშფოთება პირდაპირ AGL-თან დაეფიქსირებინათ.

დასაშვებობის შემფასებლებმა გამოსცეს დასაშვებობის შეფასების ანგარიში 2019 წლის 23 ივლისს (საჯაროდ გაზიარდა 2019 წლის 25 ივლისს), რომელშიც მათ საჩივარი მიიჩნიეს შესაბამისობის განხილვისთვის შესაფერისად. 2019 წლის 30 ივლისს საბჭომ დანიშნა ნილ ა.ფ. პოპოვიჩი PCM-ის საგანგებო ექსპერტად შესაბამისობის მიმოხილვის ჩასატარებლად.

## 2. საქმის წარმოება და შესაბამისობის მიმოხილვის მეთოდოლოგია

მომჩივნებმა მოითხოვეს პროექტის შესაბამისობის მიმოხილვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასების ადეკვატურობის შესაფასებლად, მათ შორის, იმის დასადგენად - უზრუნველყოფდა თუ არა EBRD გენდერულ თანასწორობას და ქალთა, როგორც დაუცველი ჯგუფის, სათანადო დაცვას. მომჩივნებმა ასევე მოითხოვეს ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის ღონისძიებების ადეკვატურობის განხილვა.

PCM დასაშვებობის შემფასებლებმა შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დაადგინეს, რომ საჩივარი იყო შესაფერისი შესაბამისობის მიმოხილვისთვის.

### 2.1. შესაბამისობის მიმოხილვის მიზნები

#### A. მიმოხილვის მოცულობა

დასაშვებობის შემფასებლებმა მოამზადეს დასაშვებობის შეფასების ანგარიში წესებით და პირობებით, რომელშიც მითითებულია შესაბამისობის განხილვის მასშტაბი ზემოთ

<sup>4</sup> ორივე პასუხის თარიღია 14 მარტი, 2019.

ჩამოთვლილი 16 საკითხის გადასაჭრელად. წესები და პირობები გულისხმობს ბანკის ვალდებულებებს შემდეგ სფეროებში:

- **ზოგადი ვალდებულებები 2008 წლის ESP-ით.** მონიტორინგის ადეკვატურობა 2008 წლის ESP-ის 35-ე და 36-ე პუნქტებით.
- **PR1: გარემოს დაცვის და სოციალური შეფასება და მართვა.** გარემოს დაცვის და სოციალური შეფასების და მენეჯმენტის ადეკვატურობა PR1-ის ფარგლებში, მათ შორის პროექტის გავლენის არეალი (PR1.6), არახელსაყრელ პირობებში მყოფი ან დაუცველ დაინტერესებულ მხარეთა გათვალისწინება (PR1.14), პროექტის გარემოებებში ცვლილებების აღიარება (PR1.15), პროექტის ESAP-თან შესაბამისობის მონიტორინგისა და გაზომვის პროცედურები (PR1.20) და პროექტის მონიტორინგის შედეგების გამოყენება.
- **PR4: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, უსაფრთხოება და უშიშროება.** თემის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და უშიშროება, მათ შორის, გეოლოგიური კვლევების ადეკვატურობა და ასეთი კვლევების გათვალისწინებით მიღებული ზომები (PR4.4, 4.7, 4.10 და 4.11), შესაბამისი პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის (PR4.8), პროექტის რისკების და სამოქმედო გეგმების გაცნობა ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის (PR4.9), ზომების ადეკვატურობა ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილების ან გამწვავების შესამცირებლად (PR4.15) და ადგილობრივ წყალზე, მცენარეულობასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე პროექტის ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფა (PR4.16).
- **PR6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.** ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, მათ შორის, დადასტურება იმისა, რომ AGL-მა სრულად დაახასიათა რისკები და ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე და შეიმუშავა ზომები უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმაციის ან შერბილების მიზნით (PR6.6 და 6.8) და ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი. PR6.8).
- **PR10: ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.** მათ შორის AGL-ის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის მიმდინარე და უახლესი ინფორმაციის მიწოდება (ESP #7, PR10.3, 10.15 და 10.21), რაც უზრუნველყოფს AGL-ის სათანადოდ იდენტიფიცირებას და ჩართულობას დაინტერესებულ მხარეებთან. PR10.8, 10.9, 10.12, 10.13 და 10.15) და ადასტურებს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებთან სათანადო კონსულტაციები ჩატარდა (PR10.11, 10.15 და 10.16).

## 2.2. საქმის წარმოება შესაბამისობის მიმოხილვამდე

2013 წლის 9 აგვისტოს გარემოს დაცვის და სოციალური წინასწარი კვლევის (ESDD) ფარგლებში, ბანკმა მოამზადა ხარვეზების ანალიზი განსახორციელებელი ქმედებების დასადგენად, რათა უზრუნველყო, რომ პროექტი შეესაბამებოდა ბანკის 2008 წლის ESP-ს.<sup>5</sup> ბანკმა დააფიქსირა ხარვეზის ანალიზი შესრულების მოთხოვნების შესაბამისობის მატრიცის ცხრილში, რომელიც შედის ESDD-ში. რაც შეეხება საჩივარს, ხარვეზების ანალიზი ეხება შემდეგ თემებს:

PR1 ხარვეზების ანალიზი რეკომენდაციას უწევს უფრო სტრუქტურირებული გარემოს დაცვის და სოციალური მართვის სისტემის შემუშავებას, ცვლილებების მართვის პროცედურის ჩათვლით, რათა განსაზღვროს, შეაფასოს და შეამსუბუქოს გარემოზე და სოციალური ზემოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის დიზაინსა და მშენებლობაში ცვლილებებთან. ხარვეზების ანალიზი მოუწოდებს AGL-ს დაასრულოს გარემოს დაცვის და სოციალური მართვის სისტემის განვითარება, მათ შორის გარემოს დაცვის და სოციალური ასპექტების რეესტრი, გარემოს გაუმჯობესების გეგმისა და მონიტორინგის დეტალური გრაფიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს სოციალური საკითხების მონიტორინგს.

PR4: AGL-ის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტის გეგმაში მკაფიო მითითება არ მოიძებნა, რომ საჭიროა საზოგადოების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკებისა და პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირება და მართვა პროექტის დიზაინის, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შესვლისა და დეკომისიის შედეგად, ESDD რეკომენდაციას უწევს, რომ AGL-მა უზრუნველყოს ასეთი რისკებისა და პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირება, შეფასება და გამჟღავნება ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილობრივ თემებში. უნდა მოხდეს თემთან კონსულტაცია და ზომების გადახედვა შესაბამისად.

PR6: ESDD ადგენს, რომ შეგროვებული ეკოლოგიური მონაცემები საკმაოდ საფუძვლიანი იყო, მაგრამ შეუძლებელი იყო პროექტის ობიექტებზე ყველა პოტენციური ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირება. ESDD-ში აღნიშნულია პოტენციური ზემოქმედების საკითხი ფლორისა და ფაუნის საფრთხის წინაშე მყოფ და დაცულ სახეობებზე, განსაკუთრებით აღინიშნა პოტენციური ზემოქმედება ფრინველის ცალკეულ სახეობებზე. ხარვეზების ანალიზმა რეკომენდაცია გამოსცა, რომ AGL-მა შეიმუშაოს მონიტორინგის დეტალური გრაფიკი ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებისა და ანგარიშგებისთვის. ESIA-სა და ESMP-ის შესაბამისად, ბანკმა ასევე რეკომენდაცია გაუწია გეგმების მომზადებას და განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს ჰაბიტატების დაცვასა და კონსერვაციას.

PR10: ESDD ანგარიში რეკომენდაციას უწევს ESIA-ს განახლებას გამსესხებლების ყველა მოთხოვნასა და შესრულების სტანდარტებთან დაკავშირებით და დაინტერესებულ მხარეთა

---

<sup>5</sup> იხ. ESDD, § 3.6, გვ. 9.

ჩართულობის გეგმის რესტრუქტურირებას, რათა გამოიკვეთოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომელიც მოიცავს პროექტის ფაზებს, კონკრეტულ თარიღებს, ადგილებს, ინფორმაციის გამჟღავნების მეთოდებს და პასუხისმგებელი პირებს. ESDD დამატებით რეკომენდაციას უწევს პროექტის ვებგვერდის განახლებას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში დამატებითი აღწერილობის ჩართვას კომუნიკაციის არხებთან და სამომავლო ინფორმაციის გამჟღავნების მეთოდებთან და ქალებთან და დაუცველ ჯგუფებთან კონსულტაციების შესახებ.

### 2.3. შესაბამისობის მიმოხილვის მეთოდოლოგია

საჩივრის ბუნებისა და წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა ჩაატარა შესაბამისობის მიმოხილვა შემდეგი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით:

#### *ნაბიჯი 1*

- **დოკუმენტების მიმოხილვა:** შესაბამისობის მიმოხილვა მოიცავდა პროექტის დოკუმენტების და მეორადი წყაროების ფართო, სიღრმისეულ მიმოხილვას. პროექტის დოკუმენტის მიმოხილვამ მოიცვა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია, ასევე ბანკისა და კლიენტის შიდა დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა პროექტს. მეორადი წყაროების მიმოხილვა მოიცავდა არსებული დოკუმენტების ფართო კვლევას შესაბამის თემებზე, როგორცაა გეოლოგიური ტესტირება, ისტორიული მეწყრული აქტივობა და პროექტის გენდერული გავლენა, ისევე როგორც, მედიის ანგარიშები პროექტის შესახებ. განხილული დოკუმენტების მითითებულია შესაბამისად, შესაბამისობის განხილვის ანგარიშში, EBRD-ის 2014 წლის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის (PIP)<sup>6</sup> თანახმად.
- **მხარეების ჩართულობა:** შესაბამისობის მიმოხილვა მოიცავდა შესაბამის მხარეებთან წერილობით კომუნიკაციას, პირად და ვიდეო და სატელეფონო საუბრებს. ექსპერტი თანამშრომლობდა მოსარჩელებთან, EBRD-ის საბანკო და ESD დეპარტამენტებთან და კლიენტთან. მოსარჩელებსა და ბანკის მენეჯმენტს PCM ექსპერტთან ურთიერთობის თანაბარი შესაძლებლობები მიეცათ.
- **საველე ვიზიტი:** შესაბამისობის მიმოხილვა მოიცავდა 4 დღიან საველე ვიზიტს საქართველოში 2019 წლის ოქტომბერში. საველე ვიზიტი მოიცავდა ჩართულობას დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან: მომხივებთან, კლიენტთან, პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის წევრებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან

<sup>6</sup> შესაბამისობის განხილვის ექსპერტის მიერ განხილული მასალების სია მოცემულია დანართ 2-ში. შესაბამისობის განხილვის პროცესი მოიცავდა EBRD-ის შიდა დოკუმენტაციის განხილვას. EBRD-ის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის შესაბამისად, მხოლოდ შიდა მიზნებისთვის განკუთვნილი დოკუმენტები კონფიდენციალურია.

ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე საჩივრის განხილვის შესახებ ინფორმირების მიზნით.

## ნაბიჯი 2

- შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშის პროექტზე კომენტარების განხილვა: შესაბამისობის განხილვის ანგარიშის პირველი ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ, 2021 წლის მარტში, ბანკის მენეჯმენტს, მოსარჩელებს და კლიენტს მიეცათ კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა. მხარეების მიერ მოწოდებული ყველა კომენტარი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ყურადღებით იქნა განხილული და საჭიროებისამებრ ინტეგრირებული შესაბამისობის მიმოხილვის საბოლოო ანგარიშში.

დოკუმენტის განხილვის, მხარეებთან ურთიერთობისა და ზემოთმოხსენიებული საველე ვიზიტის შედეგად, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტს ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია, რომ შეეფასებინა ბანკის სავარაუდო შეუსაბამობა 2008 წლის ESP-თან პროექტთან მიმართებაში.

შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში განიხილავს საჩივრის თითოეულ კომპონენტს შემდეგი პერსპექტივიდან:

- (i) საჩივარი
- (ii) EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები<sup>7</sup>
- (iii) EBRD-ის პასუხები (მათ შორის EBRD-ის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია)
- (iv) კლიენტის პასუხები (მათ შორის, კლიენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია)

განმეორების თავიდან აცილების მიზნით, როდესაც კონკრეტული საკითხი ან დოკუმენტი განიხილება ან გაანალიზებულია საჩივრის ერთ ელემენტთან დაკავშირებით, ხელახლა ნახსენებია მხოლოდ ძირითადი ნაწილები საჩივრის შესაბამისი ელემენტებისთვის.

### 3. შესაბამისობის მიმოხილვის ჩარჩო

PCM-ის პროცედურული წესების მიხედვით (2014), შესაბამისობის მიმოხილვის მიზანი „იქნება იმის დადგენა, მოჰყვას თუ არა (და თუ ასეა, როგორ და რატომ), EBRD-ის რომელიმე ქმედებას ან უმოქმედობას, დამტკიცებულ პროექტთან დაკავშირებით, EBRD-ის რელევანტურ პოლიტიკასთან შეუსაბამობა და, დადებითად, გამოსასწორებელი ცვლილებებისათვის რეკომენდაციის გაცემა PCM-ის პროცედურული წესების 44 პუნქტის შესაბამისად.“

<sup>7</sup> ვინაიდან პროექტი დამტკიცდა 2014 წლის 30 აპრილს, მოქმედებს ბანკის 2008 წლის ESP.

2008 წლის ESP აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგირება ბანკის პროექტების გარემოზე და სოციალური ზემოქმედებაზე, EBRD-ისა და მისი კლიენტების შესაბამისი როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრით პროექტების შემუშავებაში, განხორციელებასა და ექსპლუატაციაში 2008 წლის ESP-ის და მისი შესრულების მოთხოვნების შესაბამისად (PR-ები). 2008 წლის ESP-ის მე-3 პუნქტის თანახმად, „EBRD შეეცდება თავისი გარემოს დაცვის და სოციალური შეფასების და მონიტორინგის პროცესების მეშვეობით უზრუნველყოს, რომ მის მიერ დაფინანსებული პროექტები იყოს სოციალურად და ეკოლოგიურად მდგრადი; პატივი სცეს ზეგავლენის ქვეშ მყოფი მუშებისა და თემების უფლებებს და ჩამოყალიბებული იყოს და ფუნქციონირებდეს მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის (GIP) შესაბამისად“.

იმისათვის, რომ დაეხმაროს კლიენტებს შეასრულონ 2008 წლის ESP-ის მოთხოვნები და უზრუნველყოს, რომ პროექტები აკმაყოფილებდეს კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (GIP) ეკოლოგიურ და სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, EBRD-მა განსაზღვრა ათი PR, რომლებიც მოიცავს ძირითად გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებს, რომლებიც უნდა განიხილებოდეს პროექტის შემუშავებისას.<sup>8</sup> ეს PR-ები ადგენს დეტალურ მოთხოვნებს, რომლებსაც კლიენტები უნდა აკმაყოფილებდნენ. 2008 წლის ESP-ის მე-3 პუნქტში ნათქვამია: „ამ მიზნის წარმატებულ პრაქტიკულ შედეგებად ქცევის მიზნით, ბანკმა მიიღო კონკრეტული შესრულების მოთხოვნების (PR) ყოვლისმომცველი ნაკრები, რომლებსაც კლიენტები უნდა აკმაყოფილებდნენ, რომელიც მოიცავს გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების ძირითად სფეროებს.“

- 2008 წლის ESP ყველა შემთხვევაში ცალსახად არ აცხადებს ბანკის კონკრეტულ ვალდებულებებს PR-ებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ბანკის ვალდებულებები მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მოიცავს, მინიმუმ, იმაზე ზრუნვას, რომ ბანკის კლიენტებმა დააკმაყოფილონ PR-ები. ამისათვის ბანკის მენეჯმენტმა უნდა შეასრულოს გარემოს დაცვის და სოციალური შეფასების და მონიტორინგის პროცესების მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია 2008 წლის ESP-ში. 2008 წლის ESP დეტალურად აღწერს EBRD-ის როლს და შეფასების მოთხოვნებს (§§ 14-15), მათ შორის:
- „EBRD-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი გადის გარემოს დაცვის და სოციალურ შეფასებას, რათა დაეხმაროს EBRD-ს გადაწყვიტოს უნდა დაფინანსდეს თუ არა აქტივობა და, თუ ასეა, როგორ უნდა მოგვარდეს გარემოს დაცვის და სოციალური საკითხები დაგეგმვის, დაფინანსებისა და განხორციელებისას. EBRD-ის სოციალური და გარემოს დაცვის შეფასება ინტეგრირებულია EBRD-ის პროექტის საერთო

<sup>8</sup> 2008 ESP, ¶ 3.



შეფასებაში, მათ შორის, ფინანსური და რეპუტაციის რისკების შეფასებასა და პოტენციური გარემოს დაცვის ან სოციალური შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში. ეს შეფასება იქნება პროექტის ხასიათისა და მასშტაბის შესაბამისი, გარემოს დაცვის და სოციალური რისკებისა და ზეგავლენის დონის პროპორციული. შეფასება დაადგენს, შესაძლებელია თუ არა, რომ EBRD-ის დაფინანსებით მხარდაჭერილი აქტივობები განხორციელდეს ამ პოლიტიკისა და მისი შესრულების მოთხოვნების (PR) შესაბამისად. კლიენტის პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფა, რომ მოხდეს სათანადო წინასწარი კვლევების ჩატარება, ინფორმაციის გაზიარება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, 1-დან 10-მდე PR-ების შესაბამისად და წარედგინოს EBRD-ს განსახილველად, როგორც მისი შეფასების ნაწილი. EBRD განიხილავს მოწოდებულ ინფორმაციას და მიაწვდის კლიენტს მითითებებს, თუ როგორ შეიძლება პროექტმა დააკმაყოფილოს ბანკის მოთხოვნები.

- EBRD-ის გარემოს დაცვის და სოციალური შეფასება გულისხმობს სამი ძირითადი ელემენტის გათვალისწინებას: (i) პროექტთან დაკავშირებულ გარემოს დაცვის და სოციალურ ზემოქმედებასა და საკითხებს; (ii) კლიენტის უნარსა და ვალდებულებას განახორციელოს პროექტი შესაბამისი PR-ის შესაბამისად; და (iii) მესამე მხარის როლი ამ პოლიტიკასთან შესაბამისობის მიღწევაში.

ამ მოთხოვნების დაცვამ საშუალება უნდა მისცეს ბანკის მენეჯმენტს, რომ ის „შეეცადოს უზრუნველყოს“, რომ კლიენტებმა შეასრულონ PR-ები და პროექტები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესრულდეს 2008 წლის ESP. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბანკის ვალდებულება „შეეცდება უზრუნველყოს“ კლიენტის მიერ PR-ს შესრულება განსხვავდება PR-ს შესრულების „უზრუნველყოფის“ პასუხისმგებლობისგან. „შეეცდება უზრუნველყოს“ ასახავს ბანკის ქცევას კლიენტის მცდელობებთან მიმართებაში, რომ შეასრულოს PR-ები. პასუხისმგებლობა „უზრუნველყოს“ ასახავს ბანკის ვალდებულებებს და ასევე იმ რეალობას, რომ ბანკს არ შეუძლია ყველა შემთხვევაში გარანტირება იმისა, რომ ყველა კლიენტი შეასრულებს PR-ს ყველა თვალსაზრისით. ეს პასუხისმგებლობა უფრო მეტია, ვიდრე ზედაპირული ქმედებები, რომ მხოლოდ ფორმალურად მოხდეს პროცედურული და ოპერატიული მოთხოვნების შესრულების შემოწმება. „შეეცდება უზრუნველყოს“ გულისხმობს, რომ ბანკის მენეჯმენტი გონივრულ ძალისხმევას მიმართავს, რომ მოხდეს:

- კლიენტის გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკისა და პრაქტიკის ნებისმიერი ხარვეზის დადგენა;
- ნაბიჯების ჩამოყალიბება რომლებიც კლიენტმა უნდა გადადგას ამ ხარვეზების გამოსასწორებლად და საბოლოოდ 2008 წლის ESP-ის მოთხოვნების შესასრულებლად; და

- არსებითად განხილვა და მონიტორინგი კლიენტის ძალისხმევის და მუშაობის 2008 წლის ESP მოთხოვნების თანდამიდევრულად შესრულების პროცესში.

ამიტომ, ამ შემთხვევაში, ბანკის შესაბამისობის შეფასება გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის თანდამიდევრულობის შემოწმებას შემდეგ პროცესებში:

- ხარვეზების და მაკორექტირებელი ზომების გამოვლენა, რომლებიც უნდა განხორციელდეს კლიენტის მიერ 2008 წლის ESP PR-ების შესასრულებლად; და
- ამ მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელების მუდმივი, შინაარსიანი მიმოხილვისა და მონიტორინგის გამოყენება.

### 3.1 ვალდებულებები 2008 წლის ESP-ის და PR-ების გამოყენებისას

#### 2008 წლის ESP-ით განსაზღვრული ზოგადი ვალდებულებები

**საკითხი 1:** ახორციელებდა თუ არა, EBRD პროექტს მუდმივ მონიტორინგს, რომ სამართლებრივ შეთანხმებებში შეტანილი გარემოს დაცვის და სოციალური კომპონენტები, როგორცაა გარემოს დაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელება, არსებითად ყოფილიყო დაცული? იყო თუ არა EBRD-ის მონიტორინგის მასშტაბი პროექტის საკითხების, ზემოქმედებისა და შესაბამისობის მოთხოვნების შესაბამისი? (პარ. 35 და 36)

#### a. საჩივარი

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკმა არ მოახდინა პროექტის ადეკვატური მონიტორინგი და არ უზრუნველყო პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური კომპონენტების, როგორცაა ESAP-ის განხორციელება, არსებითად შესრულება. მომჩივნები ასევე ამტკიცებენ, რომ ბანკის მონიტორინგი არ იყო პროექტის საკითხებთან, ზემოქმედებასთან და შესაბამისობის მოთხოვნებთან შესაბამისი.

#### b. ბანკის პასუხი

ბანკი აცხადებს, რომ იგი აქტიურად ახორციელებდა პროექტის განხორციელების მონიტორინგს მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში და დარწმუნებულია, რომ PR-ები შესრულდა.

#### c. კლიენტის პასუხი

AGL ამტკიცებს, რომ მან შეასრულა პროექტი „მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და ძლიერი სოციალური ეფექტურობით, რომელიც შემუშავდა და მონიტორინგი განხორციელდა

გამსესხებლებთან პარტნიორობით პროექტის განხორციელების დროს.“ AGL ასევე აცხადებს, რომ მან ჩაატარა შეხვედრები „ყველა სამუშაო სფეროში“ პროექტის საოპერაციო ფაზის დაწყებამდე, მათ შორის საინფორმაციო სესიები და უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების შეხვედრები, და რომ შეხვედრების ჩანაწერები „რეგულარულად მოწმდება გამსესხებლების გუნდების მიერ პერიოდული მონიტორინგის ვიზიტების დროს.”

AGL ამტკიცებს, რომ პროექტი 2013 წლიდან გადის მდინარის ჰაბიტატების მონიტორინგს. AGL-ის თანახმად, „მონიტორინგი ტარდება 15 ლოკაციაზე წელიწადში 4-ჯერ დაბალი და მაღალი წყალდიდობის პერიოდში. მონიტორინგი მოიცავს დოკუმენტების ანალიზს, საველე კვლევებს, ლაბორატორიულ ანალიზს და ანამნეზს“. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი მოიცავს თევზსავალის მონიტორინგს, წავის მონიტორინგს და ბუდეების მონიტორინგს.

დ. EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (ESP ¶¶ 35 & 36)

ESP ¶ 35:

35. მონიტორინგს ახორციელებს როგორც კლიენტი, ასევე ბანკი. მონიტორინგის მასშტაბები შესაბამისი იქნება პროექტის საკითხებთან, ზემოქმედებასთან და შესაბამისობის მოთხოვნებთან და კლიენტის და/ან ადგილობრივი ხელისუფლების უნარებთან, ადეკვატურად გააკონტროლონ და მართონ ეს საკითხები და ზემოქმედება. თითოეული პროექტისთვის, ბანკი კლიენტთან ერთად განსაზღვრავს მონიტორინგის პროგრამას PR 1-ის ან PR 9-ის შესაბამისად, შესაბამისი მონიტორინგის ინსტრუმენტების მითითებით, სათანადო წინასწარი კვლევების, ნებისმიერი საჯარო კონსულტაციის შედეგებზე და კლიენტთან დადებულ სამართლებრივ ხელშეკრულებების ჩარჩოზე დაყრდნობით.

ESP ¶ 36:

36. ESAP-ების სათანადო და დროული განხორციელების და შეთანხმებული გარემოს დაცვის და სოციალური შეთანხმებების შესრულების შესამოწმებლად, ბანკი განხორციელებს პროექტების მონიტორინგს მანამ, სანამ ბანკი ინარჩუნებს ფინანსურ ინტერესს პროექტში და გაუზიარებს კლიენტს შედეგებს. მონიტორინგის მექანიზმები, მათ შორის, მოიცავს: (i) კლიენტის მიერ წარდგენილი პერიოდული ანგარიშების განხილვას (მინიმუმ, ყოველწლიურად) ESAP-ის და სხვა გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების განხორციელების შესახებ; (ii) ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური სპეციალისტების ან კონსულტანტების მონიტორინგის მისიებს მნიშვნელოვანი სოციალური და გარემოს დაცვის საკითხებისა და ზემოქმედების მქონე ინვესტიციების დეტალური მიმოხილვის მიზნით, რათა დადგინდეს, ახორციელებს თუ არა კლიენტი ESAP-ს და იცავს გარემოს დაცვის და სოციალურ შეთანხმებებს; და (iii) მესამე მხარის პერიოდული მონიტორინგი,

მაგალითად, დამოუკიდებელი სპეციალისტების ან ადგილობრივი თემის წარმომადგენლების მიერ, წარდგენილი კლიენტისთვის და ბანკისთვის.

**a. დაკვირვებები და დასკვნები**

როგორც ირკვევა, ბანკი, თავის თანაკრედიტორებთან ერთად, ახორციელებდა პროექტს მუდმივ მონიტორინგს მშენებლობის დროს და ოპერირების ფაზაში, მათ შორის 2017 წლის აგვისტოში გვირაბის ნგრევის შემდეგ.<sup>9</sup> გამსესხებლები, ისევე როგორც მესამე მხარის კონსულტანტები რეგულარულად ახორციელებდნენ AGL-ის მიერ პროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებას, როგორც ეს დოკუმენტირებულია მონიტორინგის ანგარიშებში, მათ შორისაა, გარემოს დაცვის და სოციალური მენეჯმენტის საკითხები, რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიცირება, ორგანიზაციული შესაძლებლობები და კომპეტენცია, საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნა და რეაგირება, მონიტორინგი და განხილვა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაბინძურების პრევენცია, ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება, მიწის შესყიდვა და საარსებო წყაროს აღდგენა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მოთხოვნები (მათ შორის ეკო ნაკადის მართვა და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელება), ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის განხორციელების გეგმა.

გამსესხებლებმა გამოავლინეს ნაკლოვანებები AGL-ის მუშაობაში და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. 2016 წლის 7 მარტით დათარიღებულ წერილში გამსესხებლებმა დაადგინეს შეუსაბამობის მრავალი სფერო და მიაწოდეს მაკორექტირებელი ქმედებების სია, რომლებიც საჭიროა AGL-ის საქმიანობის მსესხებლების გარემოს დაცვის და სოციალური მუშაობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. გამსესხებლებმა განაგრძეს პროექტის მონიტორინგი და 2019 წლის 4 თებერვლით დათარიღებული გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის ანგარიშში, დაადგინეს, რომ პროექტი არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან დაკავშირებით. გამსესხებლებმა ასევე დაასკვნეს, რომ პროექტი ნაწილობრივ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს (1) გარემოს დაცვის და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასებასა და მართვასთან დაკავშირებით, (2) შრომისა და სამუშაო პირობების, (3) დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის, და (4) უსაფრთხოება. გამსესხებლებმა ჩამოაყალიბეს მაკორექტირებელი ქმედებების სია, რომელიც უნდა განახორციელოს AGL-მა, მათ შორის მაკორექტირებელი ქმედებების ანგარიშის წარდგენა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესახებ 30 დღის განმავლობაში.

<sup>9</sup> პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს მონიტორინგის ანგარიშებს 2014 წლის მაისიდან 2020 წლის სექტემბრამდე. 2017 წლის 15 აგვისტოს მოხდა გვირაბის ჩამონგრევა სხალთა-დიდაჭარის გადასასვლელ გვირაბში, ასევე დიდაჭარა-შუახევის სათავე გვირაბში. მსხვერპლი და დაშავებულები არ ყოფილან, გარემოს დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. იხილეთ მონიტორინგის ანგარიში 29/05/2017 - 29/01/2018 პერიოდისთვის. გვირაბის ჩამონგრევამ მნიშვნელოვანი შეფერხებები და დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

**d. დასკვნები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკის მიერ პროექტის მონიტორინგი, მათ შორის ESAP-თან შესაბამისობა, აკმაყოფილებს ESP-ის მოთხოვნებს და რომ მონიტორინგი შეესაბამებოდა პროექტის საკითხებს, ზემოქმედებას და შესრულების მოთხოვნებს.

**3.2 EBRD-ის გარემოს დაცვის და სოციალური წინასწარი კვლევების მიმოხილვა**

**4. შესრულების მოთხოვნა 1 (PR 1): გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასება და მართვა**

**საკითხი 2:** შეასრულა თუ არა ბანკმა თავისი ვალდებულებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოტენციური გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედება შეფასებულიყო პროექტის გავლენის არეალის კონტექსტში - და მოიცავდა თუ არა პროექტის კუმულაციური ზემოქმედების პოტენციურ ზემოქმედებას არეალზე/თემებზე? (PR 1, პუნქტი 6)

**a. საჩივარი**

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკმა ვერ ჩართო პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები პროექტის პოტენციურ გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასებაში. მომჩივანები ამტკიცებენ, რომ ESIA არ აფასებს პროექტის განხორციელების გავლენას მიმდებარე სოფლებზე, მათ შორის იმ სოფლებზე, რომლებშიც AGL აპირებდა სადერივაციო გვირაბების გაბურღვას. მომჩივანთა თქმით, AGL-მა არ ჩართო ასეთი სოფლები პროექტის ზემოქმედების არეალის განმარტებაში და EBRD-მა დაამტკიცა AGL-ის არასრული განმარტება.

**b. ბანკის პასუხი**

ბანკის ოფიციალური პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების სავარაუდო არჩართვას პროექტის პოტენციური გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასებაში. ბანკმა განაცხადა, რომ პროექტის რისკები „სრულად იქნა შეფასებული და გააზრებული და მშენებლობის დროს მონიტორინგმა დაადასტურა იმ დროს განხორციელებული რისკის ყველა შეფასება“.

**c. კლიენტის პასუხი**

AGL აცხადებს, რომ ESIA-ში (გვერდი 60 ცხრილი C.1-1) მოცემულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების დეტალური სია, ამ სოფლებთან დაკავშირებულ ზემოქმედებასა და საქმიანობასთან ერთად.

## EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 1.6)

PR 1.6 ითვალისწინებს:

6. გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და საკითხები შეფასდება პროექტის გავლენის ზონის კონტექსტში. გავლენის ეს სფერო შეიძლება მოიცავდეს ერთ ან მეტს, საჭიროებისამებრ:

(i) კლიენტის უშუალო საკუთრებაში ან მართვაში არსებული აქტივები და ობიექტები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის დასაფინანსებელ აქტივობებთან (როგორცაა საწარმოო ქარხანა, ელექტროგადამცემი დერეფნები, მილსადენები, არხები, პორტები, მისასვლელი გზები და სამშენებლო ბანაკები).

(ii) მხარდამჭერა/ხელშემწყობა იმ აქტივობების, აქტივებისა და დამხმარე საშუალებების, რომლებსაც ფლობენ ან აკონტროლებენ მხარეები, რომლებიც დაქირავებულნი არიან კლიენტის ბიზნესის ფუნქციონირებისთვის ან პროექტის დასასრულებლად (როგორცაა კონტრაქტორები).

(iii) დაკავშირებული ობიექტები ან ბიზნესები, რომლებიც არ ფინანსდება EBRD-ის მიერ, როგორც პროექტის ნაწილი და შეიძლება იყოს ცალკეული იურიდიული პირი, მაგრამ მათი სიცოცხლისუნარიანობა და არსებობა დამოკიდებულია ექსკლუზიურად პროექტზე და რომელთა საქონელი და მომსახურება აუცილებელია პროექტის წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

(iv) ობიექტებს, ოპერაციებს და მომსახურებას, რომელსაც ფლობს ან მართავს კლიენტი, რომლებიც წარმოადგენს უსაფრთხოების პაკეტის ნაწილს EBRD-ისთვის გირაოს სახით.

(v) პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიები და თემები: პროექტის შემდგომი დაგეგმილი განვითარების კუმულაციური ზემოქმედებები ან მსგავსი ზემოქმედების სხვა წყაროები გეოგრაფიულ არეალში, ნებისმიერი არსებული პროექტი ან მდგომარეობა და პროექტთან დაკავშირებული სხვა განვითარება, რომელიც შეიძლება რეალურად იყოს მოსალოდნელი წინასწარი სათანადო კვლევის დროს.

(vi) ტერიტორიები და თემები, რომლებსაც შესაძლოა შეეხოთ პროექტით გამოწვეული დაუგეგმავი, მაგრამ პროგნოზირებადი განვითარების

ზემოქმედება, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოგვიანებით ან სხვა ლოკაციაზე. გავლენის არეალი არ მოიცავს პოტენციურ ზემოქმედებას, რომელიც მოხდებოდა პროექტის გარეშე ან პროექტისგან დამოუკიდებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, EBRD და კლიენტი შეთანხმდებიან თითოეული პროექტის გავლენის არეალზე.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

ცხრილი C.1-1, ESIA-ის III დანართში, შეიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების საერთო სიას 2012 წლის ოქტომბრის მდგომარეობით. შუახევის სქემისთვის, ცხრილში მოცემულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი 43 სოფელი. კორომხეთის სქემისთვის (რომელიც ბანკმა არ დააფინანსა და AGL-მა არ განახორციელა), ცხრილში მოცემულია 31 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფელი და ხერთვისის სქემისთვის (რომელიც AGL ასევე გადაწყვიტა არ განახორციელებინა), ცხრილში მოცემულია 18 პროექტით ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფელი. (ეს მაჩვენებლები აერთიანებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ 92 სოფელს.) ESIA-ს ტექსტში ნათქვამია, რომ დაახლოებით 100 სხვადასხვა სოფელი იქნა იდენტიფიცირებული „გავლენის უშუალო არეალში, რომლებზეც სავარაუდოდ, პირდაპირ გავლენას ახდენს პროექტის ძირითადი მახასიათებლები“.<sup>10</sup>

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემები მოიცავს 15 სოფელს სამ მუნიციპალიტეტში: ხულოს მუნიციპალიტეტში (დიდაჭარის თემი [დიდაჭარა], ლეკანაშვილების თემი [დიაკონიძეები, დუაძეები, წიფნარი]); შუახევის მუნიციპალიტეტი (ჭვანის თემი [ახალდაბა], ოლდადაურის თემი [პაპოშვილები, მახალაკიძეები]); და ქედის მუნიციპალიტეტი (მახუცეთის თემი [ქვედა მახუცეთი, ქვედა ბზუბზუ], პირველი მაისის თემი [პირველი მაისი], ქედას თემი [კორომხეთი], მერისის თემი [სიჰაძეები, ინაშარიძეები], ჭვანის თემი [დანდალო, ბალაძეები]).<sup>11</sup>

დაინტერესებულ მხარეთა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის სიაში მითითებულია ორი სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში (დიდაჭარა და ქვატია) და სამი თემი შუახევის მუნიციპალიტეტში (ჭვანას თემი, ზამლეთის თემი და ოლდადაურის თემი).<sup>12</sup>

პროექტის ESIA-ს ინფორმაციის გაზიარების, კონსულტაციებისა და მონაწილეობის ნაწილში, პროექტი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილობრივ თემებად განსაზღვრავს ხულოს, შუახევის, ქედის და ხელვარჩაურის მუნიციპალიტეტებს.<sup>13</sup> სოციალური ზემოქმედების შეფასების

<sup>10</sup> ESIA, Vol. II, § 7.1.3, at p. 117.

<sup>11</sup> Adjaristsqali HPP SEP, 314320/PWR/EFR/2/D 04 სექტემბერი 2013, pp. 11-12.

<sup>12</sup> ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა, 290039/TRD/EFR/BBAP/01/E 22 July 2013, p. 9, Table 2.1.

<sup>13</sup> Adjaristsqali Hydropower Project ESIA, 314320/PWR/EFR/1/E 11 September 2013, Vol. II, p. 91, Table 6.1.

ნაწილში ჩამოთვლილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი „მთავარი“ სოფლები ხულოს მუნიციპალიტეტში, ქედის მუნიციპალიტეტსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. საკვანძო სოფლების სიაში შუახევის მუნიციპალიტეტის არცერთი სოფელი არ არის შესული.

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტთან საუბარში ბანკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორია მოიცავს 17 სოფელს. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის ადგილზე ვიზიტის დროს 2019 წლის ოქტომბერში, AGL-მა განაცხადა, რომ პროექტის ზემოქმედების ზონაშია 18 სოფელი.

**a. კვლევის შედეგები**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ESIA და პროექტის სხვა დოკუმენტები მკაფიოდ და თანმიმდევრულად არ განსაზღვრავს პროექტის გავლენის არეალს. ESIA მოიცავს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების სიებს, რომლებიც ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, შედეგად, გაურკვეველია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების საერთო რაოდენობა. თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ხერთვისისა და კორომხეთის სქემების ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებს, რომლებიც AGL-მა არ განახორციელა, ESIA მაინც ჩამოთვლის 43 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფელს შუახევის სქემისთვის, რაც ცდება ბანკის მიერ აღიარებულ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ 17 სოფელს და AGL-ის მიერ აღიარებულ 18 სოფელს. ბანკის ხელმძღვანელობამ ამ შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშის პროექტზე კომენტარებში განმარტა, რომ სოციალური შეფასების მიზნებისთვის გავლენის ზონა განსხვავდება ბიომრავალფეროვნების გავლენის არეალისგან და რომ სანამ ESIA წარმოადგენდა პროექტს 2013 წლისთვის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების სია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში (SEP) მუდმივად ახლდებოდა პროექტის სფეროს განვითარებასთან ერთად. ბანკის მენეჯმენტი დამატებით აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ინჟინერი და გამსესხებლები „კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ AGL-მა იცოდა, რომელ სოფლებზე იყო პოტენციური ზემოქმედება პროექტის მხრიდან და როგორ“<sup>14</sup>. მიუხედავად ამისა, შესაბამისობის განხილვის პროცესში ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე და დისკუსიების შედეგად ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემის წევრებთან და EBRD-ის შესაბამის პერსონალთან, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ვერ დარწმუნდა, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ პოტენციური გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედება შეფასებულიყო პროექტის სრული გავლენის არეალის კონტექსტში.

**საკითხი 3:** დაადასტურა თუ არა ბანკმა, რომ (ა) შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჯგუფები შეფასდა - როგორც არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ან დაუცველი - შეფასების პროცესში (მაგ., პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალები); და (ბ) ESAP მოიცავდა დიფერენცირებულ ზომებს, რათა მათზე არაპროპორციულად არ მომხდარიყო უარყოფითი

<sup>14</sup> EBRD-ის მენეჯმენტის კომენტარები შუახევი ჰესის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშის პროექტზე, 2021 წლის აპრილი.



ზემოქმედება და რომ ისინი არ იყვნენ არახელსაყრელ პირობებში პროექტის შედეგად მიღებული განვითარების შედეგებისა და შესაძლებლობების გაზიარების კუთხით? (PR 1, პუნქტი 14)

**a. საჩივარი**

მომჩივანები ამტკიცებენ, რომ პროექტის არატექნიკურ რეზიუმეში „არ არის ნახსენები სპეციალური დებულებები ადგილობრივი თემებიდან ქალთა დაცვის შესახებ, არ არის გათვალისწინებული კულტურული ბარიერები მათი კონსულტაციებში მონაწილეობისთვის, ასევე, არ არის ნახსენები ოჯახები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ ან ქალ მეწარმეთა შესაძლებლობები“. მომჩივანები ასევე ამტკიცებენ, რომ ESIA-ს „პრაქტიკულად“ არ შეუფასებია პროექტის გავლენა ქალებზე და გენდერულ თანასწორობაზე, ხოლო მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა არ აანალიზებს „მიწის საკუთრების და მიწათსარგებლობის ნიმუშებს ან ზემოქმედებას ქალთა საარსებო წყაროზე, თუ კომპენსაცია გადაეცემა ქონების მესაკუთრებს კაცებს“.

მომჩივანები ამტკიცებენ, რომ ბანკმა და კლიენტმა არ შეასრულეს მწვანე ალტერნატივის 2016 წლის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც გამსესხებლებს უნდა მოეთხოვათ AGL-სგან გენდერული შეფასების და სამოქმედო გეგმის მომზადება და შემდგომ განხორციელებინათ მისი შესრულების მონიტორინგი.

**b. ბანკის პასუხი**

ბანკის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება დაინტერესებული მხარეების ცალკეული ჯგუფების იდენტიფიკაციას, მათ შორის, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებს. ბანკი აცხადებს, რომ „დაინტერესებული მხარეების ჩართულობა როგორც ESIA-ს მომზადებისა და გამჟღავნებისას, ასევე პროექტის განხორციელების დროს იყო ვრცელი და განხორციელდა PR10-ის შესაბამისად“. ქალებთან მიმართებაში ბანკი აცხადებს, რომ „დარწმუნებულია, რომ სოციალური ზემოქმედების შეფასება მომზადდა შესაბამისი შესრულების მოთხოვნების თანახმად“.

**c. კლიენტის პასუხი**

AGL აცხადებს, რომ პროექტის განვითარების ადრეული ეტაპებიდან თანამშრომლობს „ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარესთან და დაუცველ ჯგუფთან“, მათ შორის, ქალთა ჩართულობის გასაძლიერებლად გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კომპანიის მიერ გადახდილი ფულადი კომპენსაციის განაწილებაში, AGL აცხადებს, რომ მან იზრუნა, რომ მეუღლეები დასწრებოდნენ მოლაპარაკების პროცესს და მათაც მოაწერეს ხელი მიღება-ჩაბარების აქტებს (კონტრაქტების მისაღებად), რათა ისინი იყვნენ სრულად ინფორმირებულნი კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით.

## EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 1.14)

### PR 1.14:

14. გარემოს დაცვის და სოციალური შეფასების შედეგების და ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგების გათვალისწინებით, კლიენტი შეიმუშავებს და განხორციელებს შერბილებისა და შესრულების გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ქმედებების პროგრამას, იდენტიფიცირებულ სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებზე, ზემოქმედებასა და შესაძლებლობებზე რეაგირების მიზნით, გარემოს დაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) სახით. შემარბილებელი ღონისძიებები და მოქმედებები გამოვლენილი იქნება ისე, რომ პროექტის ყველა შესაბამისი ეტაპი (მაგალითად, წინამშენებლობა, მშენებლობა, ექსპლუატაცია, დახურვა, დეკომისია/აღდგენა) განხორციელდეს მოქმედი კანონებისა და რეგულაციების და ამ პოლიტიკის PR-ების შესაბამისად. ESAP-მა უნდა გამოიყენოს გრძელვადიანი და ეტაპობრივი მიდგომა და ასევე გაითვალისწინოს მოსალოდნელი სამომავლო მარეგულირებელი მოთხოვნები. ESAP ფოკუსირებული უნდა იყოს ზემოქმედებების თავიდან აცილებაზე და სადაც ეს შეუძლებელია, შემარბილებელ ღონისძიებებზე შესაძლო ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად ან მისაღებ ღონემდე შესამცირებლად. სადაც ნარჩენი ზემოქმედება გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე, შეიძლება საჭირო გახდეს გარემოს დაცვის კომპენსირება PR 6-ის შესაბამისად, რათა ხელი შეუწყოს „ნულოვანი დანაკარგის“ მიდგომას; არანებაყოფლობითი განსახლებისა და მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების კომპენსაცია განხორციელდება PR 5-ის და 7-ის შესაბამისად. ESAP ასევე განიხილავს, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის დამატებითი გარემოს დაცვის და სოციალური სარგებლის მიღწევის შესაძლებლობებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, თემის განვითარების პროგრამებს. **იმ შემთხვევებისთვის, როცა, შეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები გამოვლინდა როგორც არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ან დაუცველი, ESAP მოიცავს დიფერენცირებულ ზომებს, რათა მათზე არაპროპორციულად არ მოხდეს უარყოფითი ზემოქმედება და ისინი არ იყვნენ არახელსაყრელ პირობებში პროექტის შედეგად მიღებული განვითარების შედეგებისა და შესაძლებლობების გაზიარების კუთხით.** პროექტის მიხედვით, ESAP შეიძლება შედგებოდეს ოპერატიული პოლიტიკის, პროცედურების, მართვის სისტემების, პრაქტიკისა და კაპიტალური ინვესტიციების ერთობლიობისგან. ზომები და ქმედებები იდენტიფიცირებული ზემოქმედებისა და რისკების მოსაგვარებლად უპირატესობას მიანიჭებს ზემოქმედების თავიდან აცილებას და პრევენციას,

შერბილებასა ან კომპენსაციასთან შედარებით, სადაც ეს ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელია. (ხაზგასმა ჩვენია.)

**d. დაკვირვებები და დასკვნები**

პროექტის ESIA განსაზღვრავს ადგილობრივ ქალთა ჯგუფებს - უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებად და არაპირდაპირ დაინტერესებულ მხარეებად პროექტის ფარგლებში.<sup>15</sup> AGL-მა დანიშნა თემთან კომუნიკაციის ოფიცერი, როგორც ადგილობრივ თემებთან, მათ შორის ქალთა ჯგუფებთან მთავარი საკონტაქტო პირი. 2013 წელს AGL-ის „საკვანძო თემები“ სათემო კონსულტაციებისთვის მოიცავდა ქალთა უფლებებს.<sup>16</sup> AGL-მა პირობა დადო, რომ მისი სოციალური ურთიერთქმედების ფარგლებში, „იმოქმედებს, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა პროექტის აქტივობებში და დაეხმაროს ქალებს, აიღონ პასუხისმგებლობა მამაკაცებთან თანაბარი პარტნიორობით. საკონსულტაციო აქტივობები ქალებს ურჩევს, რომ მათი მოსაზრებები და იდეები მამაკაცებისთვის თანაბარი მნიშვნელობისაა და რომ ქალებს შეუძლიათ ცვლილებების შეტანა ადგილობრივ თემში და უფრო ფართოდაც“. ESIA-ში ნათქვამია, რომ ქალებს წახალისებენ, გამოიყენონ უნარები სამუშაოებზე, რომლებიც ადრე აღიქმებოდა როგორც „მხოლოდ მამაკაცების“ საქმედ.

2013 წლის 9 აგვისტოს გარემოს დაცვის და სოციალური წინასწარი კვლევის ანგარიში (ESDD) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაზე მინიშნებით, ადგენს, რომ „საჭიროა დამატებითი აღწერა წარსულ კონსულტაციებთან, კომუნიკაციის არხებთან და სამომავლო ინფორმაციის გაზიარებასთან და ქალთა და მოწყვლად ჯგუფებთან კონსულტაციებთან დაკავშირებით“. 2013 წლის სექტემბერში, AGL-მა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ქალებთან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ხუთი თემიდან და ჩაწერა პროექტთან დაკავშირებით მონაწილეთა მიერ წამოჭრილი საკითხები. შეხვედრები და წამოჭრილი საკითხები აღწერილია ESIA-ში.<sup>17</sup>

პროექტის ESAP მოიცავს გარემოს დაცვის და სოციალური მენეჯმენტის გეგმას (ESMP), რომელიც აღწერს დიფერენცირებულ ზომებს, რათა უარყოფითი ზემოქმედება არ მოხდეს არაპროპორციულად ქალებზე და ისინი არ იყვნენ არახელსაყრელ მდგომარეობაში პროექტის შედეგად მიღებული განვითარების სარგებლისა და შესაძლებლობების გაზიარების კუთხით.<sup>18</sup>

პროექტისთვის მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმაში (LALRP) აღნიშნულია, რომ „აჭარაში ქალებს, როგორც წესი, ნაკლები წვდომა აქვთ რესურსებზე,

<sup>15</sup> ESIA, § 6.4.2, p. 90; Table 6.2, p. 91.

<sup>16</sup> ESIA, § 6.5.3.2, p. 108.

<sup>17</sup> ESIA, Table 6.7, pp. 109-110.

<sup>18</sup> ESMP, ცხრილი 3.1 (გეგმები, პოლიტიკა და პროცედურები), გვ. 29 („სპეციალური ზომები ეთნიკურ და ქალთა შორის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის“), § 4.2.3.2, გვ. 60 (მოუწოდებს კორპორატიული კომუნიკაციის ოფიცერს, მოაწყოს შეხვედრები ადგილობრივ ქალთა ჯგუფებთან).

სესხებსა და ტექნოლოგიებზე და ნაკლებად შეუძლიათ ისარგებლონ ბიზნეს შესაძლებლობებით<sup>19</sup>. LALRP-ში ასევე აღნიშნულია, რომ „ქალი, რომელიც ოჯახს უძღვება განსაკუთრებით დაუცველია სოფლად, რადგან ქალები ასრულებენ ფერმის სამუშაოების დიდ ნაწილს და გადამამუშავებელ სამუშაოებს და შეიძლება დაექვემდებარონ დამატებით ზეწოლას, თუ ოჯახის მამრობითი სქესის წევრები სამუშაოს საძიებლად მიგრირებენ“<sup>20</sup>. LALRP ითვალისწინებს, რომ საკუთრების და კომპენსაციის დოკუმენტაცია უნდა გაცივს ორივე მეუღლის ან ოჯახის უფროსების სახელზე და რომ „[1]და შეძენის აქტივობები ჩაფიქრებულია და განხორციელდება, როგორც მდგრადი განვითარების პროგრამები და უზრუნველყოფილი იქნება საკმარისი საინვესტიციო რესურსები, რათა შესაძლებელი გახდეს ადამიანებმა გაიზიარონ პროექტის სარგებელი. განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოიხატება ქალების, ღარიბი და ყველაზე მოწყვლადი ადამიანებისათვის“. როგორც უკვე აღინიშნა, AGL აცხადებს, რომ იგი უზრუნველყოფდა მეუღლეების დასწრებას მოლაპარაკების პროცესში და მათ ასევე მოაწერეს ხელი კომპენსაციასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტებს.

#### e. კვლევის შედეგები

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ESAP პროექტისთვის ცალსახად არ განსაზღვრავს დიფერენცირებულ ზომებს ისე, რომ უარყოფითი ზემოქმედება არ მოხდეს არაპროპორციულად ქალებზე და ისინი არ აღმოჩნდნენ არახელსაყრელ პირობებში პროექტის შედეგად მიღებული განვითარების შედეგებისა და შესაძლებლობების გაზიარების მხრივ, ქალები იდენტიფიცირებულნი არიან, როგორც მოწყვლადი ჯგუფი ESIA-ში და ESDD, ESMP და LALRP განსაზღვრავს დიფერენცირებულ ზომებს ქალთა ინტერესების დასაცავად. გარდა ამისა, ESMP მოიცავს ESAP-ს. სხვა ღონისძიებებთან ერთად, AGL-მა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებთან და AGL-მა ჩართო ქალები კომპენსაციის მოლაპარაკებებში და LALRP-ში. ამრიგად, ბანკმა შეასრულა PR 1.14 ქალებთან მიმართებაში.

**საკითხი 4:** პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის დინამიური ბუნების გაცნობიერებით, უზრუნველყო თუ არა ბანკმა, რომ ESAP რეაგირებდეს პროექტის გარემოებების, გაუთვალისწინებელ მოვლენებსა და მონიტორინგის შედეგებზე ცვლილებებზე? (PR 1, პუნქტი 15)

#### a. საჩივარი

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტის სტატუსი გაურკვეველი იყო 2017 წლის 15 აგვისტოს გვირაბის ნგრევის შემდეგ<sup>21</sup>, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროექტის ფინანსურ პერსპექტივებს და რომ საჭიროა პროექტის გარემოს დაცვის, სოციალური და

<sup>19</sup> LALRP, § 2.3, p. 10.

<sup>20</sup> LALRP, § 2.9, p. 19.

<sup>21</sup> ob. ante fn. 9.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებების განახლება და გაზიარება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისა და საზოგადოებისთვის.

### b. ბანკის პასუხი

ბანკის პასუხი საჩივარზე უშუალოდ არ ეხება ESAP-ს ან პროექტის გარემოებებში ცვლილებებს და გაუთვალისწინებელ მოვლენებს. ბანკი აცხადებს, რომ მშენებლობის დროს მონიტორინგმა „დაადასტურა ყველა რისკის შეფასება, რომელიც განხორციელებული იყო იმ დროისთვის“ ESIA-ში. ბანკი ასევე ამტკიცებს, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ESIA-ს მომზადებისა და გამჟღავნების დროს და პროექტის განხორციელების დროს „იყო ფართო“.

### c. კლიენტის პასუხი

AGL აცხადებს, რომ პროექტის დიზაინი „ეყრდნობა ხელმისაწვდომ მონაცემებს და მოსალოდნელია, რომ გადაიხედება, თუ ცვლილებები შეინიშნება დიზაინისთვის გამოყენებულ პარამეტრებში“ და რომ ეს მეთოდი იქნა გამოყენებული შუახვევის პროექტში. AGL ამტკიცებს, რომ „გვირაბის სტაბილურობა მშენებლობის შემდეგ დადგინდა, რადგან ნგრევა მოხდა მხოლოდ გვირაბების შევსების შემდეგ, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია კლდის მასის გაუთვალისწინებელ ქცევასთან წყალთან ზემოქმედების დროს.“<sup>22</sup> AGL ასევე აცხადებს, რომ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი პროექტის მშენებლობის ფაზაში არ საჭიროებდა ცვლილებას.

### EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 1.15)

PR 1.15:

15. ESAP-ის დეტალურობისა და სირთულის დონე და გამოვლენილი ღონისძიებებისა და ქმედებების პრიორიტეტულობა ასახავს პროექტის რისკებს, ზემოქმედებას და შესაძლებლობებს. ESAP დოკუმენტურად გააფორმებს ძირითად გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებს, ასევე მათ ადეკვატურად გადასაჭრელად განსახორციელებელ ქმედებებს, ისევე როგორც ნებისმიერ მოქმედებას გარემოს დაცვის ან სოციალური სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, განრიგს და პირს/ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია განხორციელებასა და მონიტორინგზე და დაკავშირებულ მოსალოდნელ ხარჯებს. კლიენტი აცნობებს EBRD-ს, თუ როგორ შესრულდება

---

<sup>22</sup> გამსესხებულებისთვის დამოუკიდებელი ინჟინრის მიერ მომზადებულ ტექნიკურ წინასწარი კვლევის ანგარიშში ნათქვამია: „აქედან გამომდინარე, შუახვევის ჰესისთვის 3 გვირაბის წინამდებარე შემთხვევისთვის, სულ მცირე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ შეიქმნას ვრცელი ტესტირების პროგრამა გვირაბების გათხრის სამუშაოების დროს. რათა დაუყოვნებლივ მოხდეს რეაგირება ყველა შესაძლო ტესტის შედეგზე, რათა გამოირიცხოს გვირაბის ჩამონგრევის რისკი. ეს ტესტები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ კლდის სტაბილურობის საკითხებს, არამედ კლდის ქცევას წყალთან მუდმივ კონტაქტში.“ ტექნიკური წინასწარი კვლევა, საბოლოო ანგარიში, 2013 წლის სექტემბერი, მომზადებული AGL-სთვის Lahmeyer Group-ის მიერ, დამოუკიდებელი ინჟინერი გამსესხებულებისთვის, § 4.2.4.5, გვ. 47.

ეს ხარჯები. სასურველი შედეგები განისაზღვრება შეფასების დროს დადგენილ საბაზისო კრიტერიუმებით, როგორც გაზომვადი მოვლენები, რამდენადაც ეს შესაძლებელია ისეთი ელემენტებით, როგორიცაა შესრულების ინდიკატორები, მიზნები ან მიღების კრიტერიუმები, რომლებზეც შეიძლება თვალყური დევნება განსაზღვრულ დროში. როდესაც მიმდინარე ოპერაციები მნიშვნელოვნად არ შეესაბამება მარეგულირებელ მოთხოვნებს და არსებულ ნებართვებს, შემოთავაზებული მოქმედებები და განრიგი შეუსაბამობის ამ სფეროებისთვის შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან. პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის დინამიური ბუნების გაცნობიერებით, ESAP მოახდენს რეაგირებას პროექტის გარემოებების, გაუთვალისწინებელ მოვლენებზე და მონიტორინგის შედეგებზე. A კატეგორიის პროექტებისთვის ბანკს შეუძლია შეათანხმოს კლიენტთან შეფასების დროს ცვლილებების პროცესის მართვა, რომელიც არეგულირებს შემოთავაზებული პროექტის ცვლილებების ან გაუთვალისწინებელი გარემოებების მართვისა და ანგარიშგების მეთოდს.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

პროექტის ESMP-ში ნათქვამია, რომ ის „განახლდება და/ან გადაიხედება როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზებისთვის, რათა ზომები იყოს მორგებული ძირითადი პირობებზე, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში“. ESMP მოუწოდებს პროექტის მოქნილი მართვისკენ შემდეგნაირად:

- ESMP განიხილება და შეიცვლება პროექტის დიზაინისა და სტატუსის შესაბამისად. ძირითადი ინფორმაცია პროექტის აღწერილობაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ რეგულარულად განიხილება (ყოველთვიურად) და AGL EHS პერსონალის მიერ განხორციელდება ვიზიტები პროექტის რეალური ზემოქმედების დასადგენად. მაგალითად, თუ საწყის პროექტში გამოვლენილი მილსადენის მარშრუტი განსხვავდება მშენებლობისთვის შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტისაგან, შეიძლება საჭირო გახდეს ჰაბიტატის დამატებითი კვლევები და ზემოქმედების შესაბამისად ეკოლოგიური მართვის ალტერნატიული მეთოდი.
- ESMP-ში შეტანილი ღონისძიებების ეფექტიანობის მუდმივი შეფასება განხორციელდება რეგულარულად, პროექტის განვითარების და პროექტის დიზაინის, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და დეკომისაციის პარალელურად. შეფასება განხორციელდება კონტრაქტორებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და გამსესხებლებთან მუდმივი კომუნიკაციის გზით, რომელსაც დაემატება საიტის აუდიტი და მონიტორინგის მონაცემების მიმოხილვა, რათა დადგინდეს სისუსტეები და/ან ხარვეზები მენეჯმენტის გეგმაში. ESMP შეიცვლება და/ან განახლდება შესაბამისად, რათა უზრუნველყოს შესაბამისი, მტკიცე და ეფექტური გარემოს დაცვის

და სოციალური მენეჯმენტი, რომელიც შეესაბამება პროექტის მასშტაბებს მისი არსებობის მანძილზე.<sup>23</sup>

ESMP-ში მონიტორინგსა და ანგარიშების მოთხოვნები მოიცავს „ცვლილების მართვის“ კომპონენტს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც ექვემდებარება რეგულარულ განხილვას და განახლებას პროექტის განვითარებასთან ერთად.

ESAP მოიცავს მრავალ დებულებას, რომლებიც ითვალისწინებს პროექტის გარემოებებში ცვლილებებს. ეს დებულებები მოიცავს მითითებას ESMP-ზე და მასთან დაკავშირებულ გეგმებზე, ასევე, საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების იდენტიფიკაციასა და შეფასებას პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას გამოვლენილი რისკების მოსაგვარებლად. ESAP ასევე მოიცავს BAP-ის განხორციელებას, ნაკადის მონიტორინგს და ეკოლოგიურ შეფასებებს „დამოწმებული ნაკადების ადეკვატური ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად ან მინიმალური ნაკადების ხელახალი განსაზღვრისთვის“. და ბოლოს, ESAP მოუწოდებს SEP-ის შეფასებისა და განახლებისკენ, რათა „გაუმჯობესდეს/დახვეწოს დაინტერესებული მხარეების სია, კომუნიკაციის მეთოდები, მედია და ა.შ.“.

#### e. კვლევის შედეგები

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ESAP და კონკრეტულად, განხორციელებული ESMP-ში ასახული ქმედებები აჩვენებს რეაგირებას პროექტის გარემოებების ცვლილებებზე, გაუთვალისწინებელ მოვლენებზე და მონიტორინგის შედეგებზე.

**საკითხი 5:** უზრუნველყო თუ არა ბანკმა, რომ კლიენტს დაეწესებინა პროცედურები გარემოს დაცვის და სოციალურ დებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგისა და გაზომვის, მათ შორის ESAP-ისა და PR-ების დანერგვის მიზნით, დროთა განმავლობაში? (PR 1, პუნქტი 20)

#### a. საჩივარი

საჩივარი კონკრეტულად არ იმოწმებს PR 1.20-ს. მომჩივნები ზოგადად ამტკიცებენ, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყო, რომ AGL და პროექტი შეესაბამებოდნენ 2008 წლის ESP-ს. მომჩივნები უფრო კონკრეტულად ამტკიცებენ, რომ მათ აცნობეს AGL-ს და EBRD-ს, რომ ESIA-ში შეტანილი გეოლოგიური კვლევები საკმარისი არ იყო გვირაბის გაყვანის დაწყებამდე პროექტის დიზაინის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად და რომ AGL-მა არ გაითვალისწინა მომჩივანთა კომენტარები და არ შეუკვეთა დამატებითი კვლევები. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ „გაურკვეველია, თუ როგორ სრულდება SEP-ის მთელი რიგი ვალდებულებები“ და რომ, მართლია, საპროექტო დოკუმენტაციის პირველი გაზიარება

<sup>23</sup> ESMP, § 5.2, p. 62.

შეესაბამებოდა A კატეგორიის პროექტების მოთხოვნებს, თუმცა, ბანკმა და AGL-მა არ შეატყობინეს დაინტერესებულ მხარეებს პროექტის გეგმებში ცვლილებების შესახებ გვირავის ჩამონგრევის შემდეგ. მომჩივანთა თქმით, „კონსულტაციის პროცესი არ იყო საკმარისად მაინფორმირებელი და თანმიმდევრული“.

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბალკანეთის ველური ბუნების საზოგადოების დასკვნები (რომელსაც მომჩივნებმა დაავალეს ბიომრავალფეროვნების შეფასების ჩატარება) „კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შუახვევი ჰესის პროექტში შემოთავაზებული შემარბილებელი და კომპენსაციის ღონისძიებების ადეკვატურობას, ისევე როგორც პროექტის შესაბამისობას EBRD-ის PR6-თან“. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკს არ გამოუქვეყნებია განახლებული ინფორმაცია ოთხი წლის განმავლობაში და მათ არ შეუძლიათ დაადგინონ, ბანკმა და AGL-მა გამოიყენეს თუ არა „ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიდგომა, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს.“

#### **b. ბანკის პასუხი**

ბანკი აცხადებს, რომ მომჩივნებმა შესაძლოა არ იცოდნენ პროექტთან დაკავშირებული ფაქტობრივი რისკების გაცნობის მიზნით განხორციელებული და სიტუაციის მონიტორინგის ყველა აქტივობის შესახებ მშენებლობის მიმდინარეობისას. ბანკი ასევე აცხადებს, რომ მშენებლობის დროს, მონიტორინგმა დაადასტურა ყველა რისკის შეფასება, რომელიც განხორციელებული იყო ESIA-ს დროს. მთლიანობაში, ბანკი ამტკიცებს, რომ „გულდასმით აფასებდა პროექტის ESIA-ს მომზადებას და აქტიურად აკვირდებოდა მის განხორციელებას მთელი მშენებლობის განმავლობაში და დარწმუნებულია, რომ PR-ები შესრულდა“.

#### **c. კლიენტის პასუხი**

საჩივარზე საპასუხოდ, AGL აცხადებს, რომ მან „შეასრულა პროექტი მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და ძლიერი სოციალური ფაქტორით, რომელიც შემუშავდა და კონტროლდებოდა გამსესხებლებთან პარტნიორობით პროექტის განხორციელების დროს“. AGL აცხადებს, რომ მისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საქმიანობა „რეგულარულად მოწმდება გამსესხებლების გუნდების მიერ პერიოდული მონიტორინგის ვიზიტების დროს“. AGL ასევე აცხადებს, რომ „წინასწარი მშენებლობის ეტაპიდან, 2013 წელს, პროექტი 2013 წლიდან აწარმოებს მდინარის ჰაბიტატების, განსაკუთრებით თევზისა და წყლის მიკრო უხერხემლოების კვლევასა და მონიტორინგს“. AGL აღწერს მონიტორინგის კონკრეტულ პროგრამებს მდინარის ჰაბიტატების, თევზის პოპულაციების, წავისა და ბუდეების პრიორიტეტული ფრინველების სახეობებისთვის.



## EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 1.20)

### PR 1.20:

20. კლიენტი დაადგენს პროცედურებს სამართლებრივი შეთანხმებების გარემოს დაცვის და სოციალური დებულებების შესრულების მონიტორინგისა და გაზომვის მიზნით, მათ შორის, ESAP-ისა და PR-ების ეფექტური განხორციელების და დროთა განმავლობაში მიღწეული გაუმჯობესებების, შეფასების დროს დადგენილ საბაზისო ნიშნულთან შედარებით. მონიტორინგის მასშტაბები იქნება გარემოზე და ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე არსებული რისკებისა და უარყოფითი ზემოქმედების შესაბამისი. მონიტორინგი ჩვეულებრივ მოიცავს ინფორმაციის ჩაწერას შესრულების თვალყურის დევნებისთვის და შესაბამისი ოპერატიული კონტროლის დაწესებას შესაბამისობისა და პროგრესის შესამოწმებლად, აგრეთვე, შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების ინსპექტირების ანგარიშებზე და დაინტერესებული მხარეების, როგორცაა თემის წევრების გამოხმაურება, რეაგირებას. გარდა ამისა, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს მესამე მხარე, როგორცაა დამოუკიდებელი ექსპერტები, ადგილობრივი თემები ან არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა შეავსოს ან გადაამოწმოს საკუთარი მონიტორინგის შედეგი. A კატეგორიის პროექტებისთვის, კლიენტს მოეთხოვება კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტების შენარჩუნება, რათა განხორციელდეს პერიოდული მონიტორინგი/აუდიტი პროექტში ბანკის ჩართულობის მთელი პერიოდის განმავლობაში. კლიენტი დოკუმენტურად გააფორმებს მონიტორინგის შედეგებს.

### d. დაკვირვებები და დასკვნები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანკმა, თავის თანაკრედიტორებთან ერთად, დაუკვეთა გარემოს დაცვის და სოციალური საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი, როგორც ეს რეკომენდირებულია პროექტის ESAP-ში და ESMP-ში.<sup>24</sup> ESMP მხარს უჭერს „ადაპტირებადი მართვის“ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ESMP „განიხილება და შეიცვლება პროექტის დიზაინისა და სტატუსის შესაბამისად, განვითარებასთან ერთად“<sup>25</sup>. ამრიგად -

- b. ESMP-ში შეტანილი ღონისძიებების ეფექტიანობის მუდმივი შეფასება განხორციელდება რეგულარულად, პროექტის განვითარების და დიზაინის, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და დეკომისაციის პარალელურად. შეფასება განხორციელდება კონტრაქტორებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და

<sup>24</sup> შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა განიხილა გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის ანგარიშები 2014 წლიდან და 2020 წლამდე.

<sup>25</sup> ESMP, § 5.2, p. 62.

გამსესხებლებთან მუდმივი კომუნიკაციის გზით, რომელსაც დაემატება ადგილზე აუდიტი და მონიტორინგის მონაცემების მიმოხილვა, რათა დადგინდეს სისუსტეები და/ან ხარვეზები მენეჯმენტის გეგმაში. ESMP შეიცვლება და/ან განახლდება შესაბამისად, რათა უზრუნველყოს შესაბამისი, მტკიცე და ეფექტური გარემოს დაცვის და სოციალური მენეჯმენტი, რომელიც შეესაბამება პროექტის მასშტაბებს მისი არსებობის მანძილზე.<sup>26</sup>

ESMP მოითხოვს ყოველთვიურ მონიტორინგს და ანგარიშგებას AGL-ის მიერ, ასევე დამოუკიდებელ მონიტორინგს, მათ შორის IFC-ის და სხვა გამსესხებლების სავსე ვიზიტებს. როგორც ზემოთ განვიხილეთ, თანაგამსესხებლებისათვის მომზადებულმა მონიტორინგის ანგარიშებმა გამოავლინა AGL-ის მიერ შეუსრულებლობის სფეროები და მათ მოითხოვეს მაკორექტირებელი ქმედებები. კერძოდ, მონიტორინგის ანგარიშებში აღნიშნულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მუდმივი ხარვეზები.

#### e. კვლევის შედეგები

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა იზრუნა, რომ AGL-ს შეემუშავებინა პროცედურები გარემოს დაცვის და სოციალურ დებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, მათ შორის, ESAP-ისა და PR-ების დროთა განმავლობაში განხორციელების ჩათვლით, თუმცა გამსესხებლების სახელით მომზადებული მონიტორინგის ანგარიშები მიუთითებს, რომ AGL-მა არ შეასრულა ეს პროცედურები.

**საკითხი 6:** უზრუნველყო თუ არა ბანკმა მონიტორინგის შედეგების გამოყენება, სადაც საჭიროდ და მიზანშეწონილად ჩათვალა, კლიენტის საოპერაციო საქმიანობის გამოსასწორებლად და/ან გასაუმჯობესებლად? სადაც ჩათვალა საჭიროდ და მიზანშეწონილად, მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, უზრუნველყო თუ არა, რომ კლიენტს გამოევიდინა და აესახა ნებისმიერი საჭირო მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედება განახლებულ ESAP-ში, რომელიც წარდგენილი იქნა ბანკში დასამტკიცებლად? (PR1, პუნქტი 21)

#### a. საჩივარი

საჩივარი ეჭვქვეშ აყენებს ბანკის უნარს განახორციელოს სათანადო წინასწარი კვლევა და მონიტორინგი ESP-ის მიზნების შესაბამისად. საჩივარში აღნიშნულია, რომ პროექტი შეიცვალა 2017 წლის აგვისტოში გვირაბის ნგრევის ფონზე, მაგრამ საჩივარი კონკრეტულად არ ასახავს, თუ როგორ გამოიყენა ბანკმა მონიტორინგის შედეგები.

#### b. ბანკის პასუხი

---

<sup>26</sup> ESMP, § 5.2, p. 62.

ბანკის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება ESAP-ის ცვლილებებს ან AGL-ის მუშაობის ცვლილებებს მონიტორინგის შედეგების საპასუხოდ. ბანკი აცხადებს, რომ იგი სრულად ასრულებდა ESP-ს ESIA-სთან და მონიტორინგთან დაკავშირებით.

### c. კლიენტის პასუხი

AGL-ის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება ESAP-ში შეტანილ ცვლილებებს. AGL ამტკიცებს, რომ პროექტს უტარებოდა მუდმივი მონიტორინგი და რომ, კერძოდ, გეოლოგიურ რისკებთან დაკავშირებით, პროექტის დიზაინი მუდმივად ახლდებოდა ახალი ინფორმაციის მიღებისას. AGL ასევე ამტკიცებს, რომ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი არ მოითხოვდა პროექტში რაიმე ცვლილებას.

### EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 1.21)

PR 1.21:

21. მონიტორინგის შედეგები გამოყენებული უნდა იყოს ოპერაციული შესრულების გამოსწორებისა და გაუმჯობესების მიზნით. ანალოგიურად, მონიტორინგის აქტივობები შეიძლება შეიცვალოს შესრულების გამოცდილებისა და უკუკავშირის შედეგად. პროექტის განხორციელების დროს, კლიენტის თვითმონიტორინგის, სამთავრობო ინსპექტირების ანგარიშები, მესამე მხარის აუდიტი/ანგარიშები ან გამსესხებლების მონიტორინგის შედეგი შეიძლება მიუთითებდეს, რომ საჭიროა ცვლილებები ESAP-ში. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, კლიენტი გამოავლენს და ასახავს ნებისმიერ აუცილებელ მაკორექტირებელ და პრევენციულ მოქმედებას შეცვლილ ESAP და/ან ოფსეტურ პროგრამაში, რომელიც წარედგინება ბანკს დასამტკიცებლად. კლიენტი განახორციელებს შეთანხმებულ მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებს და გააგრძელებს ამ ქმედებებს მათი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

### d. დაკვირვებები და დასკვნები

როგორც ზემოთ იყო განხილული, პროექტი ექვემდებარება ფართო მონიტორინგს ბანკისა და მისი თანაგამსესხებლების მხრიდან. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, გამსესხებლებმა გამოავლინეს შეუსაბამობის სფეროები ESMP-თან და ბანკის ESP-თან. გამსესხებლები განაგრძობენ პროექტის მონიტორინგს და მათ ჩამოაყალიბეს მაკორექტირებელი ქმედებები AGL-სთვის. გამსესხებლები თვალს ადევნებდნენ AGL-ის მიერ მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას და AGL ახორციელებდა ანგარიშგებას პროგრესის შესახებ. AGL-ს ოფიციალურად არ განუახლებია ESAP ან ESMP.

e. კვლევის შედეგები

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ESAP-ში ოფიციალურად ცვლილებები არ შესულა, ბანკმა შეასრულა PR 1.21. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ბანკმა და მისმა თანაგამსესხებლებმა დაადგინეს მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებები, თუმცა არა შეცვლილ ESAP-ში. AGL დათანხმდა მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას და ამ ქმედებების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ბანკი აკვირდებოდა AGL-ის მიერ მისი რეკომენდაციების შესრულებას და განაგრძობდა მაკორექტირებელი ქმედებების მოთხოვნას, როდესაც AGL არ (ან დროულად არ) ასრულებდა წინა რეკომენდაციებს.

5. შესრულების მოთხოვნები 4 (PR4): თემის ჯანდაცვა, უსაფრთხოება და უშიშროება

**საკითხი 7:** შეასრულა თუ არა ბანკმა ვალდებულება, უზრუნველყო კლიენტის მიერ პროექტის დიზაინისა და მშენებლობის დროს ყოვლისმომცველი გეოლოგიური კვლევების განხორციელება, რისკების და პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემ(ების) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, რათა: ა) პროექტის დიზაინი ადეკვატური ყოფილიყო, როგორც ფუნქციონალური, ასევე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, და (ბ) რომ პრევენციული ღონისძიებები და გეგმები შემუშავებულიყო გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედების შესაბამისად (PR 4, პუნქტები 7, 10 და 11).

a. საჩივარი

Complainants question whether the Bank ensured the completion of adequate geological studies prior to Project approval. მომჩივნები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ბანკის მხრიდან ადეკვატური გეოლოგიური კვლევების დასრულებაზე ზრუნვას პროექტის დამტკიცებამდე. მომჩივანები ამტკიცებენ, რომ AGL-ს მშენებლობის დაწყებამდე უნდა ჩატარებინა დეტალური გეოლოგიური კვლევები და არა გვირაბის გაყვანის პარალელურად. მომჩივნები სთხოვენ PCM-ს, განმარტოს-

- ჩატარდა თუ არა დეტალური გეოლოგიური კვლევები მშენებლობის დაწყებამდე.
- იყო თუ არა საკმარისი, წინასამშენებლო კვლევები, პროექტის დიზაინის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად.
- რა ტიპის გეოლოგიური კვლევები ჩატარდა მშენებლობის დროს.
- რა როლი ითამაშა ბანკმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ გეოლოგიური კვლევები და პროექტის დიზაინი ყოფილიყო სათანადოდ განხორციელებული საჯარო გამსესხებლების მონაწილეობით.
- დაადგინა თუ არა ბანკმა რაიმე რისკები გეოლოგიურ მდგრადობასა და გვირაბის პროექტირებასთან დაკავშირებით.

- როგორ უპასუხა ბანკმა ადგილობრივი თემებისა და დაინტერესებული მხარეების, როგორცაა მწვანე ალტერნატივა, მოწოდებებს, ეზრუნა სათანადო გეოლოგიური კვლევების ჩატარებაზე ახლომდებარე სოფლების უსაფრთხოებისა და ბანკის რესურსების გონივრული ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

### b. ბანკის პასუხი

ბანკი ამტკიცებს, რომ ESIA-ს მომზადების დროს, გეოლოგიური რისკები „სრულიად იყო შეფასებული და გააზრებული, ხოლო მშენებლობის დროს, მონიტორინგმა დაადასტურა ყველა რისკის შეფასება, რომელიც განხორციელებული იყო იმ დროსათვის“.

### c. კლიენტის პასუხი

AGL აცხადებს, რომ „პროექტის დეტალური გეოლოგიური კვლევები ჩატარდა სხვადასხვა ეტაპზე. კვლევის ეს ეტაპები ეფუძნებოდა დასკვნას/დაკვირვებებს, რომლებიც შეგროვდა დაგეგმვის, წინასწარი კვლევებისა და პროექტის განხორციელების პერიოდში“. AGL ახასიათებს პროექტს, როგორც „რთულ პროექტს გაშლილი მდინარის ხეობაში და მდებარეობებზე, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მისასვლელი გზების მშენებლობის შემდეგ და ა.შ.“. AGL აცხადებს, რომ გეოლოგიური კვლევები მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ჭაბურღილის გამოკვლევა
- გეოფიზიკური გამოკვლევა
- ლაბორატორიული ტესტირება
- გეოლოგიური რუკა
- გეომორფოლოგიური რუკა
- კლდის მასის რუკა/შეწყვეტის კვლევა.

AGL აცხადებს, რომ პროექტის მშენებლობის დროს ჩატარდა დამატებითი საძიებო ბურღით გახვრეტა და შესაბამისი კვლევები, გეოლოგიური პარამეტრების რუკების შედგენა და გათხრილ ტერიტორიებზე კლდის სიმტკიცის ტესტირება, პროექტის ყველა ეტაპზე გამსესხებლების ინჟინრის (ლაჰმეიერის) მონაწილეობით. AGL აცხადებს, რომ მან ჩართო კომპეტენტური, კვალიფიციური და გამოცდილი კონსულტანტები და დიზაინერები, რათა ჩაეტარებინათ გეოლოგიური კვლევები პროექტის სხვადასხვა ეტაპზე.

AGL ასევე აცხადებს, რომ 2014 წლის აგვისტოში სხალთა-დიდაჭარის გადამყვანი გვირაბის სამუშაოების დაწყებამდე, ჩატარდა დამატებითი კვლევები და ხელმისაწვდომი იყო მონაცემები გვირაბის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო დიზაინის შესასრულებლად. AGL-ის თანახმად, „[i]ნებისმიერ პროექტში დეტალური დიზაინი კეთდება პროგრესულ საფუძველზე და ეტაპობრივად, სამუშაოების პროექტის განრიგის აქტივობების

თანმიმდევრობის მიხედვით“. ამგვარად, AGL აცხადებს, რომ „როგორც ყველა პროექტში, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე ტარდება დეტალური გამოკვლევები და მიიღება აუცილებელი ცვლილებები პროექტირებაში, განლაგებაში ან მშენებლობის მეთოდებში, რაც გაკეთდა შუახვევის პროექტისთვისაც“.

#### **EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 4.7, 4.10 და 4.11)**

##### **PR 4.7:**

7. კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს რისკებს და პოტენციურ ზემოქმედებას ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პროექტის დიზაინის, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და დეკომისიაციის დროს და დაადგენს პრევენციულ ზომებს და მოახდენს მათზე რეაგირებას იდენტიფიცირებული რისკებისა და გავლების შესაბამისად. შესაბამისად. ზომები და ქმედებები იდენტიფიცირებული ზემოქმედებისა და რისკების მოსაგვარებლად უპირატესობას მიანიჭებს ზემოქმედების თავიდან აცილებას და პრევენციას, შერბილებას ან შემცირებასთან შედარებით.

##### **PR 4.10:**

10. კლიენტი დააპროექტებს, ააშენებს, ექსპლუატაციაში შეიყვანს და დეკომისიაციას განახორციელებს პროექტის სტრუქტურულ ელემენტებს ან კომპონენტებს კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის შესაბამისად, და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პოტენციურ ბუნებრივ საფრთხეებს, განსაკუთრებით იქ, სადაც სტრუქტურული ელემენტები ხელმისაწვდომია ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის წევრებისთვის, ან სადაც მათმა წარუმატებლობამ შეიძლება გამოიწვიოს თემის პირდაპირი ან ირიბი დაზიანება. სტრუქტურული ელემენტები დაპროექტებული და აშენებული იქნება კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების მიერ და სერტიფიცირებული ან დამტკიცებული კომპეტენტური ორგანოების ან პროფესიონალების მიერ.

##### **PR 4.11:**

11. როდესაც სტრუქტურული ელემენტები ან კომპონენტები, როგორცაა კაშხლები, ნარჩენების კაშხლები ან ფერფლის აუზები, განლაგებულია მაღალი რისკის ადგილებში და მათმა წარუმატებლობამ ან გაუმართაობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თემის უსაფრთხოებას, კლიენტი ჩართავს ერთ ან მეტ კვალიფიციურ ექსპერტს შესაბამისი და აღიარებული გამოცდილებით მსგავს პროექტებში, დიზაინსა და მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირებისგან

განცალკევებით, რათა მან განახორციელოს მიმოხილვა, რაც შეიძლება ადრე, პროექტის შემუშავებისას და პროექტის დიზაინის, მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ეტაპებზე. პროექტებისთვის, რომლებიც ამუშავებენ მოძრავ აღჭურვილობას საზოგადოებრივ გზებზე და იყენებენ სხვა ინფრასტრუქტურას, კლიენტი შეეცდება თავიდან აიცილოს ასეთი აღჭურვილობის მუშაობასთან დაკავშირებული ინციდენტებისა და ავარიების შემთხვევები.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

2012 წლის მარტის ტექნიკურ-ეკონომიკური წინასწარი კვლევა<sup>27</sup> ადასტურებს, რომ 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის იანვრამდე პროექტის წინასწარი ტერიტორიის ინსპექტირება მოიცავდა:

- a. ჭაბურღილის ინტრუზიული გამოკვლევა;
- b. გეოფიზიკური გამოკვლევა მთავარ კაშხლის უბნებზე და ელექტროსადგურების უბნებზე სეისმური რეფრაქციის ტექნიკის გამოყენებით;
- c. სტრუქტურის უბნების გეოლოგიური რუკების შედგენა;
- d. ყველა სტრუქტურის უბნის გეომორფოლოგიური რუკების და ხეობის სხვა შესაბამისი მონაკვეთების მეწყრული რუკების შექმნა აერო ფოტოგრაფიის გამოყენებით;
- e. მეწყრული საშიშროების რუკის შექმნა, რომელიც მოიცავს თითოეული მეწყრული მახასიათებლის რისკის რეიტინგის მინიჭებას;
- f. კლდის მასის რუკის შედგენა;
- g. ნიმუშების ლაბორატორიული ტესტირება.<sup>28</sup>

გარდა ამისა, AGL-ის ინჟინრებმა შეადგინეს გეომორფოლოგიური და მეწყრული რუკები, მეწყრების არსებობის შესახებ საფრთხის გამო.

გამსესხებლების დამოუკიდებელმა ინჟინრებმა 2013 წელს განაცხადეს, რომ რადგან არ იყო ხელმისაწვდომი დეტალური გეოლოგიური კვეთა გვირაბში კლდის ყველა ტიპის შესაფასებლად, საჭირო იქნებოდა დამატებითი ტესტები კლდის ქცევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად წყალთან მუდმივი კონტაქტის დროს. დამოუკიდებელმა ინჟინრებმა გვირაბის

<sup>27</sup> 2013 წლის ივნისის გარემოს დაცვის და სოციალური შესაბამისობის აუდიტის მიხედვით, გეოლოგიური ანგარიში და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში. (იხ. გვ. 5 <https://www.adb.org/sites/default/files/project-document/77225/47919-014-geo-escar-01-draft.pdf>)

<sup>28</sup> ტექნიკურ-ეკონომიკური წინასწარი კვლევის ანგარიში (16 მარტი 2012).

გაყვანის სამუშაოების პარალელურად ყოვლისმომცველი გამოკვლევის პროგრამას გაუწიეს რეკომენდაცია, რათა მოხდეს მიწისქვეშა პირობებზე სწრაფი რეაგირება და გვირაბის ჩამონგრევის რისკის გამორიცხვა. ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით აქტუალური იყო, რადგან დამოუკიდებელი ინჟინრების თქმით, უხაზო გვირაბების გამოყენების გადაწყვეტილება, მათთვის მთავარი საზრუნავი იყო.

შესაბამისობის განხილვის პროცესის ფარგლებში, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა მოითხოვა, რომ ბანკის მენეჯმენტმა და AGL-მა წარმოადგინონ მტკიცებულება გათხრების სამუშაოების დროს განხორციელებული ტესტირების პროგრამის შესახებ. ბანკის ხელმძღვანელობამ შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტს მიუთითა მონიტორინგის ანგარიშებზე მშენებლობის ეტაპიდან და გამოძიების ანგარიშზე გვირაბის ნგრევასთან დაკავშირებით. მონიტორინგის ანგარიშები სვავს კითხვებს ქანების ხარისხთან დაკავშირებით, კლდის მასის კლასიფიკაციის ჩათვლით, ასევე გვირაბების გაყვანისა და ქანების დამხმარე ღონისძიებების ხარისხთან დაკავშირებით. დამოუკიდებელმა ინჟინრებმა განაცხადეს, რომ გვირაბის ნაწილობრივი ნგრევა მოხდა 2016 წლის 28 თებერვალს, რაც მათ მიაწერეს „რღვევის ზონის სუსტ და რბილი ქანების მასალას“. დამოუკიდებელმა ინჟინრებმა ჩამოაყალიბეს იმ პრობლემების სია, რომლებიც მათ დააფიქსირეს გვირაბის ინსპექტირების დროს, მათ შორის, რეკომენდირებული გამოსასწორებელი ღონისძიებები, ასევე შემდგომი ინსპექტირებისას, AGL-მა შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტს მიაწოდა გამძლეობის ტესტის რეესტრი (Slake Durability Test Register) მომზადებული Mott MacDonald-ის მიერ (AGL-ის ინსტრუქციით), რომელიც მოიცავს გათხრების ფაზის დროს ჩატარებული ტესტების შედეგებს.

საბოლოო ჯამში, დანგრევის შემდგომ სარემონტო სამუშაოების ინსპექტირებისას, დამოუკიდებელი ინჟინრები აღნიშნავენ ქვის ტიპების არსებობას, რომლებიც კარგად არ ურთიერთქმედებენ ცემენტთან და კლდის ნიმუშებს, რომლებიც წყალში ჩაძირვისას იშლება. გვირაბის დაზიანების გამომწვევი მიზეზია, დამოუკიდებელი ინჟინრების წინასწარი შეფასების მიხედვით, ის რომ ცვლადი კლდის მასის ქცევა საკმარისად ცნობილი არ იყო ეფექტური პრევენციული ზომების შესაქმნელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტისთვის არ ჩანს, რომ რეკომენდირებული ტესტირება ჩატარდა გათხრების ფაზაში, ან თუ ჩატარდა, შედეგებზე არ მომხდარა სათანადო ანგარიშგება ან რეაგირება.<sup>29</sup>

---

<sup>29</sup> ბანკის ხელმძღვანელობა აღნიშნავს პროექტის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშის კომენტარში, რომ მისი აზრით, გეოლოგიური კვლევები და გვირაბის ქანების ტესტირება არის „ტექნიკური საკითხები“, რომელიც არ არის დაკავშირებული ESP-თან, რადგან ზედაპირული სრიალის გამო მეწყერსაშიში რისკები შემცირდა და გვირაბის გაყვანა მოხდა ღრმა კლდოვან წარმონაქმნებში, თემის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ეს ნაკლებად უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ გვირაბების ნგრევას არ მოჰყოლია დაზიანებები ან სიკვდილი, ეს არ



**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა უზრუნველყო ვრცელი გეოლოგიური კვლევები კლიენტის მიერ პროექტის დიზაინის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენები ინჟინრების ანგარიშები მიუთითებს, რომ გამსესხებლების დამოუკიდებელი ინჟინრების რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, ბანკმა ნება დართო AGL-ს გაეგრძელებინა მუშაობა, პროექტის მშენებლობის დროს ცვლადი კლდის მასის წყალში ჩაძირვისას ქცევის ადეკვატური ტესტირების გარეშე.

**საკითხი 8:** თუ დადგინდა, რომ პროექტმა (ან პროექტის ეტაპმა) მოახდინა პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემ(ების) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, უზრუნველყო თუ არა ბანკმა, კლიენტის მიერ პროექტთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება, რათა ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებსა და შესაბამის სამთავრობო უწყებებს სცოდნოდათ (ა) პოტენციური ზემოქმედების და (ბ) კლიენტის მიერ შემოთავაზებული პრევენციის, შერბილებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ზომების შესახებ, შესაბამისად. უზრუნველყოფს თუ არა ბანკი, რომ კლიენტი რეგულარულად განიხილავდეს ზომებს და რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები და ორგანიზაციები იყვნენ მუდმივად ჩართულები პროექტში, რომ კლიენტი აცნობებს მათ გეგმებისა და ვალდებულებების განხორციელების სტატუსის, შედეგების შესახებ და განიხილავდეს მათთან ერთად გეგმებში შესატან მნიშვნელოვან ცვლილებებს და ამ ცვლილებების განხორციელების პროგრესს? (PR 4, პუნქტი 8)

**a. საჩივარი**

მომჩივნები სვამენ კითხვებს PR 4-თან შესაბამისობის შესახებ გეოლოგიური კვლევების ადეკვატურობასთან დაკავშირებით. მომჩივნები ასევე ამტკიცებენ, რომ ბანკმა და AGL-მა არ აცნობეს დაინტერესებულ მხარეებს პროექტის გეგმებში ცვლილებების შესახებ, მათ შორის, გვირაბის ჩამონგრევის შედეგად მიღებული ცვლილებების შესახებ. (მომჩივრები იმოწმებენ PR 10.14-ს ამ საკითხთან დაკავშირებით.)

**b. ბანკის პასუხი**

ბანკის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება PR 4-ს. ბანკი აცხადებს, რომ შესაბამისი რისკები სათანადოდ იყო განხილული ESIA-ში და რომ AGL დაუკავშირდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს, რომლებმაც გამოთქვეს შეშფოთება და განუმარტა მათ პროექტის ტექნიკური მოსაზრებები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანკი აცხადებს, რომ მომჩივნებმა შესაძლოა არ იცოდნენ ზოგიერთი კომუნიკაციის შესახებ AGL-სა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს შორის.

---

ნიშნავს, რომ პროექტის დიზაინი იყო ადეკვატური როგორც ფუნქციონალური, ასევე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ეს საკითხი მოყვანილია წინამდებარე შესაბამისობის ტექნიკურ დავალებაში.

**c. კლიენტის პასუხი**

AGL აცხადებს, რომ „თანმიმდევრული იყო სოციალური მოთხოვნების შესრულებაში, განსაკუთრებით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მხრივ, რომელშიც მონაწილეობდა ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე და დაუცველი ჯგუფი, ასევე ინფორმაციის გაზიარების, მიწის შესყიდვის პროცედურის და საჩივრების მექანიზმის მხრივ პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში“. AGL აცხადებს, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მთავარ მედია საშუალებებთან პროექტის განხორციელების განმავლობაში. AGL აცხადებს, რომ ხიჭაურის მთავარ ბანაკში ატარებდა რეგულარულ ბრიფინგებს ძირითადი მედია საშუალებებისთვის, ხოლო ინფორმაციის გასაჯაროებისთვის AGL-მა შეიმუშავა ხშირად დასმული კითხვები (FAQ) ქართულ და ინგლისურ ენებზე და რეგულარულად ანახლებდა კომპანიის ვებ-გვერდს.

**EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 4.8)**

**PR 4.8:**

8. როდესაც პროექტი ან პროექტის ეტაპი უქმნის არსებით რისკებს ან ახდენს პოტენციურად უარყოფით ზემოქმედებას ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, კლიენტი გააზიარებს პროექტთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას, რათა თემებსა და შესაბამის სამთავრობო უწყებებს ესმოდათ ეს რისკები და პოტენციური ზემოქმედება, ისევე როგორც კლიენტის მიერ შემოთავაზებული პრევენციის, შემარბილებელი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებები, საჭიროებისამებრ. კლიენტი კონსულტაციებს გაუწევს ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებს და შესაბამის სამთავრობო უწყებებს შემოთავაზებული ზომების შესახებ, სანამ ისინი საბოლოო სახეს მიიღებს და გაითვალისწინებს მათ შეშფოთებასა და შენიშვნებს. კლიენტი რეგულარულად განიხილავს ზომებს და ჩართავს ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებსა და სააგენტოებს, აცნობებს მათ გეგმებისა და ვალდებულებების განხორციელების სტატუსს, შედეგებს და განიხილავს გეგმებში შესატან საჭირო ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას, ცვლილებების განხორციელებამდე. გაზიარებული ინფორმაცია შეიძლება იყოს მოკლე შეჯამების სახით (დეტალების საკმარისი დონის შენარჩუნებით, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა სრულად გააცნობიერონ რისკები, პოტენციური ზემოქმედება და განსახორციელებელი ზომები) და/ან რედაქტირებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაფარვის მიზნით.

**d. დაკვირვებები და დასკვნები**

ESIA-ში აღწერილია შეხვედრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან, რომლებზეც თემის წევრებმა გამოთქვეს შემფოთება პროექტის მიერ მეწყერის გამოწვევასთან დაკავშირებით.<sup>30</sup> გამსესხებლების მიერ პროექტის განმავლობაში მონიტორინგი მოიცავდა AGL-ის SEP-თან შესაბამისობის შეფასებას, მათ შორის, რეკომენდაციებს დაინტერესებულ მხარეთა სიის და SEP-ის სხვა ასპექტების გასაუმჯობესებლად და დასახვეწად.

2017 წლის აგვისტოს გვირაბის ნგრევის შემდეგ, მონიტორინგმა მოითხოვა AGL-ს დაედგინა და შეეფასებინა თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები პროექტის საოპერაციო ფაზაში, შეემუშავებინა და განეხორციელებინა პრევენციული ზომები და გეგმები რისკების მოსაგვარებლად, მათ შორის, საზოგადოებისთვის რისკების შეფასება, საკომუნიკაციო მექანიზმები და გადაუდებელი ზომები. გარდა ამისა, გაიცა რეკომენდაცია, რომ AGL-ს მოემზადებინა საკომუნიკაციო მასალები, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული პრობლემები და რომ მისი გარემოს დაცვის და სოციალური გუნდი ჩართულიყო საზოგადოებრივი კომუნიკაციების შემუშავებაში, რათა პასუხები გაეცეს თემის მიერ წამოჭრილ საკითხებს.

თუმცა, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის ადგილზე ვიზიტის დროს 2019 წლის ოქტომბერში, ადგილობრივმა სოფლის მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ მათ გაუჭირდათ ინფორმაციის მოპოვება გვირაბის ნგრევის საპასუხოდ გატარებული გამოსასწორებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-ს გამოექვეყნებინა რელევანტური, პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია, რათა ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებს და შესაბამის სამთავრობო უწყებებს სცოდნოდათ (ა) პოტენციური ზემოქმედების და (ბ) AGL-ის შემოთავაზებული პრევენციის, შერბილების და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ზომების შესახებ, მათ შორის, პროექტში ცვლილებებთან დაკავშირებით. გამსესხებლების სახელით მომზადებული მონიტორინგის ანგარიშები რეგულარულად აფასებდა AGL-ის კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან, თუმცა, ანგარიშები არ აფასებენ დაინტერესებულ მხარეთა წვდომას ან რეაქციას ასეთ კომუნიკაციებზე. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი არ გამოხატავს აზრს იმის შესახებ, იყო თუ არა AGL-ის კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების შესახებ ადეკვატურად აწოდებდა თუ არა ინფორმაციას ადგილობრივ თემებს.

<sup>30</sup> მაგ., ESIA, ცხრილი 6.4, pp. 96-98, ცხრილი 6.5, pp. 100-101.

**საკითხი 9:** უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ კლიენტს მოეხდინა ანგარიშგება პროექტის რისკებსა და პოტენციურ ზემოქმედებასთან და ნებისმიერი სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების წინაშე, დაინტერესებული მხარეებისთვის ანგარიშგების ნაწილად? (PR 4, პუნქტი 9)

**a. საჩივარი**

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტს „ახლდა ინფორმაციის გამჟღავნებისა და საზოგადოების მონაწილეობის არასწორი პროცესი“. მომჩივანთა თქმით, 2013 წლის სექტემბერში გამოცემული SEP ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ „AGL უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების კარგად ინფორმირებას პროექტის შესახებ მისი არსებობის მანძილზე“. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ეს ვალდებულება მკაფიოდ არ არის მითითებული 2017 წლის სექტემბრის SEP-ში პროექტის საოპერაციო ეტაპისთვის. მომჩივანთა თქმით, „გაურკვეველია, როგორ სრულდება SEP-ში მოცემული რიგი ვალდებულებები, მაგალითად ის, რაც ეხება „ოპერაციების ფაზის ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას და რეგულარულ ჩართულობას ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან ამ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, მათ შორის, შემარბილებელი ღონისძიებების ტიპსა და ეფექტიანობას. და „კომპანიის ვებგვერდის გაშვება [www.agl.com.ge](http://www.agl.com.ge) რომელიც რეგულარულად განახლდება, რათა უზრუნველყოს, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის“. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ SEP-ის 2017 წლის მაისის განახლება არ იყო განთავსებული ბანკის ვებსაიტზე „მიუხედავად იმისა, რომ პროექტის სტატუსის შესახებ გაურკვეველობაა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს“.

**b. ბანკის პასუხი**

როგორც აღინიშნა, ბანკის პასუხი კონკრეტულად არ ეხება PR 4-ს. PR 10-თან დაკავშირებით, ბანკი აცხადებს, რომ „დაინტერესებული მხარეების ჩართულობა როგორც ESIA-ს მომზადებისა და გაზიარებისას, ასევე პროექტის განხორციელების დროს იყო ვრცელი და განხორციელდა PR10-ის შესაბამისად“.

**c. კლიენტის პასუხი**

როგორც მე-8 საკითხშია აღნიშნული, AGL აცხადებს, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტების მთავარ მედიასაშუალებებთან პროექტის განხორციელების განმავლობაში და რომ ატარებდა რეგულარულ ბრიფინგებს ხიჭაურის მთავარ ბანაკში მთავარი მედია საშუალებებისთვის, შეიმუშავა ხშირად დასმული კითხვები და რეგულარულად ანახლებდა კომპანიის ვებგვერდს. AGL აცხადებს, რომ იგი მუდმივად ცდილობდა ჩართულობის შენარჩუნებას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის განვითარების ადრეული ეტაპიდან და ატარებდა საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა ჯგუფებთან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში.

AGL-ის მიხედვით, 2012 წლიდან, მშენებლობის დაწყებამდე, AGL-მა გამართა მრავალი შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ორ მუნიციპალიტეტში (ხულო და შუახევი), მათ შორის იყო შეხვედრები თემის ლიდერებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიის წარმომადგენლებთან. AGL აცხადებს, რომ შეხვედრების მიზანი იყო „ზოგადი სიახლეების გაცნობა პროექტების წინასწარი კვლევების შესახებ (გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება), ასევე, დეტალები პროექტის განხორციელების და დაგეგმილი სამშენებლო აქტივობების შესახებ, როგორცაა გარემოზე და სოციალურ ზემოქმედება (ადგილობრივი გარემოზე ზემოქმედების შეფასება), მიწის შესყიდვის პროცედურა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივები“.

### **EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 4.9)**

PR 4.9 ითვალისწინებს:

9. კლიენტი რეგულარულად (მაგალითად, ყოველწლიურად) პროექტის რისკების, პოტენციური ზემოქმედების და სარგებელისა და ნებისმიერი სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს EBRD-ის და ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემს (თემებს) PR 10-ის შესაბამისად, როგორც მისი დაინტერესებული მხარეების წინაშე ანგარიშგების ნაწილს.

#### **d. დაკვირვებები და დასკვნები**

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამსესხებულები საწყისი ეტაპიდან ახორციელებდნენ პროექტის მონიტორინგს. შემდგომი მონიტორინგის ანგარიშები თანმიმდევრულად ეხება დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მათ შორის, ინფორმაციის საჯარო გამჟღავნებასა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან კომუნიკაციას. მონიტორინგის ანგარიშები განსაზღვრავს AGL-ის ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის მრავალ გზას, მათ შორისაა: საჯარო საინფორმაციო ცენტრები; თემის წევრებთან რეგულარული შეხვედრები; საინფორმაციო გვერდები ადგილობრივ მედიაში; და ბროშურებისა და ფლაერების დარიგება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ოფისებში, საჯარო საინფორმაციო ცენტრებსა და ადგილობრივ უნივერსიტეტში.

იმავე ანგარიშებში მოცემულია რეკომენდაციები კომუნიკაციისა და თემებისთვის ინფორმაციის გამჟღავნების გასაუმჯობესებლად. მათ შორის,

- AGL-ის გარემოს დაცვის და სოციალური გუნდის ჩართვა ყველა პრესრელიზისა და კომპანიის განცხადების განხილვაში და/ან წვლილის შეტანაში, თემის პრობლემების მიმართ მათი სენსიტიურობის უზრუნველსაყოფად;

- გარემოს დაცვის და სოციალური გვერდის განახლება AGL-ის ვებსაიტზე, რათა მომხმარებლისთვის უფრო მოსახერხებელი გახდეს მისი გამოყენება და ასახული პროექტის მიმდინარე ფაზა;
- ადგილობრივად და ვებსაიტებზე გავრცელებისთვის „ხშირად დასმული კითხვების“ სტილის ბროშურის ან მსგავსი რამის მომზადება, რომელიც მოიცავს ძირითად გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებს და ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წამოჭრილ პრობლემებს;
- AGL-ის ვებ-გვერდის საშუალებით, რეალურ დროში ეკოლოგიური ხარჯის გაზომვების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და იმის ახსნა, თუ როგორ ხდება ეკოლოგიური ხარჯის ვალდებულებების შესრულება და გაზომვა.

#### e. კვლევის შედეგები

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-მა რეგულარულად მოეხდინა ანგარიშგება პროექტის რისკების, პოტენციური ზემოქმედებისა და სარგებლის და ნებისმიერი სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემების წინაშე. როგორც ზემოთ მოყვანილ მე-8 საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი არ გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, მოახდინა თუ არა დაინტერესებული მხარეებისთვის AGL-ის ანგარიშგებამ რისკების, პოტენციური ზემოქმედებისა და სარგებლის შესახებ ადგილობრივი თემების ადეკვატური ინფორმირება. თუმცა, 2019 წლის ოქტომბერში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის შეხვედრებზე დაყრდნობით, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ზოგიერთმა ადამიანმა მიიჩნია, რომ დაინტერესებული მხარეებისთვის AGL-ის ანგარიშგება სათანადოდ არ აცნობდა მათ პროექტის რისკებს, პოტენციურ ზემოქმედებებსა და სარგებელს.

**საკითხი 10:** უზრუნველყო თუ არა EBRD-მა, რომ კლიენტს მიეღო ზომები, რათა მოეხდინა პრევენცია, თავიდან აეცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული ზემოქმედების გამწვავება, როგორცაა მეწყერი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას (ან შეიძლება წარმოშობილიყო) პროექტის აქტივობებით გამოწვეული მიწათსარგებლობის ცვლილებების შედეგად? (PR 4, პუნქტი 15)

#### a. საჩივარი

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ESIA აღიარებს, რომ აჭარის რეგიონი მაღალია ბუნებრივი საფრთხეების რისკი, ESIA არასწორად „აგხადებს, რომ პროექტის აქტივობების შედეგად, არ დარჩება მნიშვნელოვანი მეწყერის რისკები შერბილების შემდეგ.“

#### b. ბანკის პასუხი

ბანკი უპირველეს ყოვლისა ამტკიცებს, რომ ექსპლუატაციაში გაშვებისას გვირაბების სტრუქტურულ მთლიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს მეწყრულ რისკთან კავშირი არ აქვს. ბანკი დამატებით აცხადებს, რომ პროექტის აქტივობების მიერ მეწყრული რისკის გამწვავების პოტენციალთან დაკავშირებით, AGL-მა მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირება მოახდინა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან ჩართულობისთვის, რომლებმაც გამოთქვეს შეშფოთება, რათა აეხსნათ პროექტის ტექნიკური თავისებურებანი. ბანკი აცხადებს, რომ რისკები სრულად იყო შეფასებული და გაზრებული ESIA-ს დროს „და მშენებლობის დროს მონიტორინგმა დაადასტურა ყველა რისკის შეფასება, რომელიც იმ დროს განხორციელდა“.

### c. კლიენტის პასუხი

AGL ამტკიცებს, რომ „მან გადადგა ყველა საჭირო ნაბიჯი მეწყერის ნებისმიერი რისკის შესარბილებლად პროექტის აქტივობების გათვალისწინებით“. AGL დამატებით აცხადებს, რომ „[არ] არ ყოფილა ინფორმაცია ან შემთხვევა, რომელიც მიუთითებს, რომ პროექტის სამშენებლო საქმიანობამ გამოიწვია მეწყერი“. AGL ამტკიცებს, რომ გვირაბის ხაზის ზემოთ რაიონებში მეწყრული აქტივობა არ დაფიქსირებულა და რომ „ეს არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ პროექტს მიუძღვის წვლილი არ რაიმე მეწყრულ აქტივობაში და ადეკვატურად გაუმკლავდა ყველა პოტენციურ რისკს“.

### EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 4.15)

PR 4.15 ითვალისწინებს:

15. კლიენტი მოახდენს პრევენციას და თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული ზემოქმედების გამწვავებას, როგორცაა მეწყერი ან წყალდიდობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის აქტივობებით გამოწვეული მიწათსარგებლობის ცვლილებების შედეგად.

### d. დაკვირვებები და დასკვნები

პროექტის ESMP მოიცავს მრავალ შემარბილებელ ღონისძიებას მეწყრების რისკის შესამცირებლად, მათ შორის, ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია გზისა და კაშხლების მშენებლობასთან, გვირაბის გათხრებთან, მისასვლელი გზების ეროზიასთან და ექსპლუატაციის დროს წყალსაცავის დონის ცვალებადობასთან.<sup>31</sup>

<sup>31</sup> ESMP, ცხრილი 2.2.5 (გეოლოგია, მეწყერი და სეისმური რისკები), გვ. 15-17.

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის ადგილზე ვიზიტის დროს, თემის მცხოვრებლებმა გამოთქვეს შეშფოთება მეწყრების მიმართ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიების მოწყვლადობის შესახებ და არაერთხელ მიუთითეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტის გეოლოგიის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ტარიელ ტუსკიას მიერ მომზადებულ ანგარიშზე. მომჩივნებმა შემდგომში წარმოადგინეს ტუსკიას ანგარიშების ასლები. ანგარიშებში აღნიშნულია, რომ 1989 წელს დაგეგმილი მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე დამანგრეველი მეწყერი მოხდა, რის შედეგადაც 24 ადამიანი დაიღუპა. ტუსკია ასევე აღნიშნავს, რომ დიდაჭარის კაშხლისთვის დაგეგმილ ტერიტორიაზე, ასევე, სადერივაციო გვირაბის მარშრუტზე, მეწყრული პროცესები და რღვევები დაფიქსირდა. მისი თქმით, შუახევის ენერგობლოკის ტერიტორია სამშენებლოდ შესაფერისია, მაშინ როდესაც —

ყველა სხვა ადგილი არის ზვავების ზონა და დაგეგმილი კაშხლების ან გვირაბების აშენება გამოიწვევს გეოლოგიური პროცესების გააქტიურებას, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და გარემოს, შეიცვლება მაღალმთიანი აჭარის კლიმატი, მდინარეების ჭირუხისწყლის, სხალთის და აჭარისწყლის გვირაბებით დაგროვება სამივე ხეობის ჰიდროლოგიურ პირობებს შეაფერხებს.<sup>32</sup>

პროექტის ESIA-მ აღიარა, რომ „სამშენებლო ფაზის განმავლობაში პროექტის აქტივობებს აქვს მეწყერის რისკის გაზრდის პოტენციალი“, მათ შორის „გვირაბების აფეთქებას“.<sup>33</sup> ESIA-ს მიხედვით, მეწყერის რისკი იყო “უპირველესი განხილვის საგანი პროექტის სტრუქტურების ადგილზე პროექტის მიზანშეწონილობისა და დიზაინის ეტაპებზე“.<sup>34</sup>

სრული გეოლოგიური რისკის შეფასება განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის დასაბუთების შემუშავების ეტაპზე და გამოყენებულ იქნა პროექტის დიზაინის გუნდის მიერ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტი არ ზრდის მეწყრულ რისკებს. რისკის შემცირება ძირითადად მიღწეულ იქნა ნაგებობების, მათ შორის, კაშხლების, წყალსაცავების, ელექტროსადგურებისა და რეზერვუარების ადგილმდებარეობის გადატანით პოტენციურად დიდი მეწყრებისგან დაშორებით უმნიშვნელო ან დაბალი მეწყრული რისკის ზონაში.

ამიტომ მიჩნეულია, რომ პროექტმა ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოიწვიოს მეწყერის მნიშვნელოვანი დამატებითი რისკი.<sup>35</sup>

შემარბილებელი ღონისძიებების მიღების შემდეგ, ESIA-მ ვერ აღმოაჩინა პროექტის საქმიანობით გამოწვეული მეწყერის მნიშვნელოვანი დარჩენილი რისკები.

<sup>32</sup>გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის ტარიელ ტუსკიას განმარტებითი ბარათი, დათარიღებული 17 ივლისი 2013, გვ. 2 (ინგლისური თარგმანი).

<sup>33</sup> ESIA, ტომი. I, არატექნიკური რეზიუმე, სექტემბერი 2013, § 6.1, გვ. 20.

<sup>34</sup> ESIA, ტომი. I, არატექნიკური რეზიუმე, სექტემბერი 2013, § 6.1, გვ. 20.

<sup>35</sup> ESIA, ტომი. I, არატექნიკური რეზიუმე, სექტემბერი 2013, § 6.1, გვ. 20.



**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-მა მიიღო ზომები, მოეხდინა პერვენიცია, თავიდან აეცილებინა და მინიმუმამდე დაეყვანა ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული ზემოქმედებების გამწვავება, როგორცაა მეწყერი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის აქტივობებით გამოწვეული მიწათსარგებლობის ცვლილების შედეგად. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასევე, აღნიშნავს, რომ ეს დასკვნა არ ეხება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის წევრების მიერ გამოთქმული მეწყერებთან დაკავშირებული შიშისა და შეშფოთების ლეგიტიმურობას.

**საკითხი 11:** უზრუნველყო თუ არა ბანკმა, რომ კლიენტს თავიდან აეცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა პროექტის აქტივობებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ წყალზე, მცენარეულობასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც გამოიყენება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მიერ? (PR 4, პუნქტი 16)

**a. საჩივარი**

მომხივნები ამტკიცებენ, რომ როგორც ნავარაუდევია პროექტის PCM-ის (პროექტის საჩივრების მექანიზმი) მოთხოვნა No. 2018/03-ის საჩივარში, პროექტის მშენებლობამ „სოფელში სასმელი წყალი არ დატოვა“ და გამოიწვია „მეწყერული პროცესების გაძლიერება; მოსავლის მოცულობის შემცირება; ადგილობრივი მდინარიდან კალმახისა და თევზის სხვა სახეობების გაუჩინარება, რომლებიც დაცულია საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების IUCN-ის წითელი მონაცემების სიაში“.

**b. ბანკის პასუხი**

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჩივარზე ბანკის პასუხი უშუალოდ არ ეხება PR 4-ს. პასუხი არც ადგილობრივ წყალს, მცენარეულობას ან სხვა ბუნებრივ რესურსებს ეხება. ბანკი კონკრეტულად უარყოფს, რომ პროექტმა გააძლიერა მეწყერის რისკი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის.

**c. კლიენტის პასუხი**

AGL-ის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება პროექტის ზემოქმედებას ადგილობრივ წყალზე, მცენარეულობასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც გამოიყენება ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების მიერ. AGL აცხადებს, რომ მისი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობის ფარგლებში, სოფელ ჩანჩხალოში სასმელი წყლის ახალ მილსადენს აშენებს.

**EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 4.16)**

PR 4.16 ითვალისწინებს:

16. კლიენტი, ასევე, თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს პროექტის აქტივობებით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას ჰაერზე, ნიადაგზე, წყალზე, მცენარეულობასა და ფაუნაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც გამოიყენება ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მიერ.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

პროექტის ESMP მოითხოვს გვირახის გაყვანამდე წყლის გამოყენების საბაზისო ხაზის დაწესებას და მოითხოვს AGL-გან “[უზრუნველყოს დროებითი და მუდმივი სათემო წყლის გამოსავალი, თუ მიწისქვეშა წყლებსა და ჰაბურდილებზე მოხდება ზემოქმედება”.<sup>36</sup> ESMP, ასევე, მოითხოვს მიწისქვეშა წყლების დაცვას, მათ შორის, წყაროს წყლის ნაკადების წლიურ მონიტორინგს და სასმელი წყლის შემცირებული ხელმისაწვდომობის კომპენსაციას სასმელი წყლის ალტერნატიული წყაროს მეშვეობით.<sup>37</sup> 2019 წლის ოქტომბერში, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის ადგილზე ვიზიტის დროს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა განაცხადეს, რომ პროექტის მშენებლობისას წყაროს წყლის დინება შეფერხდა. AGL და ბანკი უარყოფენ, რომ სამშენებლო სამუშაოებმა გავლენა მოახდინა წყაროს წყლის ნაკადზე. გამსესხებელთა მონიტორინგის კონსულტანტი „პრიორიტეტულ ქმედებად“ განსაზღვრავს, რომ AGL-მა ჩაატაროს „დამოუკიდებელ ჰიდროგეოლოგიურ განხილვა იმ საჩივრების, რომლებიც წარმოდგენილ იქნა თემის წევრების მიერ გვირახის გაყვანის დაწყებიდან და შემდეგ გვირახის შევსების შემდეგ წყაროების გაქრობასთან და ხელახლა გაჩენასთან დაკავშირებით.”<sup>38</sup>

შემდგომმა ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვამ დაასკვნა, AGL-ისა and Arup-ის (გამსესხებლების მიერ ჩართული) მიერ მოწოდებული მონაცემთა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, რომ პროექტს გავლენა არ მოუხდენია წყაროების მკვებავ ჰიდროგეოლოგიურ სისტემაზე სოფლებში - ღორკანაული, კინჭაური და მახლაკიძეები. ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვის რეზიუმე განსაზღვრავს AGL-ის მიერ განხორციელებულ აქტივობებს სოფლის მოსახლეობის საჩივრების საპასუხოდ და აღნიშნავს შეზღუდვებს მიმოხილვაში, მათ შორის, საბაზისო მონაცემების არარსებობას და არასრული ინფორმაციის გამო, დასკვნების დადასტურების შეუძლებლობას.<sup>39</sup> შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი არ გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რეალურად აფერხებდა თუ არა სამშენებლო საქმიანობა თემისათვის წყაროს წყალზე წვდომას, მხოლოდ აღნიშნავს, რომ არასრულ ინფორმაციაზე

<sup>36</sup> ESMP, § 2.2, ცხრილი 2.2.2 (რეზიუმე სოციალური მენეჯმენტისთვის), გვ. 7.

<sup>37</sup> ESMP, § 2.2.4, ცხრილი 2.4 (წყლის რესურსები და წყლის ხარისხი), გვ. 14.

<sup>38</sup> გამსესხებელთა ჯგუფი (EBRD, IFC, ADB); შუახევის ჰიდროენერგეტიკული პროექტი, საქართველო; გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის ანგარიშები

<sup>39</sup> სრული მიმოხილვა არ იყო ხელმისაწვდომი ამ შესაბამისობის მიმოხილვის დასრულების თარიღისთვის.

დაფუძნებული დოკუმენტების ანალიზი, არ იძლევა საპირისპიროს მტკიცების შესაძლებლობას.

ამ შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშის პროექტის საპასუხოდ, ბანკის ხელმძღვანელობამ შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი გადაამისამართა დოკუმენტების სერიაზე, რომლებიც ასახავს წყაროს წყლის ყოველთვიურ მონიტორინგს 2014 წლიდან. ბანკის მენეჯმენტი ასევე აღნიშნავს, რომ პროექტის ESIA-მ აღმოაჩინა, რომ ჰიდროგეოლოგიაში ცვლილებების რისკი უმნიშვნელოა და ამის საფუძველზე არასაკმარისია მიწისქვეშა წყლების რეჟიმის დასახასიათებლად დამატებითი კვლევების „საგრძნობი“ ღირებულების გამართლებისთვის. ბანკის მენეჯმენტი დამატებით აღნიშნავს, რომ 2020 წელს გამსესხებულების ჯგუფის მიერ დაკვეთილ საბოლოო ანგარიშში არ აღმოჩნდა კავშირი გვირაბის სამუშაოებსა და მომჩივანთა მიერ გამოვლენილ წყაროს წყლის პრობლემებს შორის. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი მიესალმება ამ დასკვნას და აღნიშნავს, რომ ზემოქმედების არარსებობის შემდგომი დასკვნა, არ განსაზღვრავს არის თუ არა საკმარისი პროექტის საბაზისო მონაცემები. მართლაც, პროფილაქტიკური მიდგომა არ გვირჩევს გაურკვეველობის პირობებში პოტენციურად მავნე აქტივობების გაგრძელებას. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ეთანხმება ბანკის მენეჯმენტს, რომ მშენებლობის დროს პრევენციული ზომების მიღებას შეუძლია შეამსუბუქოს და შეამსუბუქა ზიანის რისკი.

წყლის საარსებო გარემოსთვის მიყენებული ზიანის მინიმუმამდე დასაცვანად და წყლის ეკოლოგიის დასაცავად, ESMP მოითხოვს, რომ მდინარის კონსტრუქციამ უზრუნველყოს მინიმალური სამუშაო არეალი, დაბინძურების პრევენციის ღონისძიებები, სედიმენტის კონტროლი, თევზაობის აკრძალვა თანამშრომლებისთვის და სამშენებლო სამუშაოების აკრძალვა მიგრაციის პიკის/ქვირითობის პერიოდში მდინარე მაჭახლისწყალზე.<sup>40</sup> ESMP, ასევე, მოუწოდებს AGL-ს მინიმუმამდე დაიყვანოს სამშენებლო უბნების გარშემო მცენარეული საფარისგან გაწმენდა და უზრუნველყოს სათანადოდ ხელახალი ვეგეტაცია და ტყის აღდგენა მშენებლობის დროს და ეს გაგრძელდეს ექსპლუატაციის დროს.<sup>41</sup>

ფაუნის დაცვასთან დაკავშირებით, ESMP მოუწოდებს AGL-ს, ჩართოს ადგილობრივი ეკოლოგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების პროცესში, როგორცაა, მოზუდარი ფრინველების, ძუძუმწოვრების, ამფიბიების და რეპტილიების შემოწმება ვეგეტაციის გაწმენდამდე, ნადირობისა და თევზაობის აკრძალვის დაწესება და ღამურის და ფრინველის ყუთების დაყენება.<sup>42</sup> ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა მოიცავს გაძლიერებისა და ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის ღონისძიებებს თევზების დასაცავად,

<sup>40</sup> ESMP, § 2.2, ცხრილი 2.2.2 (რეზიუმე სოციალური მენეჯმენტისთვის), გვ. 11.

<sup>41</sup> ESMP, § 2.2.12, ცხრილი 2.12 (ლანდშაფტი და ვიზუალური კეთილმოწყობა), გვ. 26.

<sup>42</sup> ESMP, ცხრილი 3.3 (ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება), გვ. 50.

ჰაბიტატის დანაკარგის შესამცირებლად, სამშენებლო ტრაფიკის მინიმუმამდე დასაყვანად, ტყის ტერიტორიების შემოწმებას იშვიათ მცენარეთა სახეობების აღმოსაჩენად და თესლისა და ცოცხალი მცენარეების დასაცავად და შესანარჩუნებლად.<sup>43</sup>

**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა არ მიიღო ადეკვატური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კლიენტს თავიდან აიცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა პროექტის აქტივობებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ წყალზე, მცენარეულობასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები. დამოუკიდებელ ჰიდროგეოლოგიურ მიმოხილვაში აღიარებული მონაცემთა ხარვეზების, საბაზისო მონაცემების არარსებობის (მიუხედავად ESMP-ის მოწოდებისა წყლის გამოყენების საბაზისო ხაზის დადგენის შესახებ) და მიმოხილვის დოკუმენტების ანალიზით შემოფარგვლის გათვალისწინებით, ბანკს უნდა გადაეღვა დამატებითი ნაბიჯები იმის დასადასტურებლად, რომ პროექტი არ იმოქმედებდა წყაროს წყლის ხელმისაწვდომობაზე. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თემის წყლის წყაროების შეფერხების რისკის გამო, არამედ ასევე, იმის გამო, რომ დროულად მიეწოდოს ინფორმაცია პოტენციურად ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებს. შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი აღიარებს პროექტის ადგილებთან ახლოს მიწისქვეშა წყლის წყაროების ყოველთვიური მონიტორინგის მნიშვნელობას, თუმცა, ასეთი მონიტორინგი არ გამოიციხავს მშენებლობის დაწყებამდე საბაზისო მონაცემების საჭიროებას.

**7. შესრულების მოთხოვნები 6 (PR6): ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა**

**საკითხი 12:** დაადასტურა თუ არა ბანკმა, რომ კლიენტმა, შეფასების პროცესის მეშვეობით, სრულად დაახასიათა რისკები და ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე ფრხილი მიდგომის პრონციპების შესაბამისად და განსაზღვრა თუ არა, ზომები პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანისა ან შერბილების მიზნით? (PR 6, პუნქტები 6 და 8)

**a. საჩივარი**

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ Balkani Wildlife Society-ის (“BWS”) მიერ მათი დავალებით შესრულებული ბიომრავალფეროვნების შეფასება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს „ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის ღონისძიებების ადეკვატურობას შუახევი ჰესის პროექტისთვის, ისევე როგორც პროექტის შესაბამისობას EBRD-ის PR6-თან“. მომჩივნები აცხადებენ, რომ BWS-ის ანგარიშმა დაასკვნა -

<sup>43</sup> ESMP, § 3.5.1.6, გვ. 44.

- პროექტმა გაანადგურა 93 ჰექტარი ბუნებრივი ჰაბიტატები პროექტის მშენებლობის დროს, რაც აღემატება შეფასებულ რაოდენობას;
- ჰაბიტატის დაბალანსება და კომპენსაცია შემოთავაზებული იყო მხოლოდ ტყის ჰაბიტატებისთვის და ევროკავშირის დირექტივების საწინააღმდეგოდ, ხეების დარგვა არ მომხდარა ჰაბიტატების განადგურებამდე;
- ხეების დარგვა მოხდა არასწორად, რაც არ შექმნის ბუნებრივ ჰაბიტატს;
- ძირითადი მდინარისა და სანაპირო ჰაბიტატების დანაკარგი არ იყო დაბალანსებული ან კომპენსირებული;
- ბალახით დაფარული ჰაბიტატები არ იქნა აღდგენილი;
- ტყის გაშენების დროს განადგურდა ზოგიერთი დამატებითი ტერიტორია;
- პროექტის მშენებლობის ეტაპის დასასრულისთვის, თევზის პოპულაციები თითქმის მთლიანად გადაშენებულია რამდენიმე კილომეტრის მანძილზე 2 წყალსაცავისა და კაშხლის ქვემოთ, ხოლო დარჩენილი თევზის პოპულაციები წყალსაცავებისა და კაშხლის ზემოთ ცუდ მდგომარეობაშია.
- საჭიროა სპეციალური კონსერვაციული ღონისძიებები მდინარე აჭარისწყლის აუშენებელ შუა მონაკვეთსა და დარჩენილი შენაკადებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ წყლის ორგანიზმების გარკვეული რაოდენობის აუზში დარჩეს;
- აჭარისწყლის აუზს დიდი მნიშვნელობა აქვს ევრაზიული წავის კონსერვაციისთვის. საჭიროა სპეციალური კონსერვაცია მდინარე აჭარისწყლის აუშენებელ შუა მონაკვეთისა და დარჩენილი შენაკადებზე, რათა წავი დარჩეს აუზში და ჯანსაღი პოპულაცია ნაკლებად სავარაუდოა, თუ მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი იქნება 10%;
- ფრინველებისა და ღამურების ყუთების დაყენება ვერ ანაზღაურებს ბუნებრივი ჰაბიტატების დანაკარგს, განსაკუთრებით ზღვისპირა ჰაბიტატების. ბუნებრივ ჰაბიტატში, სადაც 2016 წლის ნოემბერში განთავსდა ყუთები, არის საკმარისი ძველი ფულუროიანი ხეები, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ იშვიათი სახეობის ფრინველებმა და ღამურებმა დაიკავონ საბუდარი ყუთები.
- ESIA ადეკვატურად არ ითვალისწინებს ფრინველთა სახეობებზე ორ ძირითად ზემოქმედებას – მიგრაციული ბარიერის ეფექტი და ზემოქმედება ჭოროხის დელტაზე შეცვლილი ჰიდროლოგიური და სედიმენტაციის რეჟიმის გამო;
- BWS-მა სამ დღეში მდინარის ნაპირებთან აღმოაჩინა ყავისფერი დათვის ექვსი განსხვავებული ინდივიდის კვალი და ოთხი მგლის ხროვა, სულ მცირე სამი ოქროსფერი ტურა, ერთი ევრაზიული თხაწოვია (nightjar) და ოთხი კავკასიური დიდი კოჭობას (rosefinches) ხმა, ერთი ალკუნა (kingfisher) და ერთი წითელყელა მცირე ბუზიჭერია (red-breasted flycatcher) შენიშნეს, რაც ერთად მიუთითებს იმაზე, რომ მდინარის ნაპირები ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილს წარმოადგენს და მისი კომპენსირება შეუძლებელია.

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკს არ გამოუქვეყნებია პროექტის ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის განახლებები ოთხი წლის განმავლობაში და ისინი ითხოვენ 2017 წელს მომზადებული BWS ანგარიშის განხილვას, როგორც საჩივრის ნაწილს.

#### b. ბანკის პასუხი

ბანკი აცხადებს, რომ „ESIA-ს ფარგლებში შემუშავებული ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა მომზადდა დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიის მიერ და განახლებულ იქნა მთელი მშენებლობის პერიოდის განმავლობაში სავსე მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც შეგროვდა და გაანალიზდა კარგი საერთაშორისო პრაქტიკისა და PR6-ის შესაბამისად მრავალი სეზონის განმავლობაში.“ ბანკი ამტკიცებს, რომ BWS-ის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების შეფასება არ იყო მომზადებული „კარგი საერთაშორისო პრაქტიკის“ შესაბამისად.

#### c. კლიენტის პასუხი

AGL ამტკიცებს, რომ BWS-ის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების შეფასება „არ შეიძლება იყოს ზუსტი ან დამაჯერებელი“, რადგან მათ „არ დაამყარეს კონტაქტი პროექტთან იმისათვის, რომ ეხელმძღვანელათ მათთვის ადგილზე, არ მოუწყვიათ შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და 2013 წლიდან ბიომრავალფეროვნების კვლევებში ჩართულ სპეციალისტებთან პროფესიული დისკუსიებისთვის“.

AGL-ის მიხედვით, ESIA-სთვის სარგებლობიდან ამოღებული მიწის ტერიტორიების გამოთვლები ეფუძნებოდა პროექტის დიზაინს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის დასაბუთების ეტაპზე და შესაბამისად, მოიცავდა კონსერვატიულ ვარიანტებს. AGL აცხადებს, რომ მაშინ, როდესაც პროექტის მთლიანი მიწის ფართობი აღემატება 93 ჰექტარს, ფართობი, სადაც ზეგავლენის ქვეშ მოექცა ბუნებრივი ჰაბიტატები შეადგენს დაახლოებით 75.40 ჰექტარს. AGL აცხადებს, რომ BAP, რომელიც ხელმისაწვდომია AGL-ის ვებსაიტზე, მოიცავს ხელახლა დაანგარიშებულ, ფაქტობრივი ჰაბიტატის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებს.<sup>44</sup> AGL აცხადებს, რომ მშენებლობით დროებით დაზარალებული ბუნებრივი ჰაბიტატები მშენებლობის დასასრულს აღდგება, ხოლო ტერიტორიები ტყის მუდმივი დანაკარგით კომპენსირებულ იქნება ტერიტორიის გარეთ განაშენიანებით.

#### EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 6.6 და PR 6.8)

PR 6.6 ითვალისწინებს:

<sup>44</sup> შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი შეეცადა BAP-ზე წვდომას AGL-ის ვებგვერდზე, მაგრამ ლინკი არ მუშაობდა. BAP-ზე წვდომა შესაძლებელია ბანკის ვებსაიტზე: <https://www.ebrd.com/english/pages/project/eia/45335bap.pdf>, თუმცა არა შესწორებულ ვერსიაზე.

6. გარემოს დაცვის და შეფასების პროცესის მეშვეობით, კლიენტი განსაზღვრავს და ახასიათებს ბიომრავალფეროვნებაზე პოტენციურ ზემოქმედებას, რაც შესაძლოა გამოიწვიოს პროექტმა. კომპლექსური ანალიზის მოცულობა საკმარისი უნდა იყოს რისკებისა და ზემოქმედების სრულად დასახასიათებლად, პრევენციულ მიდგომასთან შესაბამისობაში და რელევანტური დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხების ასახვით. ამ პროცესში შესაძლოა, საჭირო გახდეს, სათანადო გამოცდილების მქონე კვალიფიციურ ექსპერტთა ჩართვა. ზემოქმედების შეფასებების დაგეგმვისა და განხორციელებისას, სადაც ბიომრავალფეროვნების საკითხებზეა მთავარი აქცენტი, კლიენტებმა უნდა მიმართონ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს ბიომრავალფეროვნების ზემოქმედების შეფასებებში ინტეგრირების შესახებ.<sup>45</sup> შეფასება, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს კლიმატის ცვლილებას და ადაპტაციის საკითხებს. როდესაც მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტების მოთხოვნები რელევანტურია, კლიენტი შეინარჩუნებს კვალიფიციურ და გამოცდილ გარე ექსპერტებს, რომლებიც დაეხმარებიან შეფასების ჩატარებაში.

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული შერბილების იერარქია <sup>56</sup>	
ქმედება	პასუხი
1. თავიდან არიდება	კლიენტი შეეცდება თავიდან აიცილოს ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება.
2. მინიმუმამდე შემცირება	სადაც ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, კლიენტმა უნდა განსაზღვროს გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნება პროექტის მოდიფიცირება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად.
3. შერბილება	სადაც ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების არც თავიდან აცილება და არც მინიმუმამდე შემცირებაა შესაძლებელი, კლიენტმა უნდა განსაზღვროს ზომები ამ ზემოქმედების შესარბილებლად.

<sup>45</sup> საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ბიომრავალფეროვნების ზემოქმედების შეფასებაში ინტეგრირების შესახებ მოიცავს:

- ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები ბიომრავალფეროვნების მომცველ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (შედის CBD გადაწყვეტილებაში VIII/28 COP8-დან in 2006).
- ბიომრავალფეროვნება ზემოქმედების შეფასებაში (IAIA სპეციალური პუბლიკაციების სერია No. 3).
- ენერგეტიკისა და ბიომრავალფეროვნების ინიციატივის სხვადასხვა პროდუქტი.

4. კომპენსირება	სადაც რჩება მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, მიუხედავად ყველა გონივრული მცდელობისა, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანისა და შერბილების მიზნით, კლიენტი განსაზღვრავს მოქმედებებს ან პროექტებს ამ ზემოქმედების კომპენსაციის მიზნით. ნებისმიერი საკომპენსაციო პროექტი უნდა იყოს სტრუქტურირებული და შეთანხმებული EBRD-თან.
-----------------	--

PR 6.8 ითვალისწინებს:

8. კლიენტმა უნდა განსაზღვროს ზომები პოტენციურად არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის ან შერბილების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში და როგორც უკიდურესი საშუალება, შესთავაზოს კომპენსაციის ზომები, როგორცაა ბიომრავალფეროვნების კომპენსირება, რათა მიაღწიოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს ან მოგებას. იხილეთ ცხრილი ზემოთ.<sup>46</sup>

**d. დაკვირვებები და დასკვნები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი პირველ რიგში აღნიშნავს, რომ BWS-ის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების შეფასების ხარისხი არ განსაზღვრავს, დაადასტურა თუ არა ბანკმა, რომ AGL-მ სრულად დაახასიათა რისკები და ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე შეფასების პროცესის მეშვეობით, პრევენციული მიდგომის შესაბამისად და განსაზღვრა ზომები პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე ან შერბილების მიზნით. ეს საკითხი ეხება AGL-ის მიერ ბანკისთვის წარდგენილი ბიომრავალფეროვნების მასალებს, მათ შორის ESIA და BAP, აკმაყოფილებს თუ არა შესაბამის სტანდარტებს.

ESIA აცხადებს:

პროექტი გამოიწვევს ჰაბიტატის დანაკარგს, უპირველეს ყოვლისა, მისასვლელი გზების, სასაწყობე ტერიტორიებისა და ადგილზე მუშების მისასვლელის მშენებლობის გზით. შემდგომი ჰაბიტატის დანაკარგს გამოიწვევს წყალსაცავების შექმნა. იმ ჰაბიტატებიდან, რომლებზეც მოხდება ზემოქმედება, ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქნება კორომხეთის სქემით დაზიანებულ ფოთლოვან ტყეებზე. ეს გამოწვეულია ჰაბიტატების

<sup>46</sup> ზემოთ მოცემულ ცხრილში PR 6.8 მოცემულია:



მგრძობიარე ბუნებით, მაღალი კონსერვაციის ღირებულებით და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიის ზომით.

დიდი რაოდენობით დაცული და გამორჩეული მცენარეების სახეობები წარმოდგენილია პროექტის არეალში ფოთლოვანი ტყეების ჰაბიტატებში. ამ სახეობებზე ზემოქმედება, ჰაბიტატის დანაკარგისა და დეგრადაციის გამო, რაც გამოწვეულია სამშენებლო აქტივობებით განსაკუთრებით მისასვლელი მარშრუტებისა და სამუშაო ტერიტორიების, მნიშვნელოვანად ჩაითვლება შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობის შემთხვევაში.<sup>47</sup>

ESIA იუწყება საპროექტო არეალში 161 სახეობის ფრინველის ჩანაწერის არსებობის შესახებ, საიდანაც 75 დაცულია ან საფრთხე ემუქრება, და აღნიშნავს, რომ შერბილებამდე „მნიშვნელოვნად ითვლებოდა პოტენციური ზემოქმედება კონსერვაციის მაღალი ღირებულების ყველა სახეობაზე.“<sup>48</sup> ESIA განსაზღვრავს გლობალურად საფრთხის ქვეშ ორ მყოფ ძუძუმწოვართა სახეობას - ერაზიულ წავი და Mehely's horseshoe ღამურა.<sup>49</sup> ESIA ასევე, განიხილავს პოტენციურ ზემოქმედებას თევზის სარეწებსა და წყლის ჰაბიტატებზე, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს.<sup>50</sup> „მთლიანობაში, შერბილების გარეშე მიჩნეულია, რომ პროექტს აქვს საგრძნობი გავლენა თევზის პოპულაციასა და წყლის ეკოლოგიაზე, ძირითადად მდინარის დინებათა ცვლილების შედეგად.“<sup>51</sup>

ESIA აღიარებს, რომ შერბილების გარეშე, მოსალოდნელია, რომ პროექტს ექნება საგრძნობი ზემოქმედება" ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე მდინარე აჭარისწყლის, ზემოქმედების ქვეშ არსებული, მონაკვეთების გასწვრივ. შესაბამისად, ESIA და BAP აერთიანებს შემარბილებელი ღონისძიებების ამბიციურ პროგრამას, მათ შორის —

- სქემის დიზაინის შემცირება, პროექტის კომპონენტების მოცილებით უფრო მაღალი კონსერვაციის ღირებულებისა და მაღალი მგრძობიარეობის მქონე მცირე შენაკადებზე;
- ადგილის შერჩევა ეკოლოგიური ზემოქმედების გამოწვევის ყველაზე ნაკლებად სავარაუდო ტერიტორიებზე;
- უცხო, ინვაზიური მცენარეთა და ცხოველთა სახეობების პოტენციური გავრცელების კონტროლის ღონისძიებები;
- მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ჰაბიტატის გასუფთავება და სამუშაო ტერიტორიები;
- სამშენებლო მოედნების განათება ღამით შეიზღუდება ძუძუმწოვრების და განსაკუთრებით ღამურების შეწუხების თავიდან ასაცილებლად;

<sup>47</sup> ESIA – ტომი I, არატექნიკური რეზიუმე, § 1.2, p. 10. როგორც ზემოთ აღინიშნა, AGL-მა არ გააგრძელა კორომხეთის სქემა.

<sup>48</sup> ESIA – ტომი I, არატექნიკური რეზიუმე, § 1.3, გვ. 11.

<sup>49</sup> ESIA – ტომი I, არატექნიკური რეზიუმე, § 1.3, გვ. 11.

<sup>50</sup> ESIA – ტომი I, არატექნიკური რეზიუმე, § 1.3, გვ. 13-14.

<sup>51</sup> ESIA – ტომი I, არატექნიკური რეზიუმე, § 1.4, გვ. 15.

- შემაწუხებელი ხმაური და ვიბრაციის დონე შენარჩუნებული იქნება ეროვნული სტანდარტების ქვემოთ;
- პროექტის ყველა თანამშრომელი ინფორმირებული უნდა იყოს ეკოლოგიური სენსიტიურობის შესახებ და სამუშაოები შეჩერდება, თუ აღმოჩნდება იშვიათი ან დაცული სახეობა (განსაკუთრებით ძუძუმწოვრები, მათ შორის ღამურები, ფრინველები, ქვეწარმავლები და ამფიბიები). ამ შემთხვევაში გაივლიან კვალიფიციურ ეკოლოგის კონსულტაციას და დაადგენენ გასატარებელ შემარბილებელ ზომებს;
- სამშენებლო გარემოს დაცვის მართვის გეგმები (CEMPs) მიღებულ იქნება AGL-ის მიერ და მოთხოვნები დაუწესდებათ კონტრაქტორებს;
- მოხდება ხეების და იშვიათი მცენარეების ინვენტარიზაცია მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ტყიდან მოცილებამდე. პროექტის შედეგად დაკარგული თითოეული ხე ჩანაცვლდება იგივე სახეობის და ადგილობრივი წარმოშობის ორი ხით;
- ჰაბიტატის მოცილებისა და აღდგენის გეგმა დაადგენს მინიმალურ მოთხოვნებს ბუნებრივი ტყის ჰაბიტატების გაწმენდასა და აღდგენასთან დაკავშირებით;
- ჰაბიტატის გასუფთავება მოხდება, სადაც ეს შესაძლებელია, არა ფრინველის ბუდობის პერიოდში და ნებისმიერი ჰაბიტატის გასუფთავებამდე ჩატარდება შემოწმებები მოზუდარი ფრინველის, ღამურის, წავის, ქვეწარმავლებისა და ამფიბიების;
- პროექტის თანამშრომლებისთვის ნადირობისა და თევზაობის აკრძალვა;
- თევზსავალების დაყენება ჩირუხისწყლის, ჭვანისწყლის, ხიჭაურის და ხერთვისის კაშხლებზე/წყალსაცავზე;
- ნატანის (სედიმენტის) გამოყოფა მინიმუმამდე იქნება შემცირებული, სამშენებლო სამუშაოების დროს, განსაკუთრებით ქვირითობის პერიოდში;
- პროექტი საშუალო მრავალწლიანი ხარჯებიდან გამოათავისუფლებს მუდმივი ეკოლოგიური ხარჯების 10 პროცენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მდინარეების ბუნებრივი ხარჯი საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ზე ნაკლებია, რა დროსაც ვერ მოხდება წყლის მარაგის შენახვა და არსებული სრული ხარჯი გამოათავისუფდება, როგორც ეკოლოგიური ხარჯი;
- მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებში ბიოლოგიური გარემოს გრძელვადიანი საბაზისო მონიტორინგი (ESIA-სთვის განხორციელებულის გარდა) უშუალოდ ხარჯის მონიტორინგთან ერთად განხორციელდება. მონიტორინგი დაადასტურებს პროექტის წყლის ეკოლოგიურ ეფექტებს და განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობას; და
- დამატებითი კვლევებისა და გრძელვადიანი მონიტორინგის აქტივობების შედეგების საფუძველზე, AGL განიხილავს განხორციელებული შემარბილებელი და მართვის ღონისძიებების შესაბამისობას და გაითვალისწინებს მოთხოვნებს დამატებითი შემარბილებელი ან კომპენსაციის ღონისძიებებისთვის.<sup>52</sup>

<sup>52</sup> ESIA – ტომი I, არატექნიკური რეზიუმე, § 1.5, გვ. 16-17.

BAP მოიცავს ვრცელ და დეტალურ სამოქმედო გეგმებს ბიომრავალფეროვნებაზე ESIA-ში გამოვლენილი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებისთვის. BAP ასევე მოიცავს დებულებებს შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების შესახებ.

**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა დაადასტურა, რომ AGL-მა სრულად დაახასიათა ბიომრავალფეროვნებისთვის რისკები და ზემოქმედება შეფასების პროცესის მეშვეობით, სიფრთხილის მიდგომის შესაბამისად და განსაზღვრა ზომები პოტენციურად არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის ან შერბილებისთვის, თუმცა, ბანკის სახელით მომზადებული მონიტორინგის ანგარიშები მიუთითებს, რომ AGL-მ არ განახორციელა ყველა რეკომენდებული ღონისძიება მოთხოვნილ ვადებში. საკითხი 13-ის ქვემოთ მოცემული დასკვნები იძლევა დამატებით ინფორმაციას ბანკის ქმედებებთან დაკავშირებით.

**საკითხი 13:**

განახორციელა თუ არა ბანკმა ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების სათანადო მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტს მიეღწია ბიომრავალფეროვნების ნულოვანი დანაკარგის ან მატებისთვის (PR 6, პუნქტი 8)?

**a. საჩივარი**

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ Balkani Wildlife Society-ის მიერ ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევების შედეგები „ექვემოთ აყენებს შუახევი ჰესის პროექტის შემარბილებელი და კომპენსაციის ღონისძიებების ადეკვატურობას, ისევე როგორც პროექტის შესაბამისობას EBRD-ის PR6-თან“. მომჩივნები, ასევე, ამტკიცებენ, რომ ბანკს „ოთხი წლის განმავლობაში არ გამოუქვეყნებია პროექტის გაზიარებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული განახლებები და შესაბამისობის მიმოხილვამ უნდა გამოავლინოს საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულება, თუ ის არსებობს, რომ EBRD-მა და მისმა კლიენტებმა გამოიყენეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიდგომა, რაც ნამდვილად უზრუნველყოფს, ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს“.

**b. ბანკის პასუხი**

ბანკი აცხადებს, რომ BAP და შედეგად მიღებული ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმები „დააკმაყოფილებს PR 6-ის მოთხოვნებს და EBRD ამას ძალიან გულდასმით აკვირდება“.

**c. კლიენტის პასუხი**

AGL აცხადებს, რომ პროექტი აწარმოებს მდინარის ჰაბიტატების მონიტორინგს 2013 წლიდან, 15 ლოკაციაზე წელიწადში ოთხჯერ ნელი და სწრაფი დინების პერიოდებში. AGL აცხადებს, რომ მონიტორინგის შედეგები არ აჩვენებს მდინარე აჭარისწყალის თევზის პოპულაციის სტრუქტურაში მნიშვნელოვან ცვლილებებს. AGL ასევე აღნიშნავს, რომ დამონტაჟდა თევზსავალი და თევზის მონიტორინგის სისტემა. რაც შეეხება ევრაზიულ წავს, AGL აცხადებს, რომ წავის პოპულაციის კვლევები აჩვენებს თევზის პოპულაციების მსგავს შედეგებს და რომ მონიტორინგი გაგრძელდება პროექტის საოპერაციო ფაზის ათი წლის განმავლობაში. AGL ამტკიცებს, რომ ფრინველებისა და ღამურებისთვის, ბუდე ყუთებმა აჩვენეს წარმატებული ბუდობის მაღალი დონე და რომ მონიტორინგი გაგრძელდება პროექტის საოპერაციო ფაზის ათი წლის განმავლობაში.

### **EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 6.8)**

PR 6.8 ჩამოყალიბებულია ზემოთ მე-12 საკითხში

#### **d. დაკვირვებები და დასკვნები**

როგორც ზემოთ იყო განხილული, გამსესხებლებმა (მათ შორის, EBRD-მა) პროექტის მიმდინარეობისას, ჩართეს Arup და პარტნიორები გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის განსახორციელებლად. 2014 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული გამსესხებელთა ჯგუფის მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სექციას BAP-ის განხორციელების შესახებ, ასევე, შემაჯამებელ ცხრილს, რომელიც ეხება პროექტის გარემოს დაცვის და სოციალურ პარამეტრებთან შესაბამისობის სტატუსს. შემაჯამებელი ცხრილი, ასევე, ეხება BAP-ის განხორციელებას, აღნიშნულია, რომ BAP გადაიხედა 2014 წელს და რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მონიტორინგს უწევენ სამშენებლო საქმიანობას, მათ შორის, ყოველთვიურ გამოკვლევებს.<sup>53</sup>

2016 წლის დასაწყისში, გამსესხებლებმა AGL-ს წარუდგინეს მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა მთელი რიგი ხარვეზების მოსაგვარებლად, მათ შორის BAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგები როგორ იქნება გათვალისწინებული ექსპლუატაციის დროს და როგორ უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ ეკოლოგიური ხარჯის რეჟიმები მისაღები იყოს ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. AGL ვალდებულია აიღოს განხორციელებინა მდინარის დინების კვლევები 2016 წლის ზაფხულში.

<sup>53</sup>გამსესხებლების ჯგუფი – EBRD, IFC, ADB; შუახევიკისი; მონიტორინგის ანგარიში, მომზადებულია Ove Arup & Partners Ltd-ის მერ, რომელიც თარიღდება 2014 წლის 31 ოქტომბრით, ESAP-ის შემაჯამებელი ცხრილი, გვ. 40-41.

2016 წლის ნოემბერში, გამსესხებლების დამოუკიდებელმა გარემოს დაცვის და სოციალურმა კონსულტანტმა (LIESC) თვალყური მიადევნა ამ ვალდებულებას და ანგარიშში განაცხადა, რომ არ ყოფილა პროგრესი ბიომრავალფეროვნებზე გავლენასთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითად გაუქრელი საკითხის მოგვარების მიმართულებით, რაც დაკავშირებულია პროექტის ექსპლუატაციასთან და იმასთან, თუ როგორ მოხდება ამის შერბილება.<sup>54</sup> 2016 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით, ჩატარდა საჭირო კვლევები და მომზადდა ეკოლოგიური საბაზისო მიმოხილვის ანგარიში.<sup>55</sup>

2017 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული გამსესხებელთა ჯგუფის მონიტორინგის ანგარიში მოიცავს დადებით ანგარიშს BAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ „BAP-ის საოპერაციო ეტაპი დასრულებულია და მიეწოდა გამსესხებლებს“, და რომ „სრულდება დეტალური მონიტორინგის გრაფიკი და თვალის დევნების მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს AGL-ს შესარულოს BAP-ის ვალდებულებები.“<sup>56</sup>

2019 წლის დასაწყისში, LIESC-მა განაცხადა, რომ იმ დროს პროექტი არ შეესაბამებოდა მოქმედ სტანდარტებს, რადგან AGL-ს არ შეეძლო ეზვენებინა პროექტის გავლენა ბიომრავალფეროვნების საბაზისო დონეზე და როგორ გამოიყენებოდა მოქნილი მენეჯმენტი. LIESC-მა აღნიშნა წარსულში წარუმატებლობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაში და, შესაბამისად, გამსესხებლებმა მოითხოვეს AGL-ის ყოვლისმომცველი მაკორექტირებელი გეგმა 30 დღის განმავლობაში.

ბანკის ხელმძღვანელობამ ხელმისაწვდომი გახადა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა 184 მეგავატისანი შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საექსპლუატაციო ფაზისთვის, აჭარის რესპუბლიკაში, საქართველოში, 2021 წლის 7 აპრილის საბოლოო ანგარიში, მომზადებული ERM India Private Limited-ის („ოპერაციების BAP“) მიერ. ოპერაციების BAP-ის მიხედვით, ყველა სამშენებლო ფაზის ქმედება ერთის გარდა დასრულდა, ზოგიერთ შემთხვევაში, ექვემდებარება სამომავლო ქმედებას ოპერაციების ფაზაში. ერთადერთი დაუსრულებელი მშენებლობის ფაზის ქმედება არის „ადგილობრივი

<sup>54</sup>გამსესხებლების ჯგუფი – EBRD, IFC, ADB; შუახევისი, მდ. აჭარისწყალი, საქართველო; მონიტორინგის ანგარიში Q2 2016, მომზადებული Ove Arup & Partners Ltd-ის მიერ, დათარიღებული 2016 წლის 14 ნოემბრით, § 4.2.1, გვ. 20.

<sup>55</sup>გამსესხებლების ჯგუფი – EBRD, IFC, ADB; შუახევისი, მდ. აჭარისწყალი, საქართველო; მონიტორინგის ანგარიში Q4 2016, მომზადებულია Ove Arup & Partners Ltd-ის მიერ, დათარიღებულია 15 მარტით 2017

<sup>56</sup>გამსესხებლების ჯგუფი (EBRD, IFC, ADB); შუახევის ჰიდროელექტროსადგური, საქართველო; გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის ანგარიში ოპერაციებისთვის #1, მომზადებულია Ove Arup & Partners Ltd-ის მიერ Ecoline International-თან ერთად, რომელიც დათარიღებულია 2017 წლის 1 დეკემბრით.

თემების ცნობიერების ამაღლება დაცული ამფიბიების, თევზებისა და წავის სახეობების მნიშვნელობის შესახებ.”<sup>57</sup>

**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბანკი გულმოდგინედ აკონტროლებდა AGL-ის მიერ ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას, ასეთი მონიტორინგი თავდაპირველად არ უზუნველყოფდა იმას, რომ პროექტი არ მიაღწევდა ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს ან მატებას. მიუხედავად იმისა, რომ გამსესხებლების მონიტორინგის ანგარიშები და კომუნიკაცია 2015 წლიდან AGL-ისგან ყურადღების მიქცევას ითხოვდა, AGL-მა ვერ შეძლო დროულად მოეგვარებინა ბიომრავალფეროვნების ანგარიშგებაში გამოვლენილი ხარვეზები და ბანკმა ვერ უზრუნველყო AGL-ის მიერ დროული შესაბამისობა და შეუსაბამობასთან დაკავშირებით, არანაირი საშუალება არ იქნა გამოყენებული. ოპერაციების BAP-ზე დაყრდნობით, როგორც ჩანს, AGL-მა საბოლოოდ მიაღწია BAP-თან არსებით შესაბამისობას.

**8. შესრულების მოთხოვნა 10 (PR10): ინფორმაციის გაზიარება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**

**საკითხი 14:** უზრუნველყო თუ არა ბანკმა, რომ კლიენტს იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეებისთვის მიეწოდებინა მიმდინარე/განახლებული ინფორმაცია პროექტის განხორციელების დროს, გაეზიარებინა პროექტის ბუნების, მასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების და პროექტის ინტერესის დონის (მათ შორის, ინფორმაცია უსაფრთხოებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესახებ) შესაბამისი ინფორმაცია? (ESP #7, PR 10, პარაგრაფები 3, 15 და 21)

**a. საჩივარი**

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტი „ხასიათდებოდა ინფორმაციის გაზიარებისა და საზოგადოების მონაწილეობის არასრულფასოვანი პროცესით, ისევე, როგორც საზოგადოებრივი არეულობით და პროტესტით პროექტის განხორციელების დროს“ და რომ „როგორც კლიენტმა, ისე EBRD-მა ვერ გაითვალისწინეს ეს პროტესტი და ვერ მოახერხეს ხალხის პროექტით უკმაყოფილების მიზეზების გამოკვლევა და მათი ადეკვატურად გადაჭრა“. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროექტის დოკუმენტაციის თავდაპირველი გაზიარება შეესაბამებოდა EBRD-ის მოთხოვნებს, ბანკმა და AGL-მა ვერ მოახერხეს დაინტერესებულ მხარეების ინფორმირება გვირახის ნგრევის შედეგად პროექტის გეგმებში ცვლილებების შესახებ. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტში დაინტერესებული

<sup>57</sup> ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა შუახევის 184 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის საოპერაციო ფაზისთვის, აჭარის რესპუბლიკა, საქართველო, საბოლოო ანგარიში, დათარიღებული 2021 წლის 7 აპრილი, დანართი A, მოქმედება C.2.2.

მხარეების ჩართულობა „არ იყო ღია, აზრიანი და სათანადოდ მისაღები პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის.“

#### b. ბანკის პასუხი

ბანკი ამტკიცებს, რომ „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა როგორც ESIA-ს მომზადებისა და გაზიარების დროს, ასევე, პროექტის განხორციელების დროს იყო ვრცელი და განხორციელდა PR10-ის შესაბამისად“.

#### c. კლიენტის პასუხი

AGL აცხადებს, რომ ის „ყოველდღიურ საქმიანობაში თანმიმდევრულად და ერთგულად ასრულებს სოციალურ ვალდებულებებს სარეაბილიტაციო საქმიანობის დაწყების შემდეგ“.

AGL აცხადებს, რომ მან ხელახლა შეიმუშავა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტრატეგია ახალ სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისთვის და ამავე დროს, შეასრულა გამსესხებლების მიერ დამტკიცებული სამშენებლო ფაზის SEP-ის სახელმძღვანელო მითითებები. AGL-ის სოციალური, უსაფრთხოებისა და ტექნიკური ჯგუფები და მისი მთავარი კონტრაქტორი აცხადებენ, რომ მათ ჩაატარეს მრავალი საინფორმაციო შეხვედრა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მიეწოდებინათ დეტალები მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა და პროექტის სხვა ასპექტების შესახებ.

AGL აცხადებს, რომ იგი აგრძელებს რეგიონულ გაზეთ „აჭარის“ საინფორმაციო გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც ადგილობრივ თემებს ყოველთვიურად აწვდის პროექტის შესახებ სიახლეებსა და ინფორმაციას, პროექტის მშენებლობის ფაზიდან მოყოლებული.

#### EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (ESP ¶ 7, PR 10.3, PR 10.15, PR 10.21)

ESP ¶ 7 ითვალისწინებს:

7. EBRD თანმიმდევრულია კორპორატიული გამჭვირვალობის<sup>58</sup> ანგარიშვალდებულების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრინციპების დაცვაში. ის მუდმივად აქვეყნებს ინფორმაციას ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობის შესახებ და ერთვება მნიშვნელოვან დიალოგში ბანკის დაინტერესებული მხარეების თემთან. ბანკი ხელს უწყობს მსგავსი კარგი პრაქტიკის პოპულარიზაციას თავის კლიენტებს შორის. კერძოდ, EBRD კლიენტებისგან მოელის, მუდმივად, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებასა და მათთან ინტერაქციას და პოტენციურად ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებთან ჩართულობას ინფორმაციის გაზიარების, კონსულტაციისა და ინფორმირებული მონაწილეობის გზით,

<sup>58</sup> ბანკს აქვს კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია კარგ მმართველობასთან, ფულის გათეთრებასთან, მექრთამეობასა და კორუფციასთან, შემოსავლების გამჭვირვალობასთან და ტარიფების გამყდარებასთან, რაც აღწერილია ბანკის სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში.

ბანკის მიერ პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების პროპორციულად მიჩნეული სახით.

დაინტერესებულ მხარეებთან ასეთი ურთიერთქმედება უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოს დაცვის საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის,<sup>59</sup> ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივის სულისკვეთებას, მიზანსა და საბოლოო მიზნებს და, საერთაშორისო საზღვრებს შორის მნიშვნელოვანი გარემოზე ზემოქმედების მქონე პროექტებისთვის, ტრანსსასაზღვრო კონტექსტში,<sup>60</sup> UNECE-ის კონვენციას გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, რატიფიკაციის სტატუსის მიუხედავად.

#### PR 10.3 ითვალისწინებს:

3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არის მუდმივი პროცესი, რომელიც მოიცავს (i) კლიენტის მიერ სათანადო ინფორმაციის საჯაროდ გაზიარებას, რათა შესაძლებელი გახდეს მნიშვნელოვანი კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან, (ii) მნიშვნელოვან კონსულტაციებს პოტენციურად ზეგავლენის ქვეშ მყოფ მხარეებთან და (iii) პროცედურას ან პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ კომენტარების გაკეთება ან საჩივრების წარდგენა. ეს პროცესი უნდა დაიწყოს პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და გაგრძელდეს პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

#### PR 10.15 ითვალისწინებს:

15. ნებისმიერი კონკრეტული კონსულტაციის საჭიროება და ბუნება შეთანხმებული იქნება EBRD-თან დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციის, ანალიზისა და დეტალური პროექტის აღწერილობის საფუძველზე და დამოკიდებულია მუშებსა და ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებზე მიმდინარე და პოტენციური არასასურველი ზემოქმედების ბუნებასა და მასშტაბზე. როდესაც მუშები და/ან ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემები ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ პროექტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს ან არასასურველ ზემოქმედებას, კლიენტი განახორციელებს გონივრული კონსულტაციების პროცესს ისე, რომ ზეგავლენის ქვეშ მყოფ მხარეებს მიეცეს შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები პროექტის რისკების, ზემოქმედების და შემარბილებელი

<sup>59</sup> "Aarhus Convention": [www.unece.org/env/pp/](http://www.unece.org/env/pp/).

<sup>60</sup> "Espoo Convention": [www.unece.org/env/eia/](http://www.unece.org/env/eia/).



ზომების შესახებ და კლიენტს მიეცეს საშუალება განიხილოს და რეაგირება მოახდინოს მათზე.

გონივრული კონსულტაცია:

- უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის გაზიარებას, მათ შორის, როდესაც ეს მართებული და რელევანტურია, დოკუმენტებისა და გეგმების სამუშაო ვერსიებს, გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც არჩევანი მეტია
- უნდა დაიწყოს გარემოს დაცვის და სოციალური შეფასების პროცესის დასაწყისში
- ფოკუსირებული იქნება სოციალურ და გარემოს დაცვის რისკებსა და არასასურველ ზემოქმედებებზე, ასევე მათ მოსაგვარებლად შემოთავაზებულ ზომებსა და ქმედებებზე
- განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, საკითხების, ზემოქმედებისა და შესაძლებლობების ხასიათის განვითარების კვალდაკვალ.

PR 10.21 ითვალისწინებს:

21. პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე კლიენტი მიაწვდის მიმდინარე ინფორმაციას იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებს, პროექტის ბუნების და მასთან დაკავშირებული გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი ინტერესის დონის შესაბამისად. ეს მუდმივი ჩართულობა უნდა დაეყრდნოს კომპლექსური ანალიზის პროცესში ჩამოყალიბებულ კომუნიკაციისა და ჩართულობის არხებს. კერძოდ, კლიენტებმა უნდა გამოიყენონ თემის ჩართულობის სათანადო პრაქტიკა ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის მისაღებად ESAP-ში შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობაზე, ასევე, ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მიმდინარე ინტერესებსა და პროექტთან დაკავშირებულ შეშფოთებაზე. შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაციის გაზიარება პროექტის ციკლის ძირითად ეტაპებზე, მაგალითად, მშენებლობის ან ოპერაციების დაწყებამდე.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

როგორც ზემოთ იყო განხილული მე-8 საკითხში, ESIA-ში აღწერილია მრავალჯერადი შეხვედრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან, სადაც თემის წევრებმა გამოთქვეს შეშფოთება პროექტთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს მეწყერს.<sup>61</sup> გარდა ამისა, პროექტის განმავლობაში, გამსესხებლების მიერ მონიტორინგი მოიცავდა AGL-ის SEP-თან შესაბამისობის შეფასებას.

<sup>61</sup> მაგ., ESIA, ცხრილი 6.4, გვ. 96-98, ცხრილი 6.5, გვ. 100-101.

2017 წლის აგვისტოს გვირაბის ნგრევის შემდეგ, გამსესხებლების ოპერაციების მონიტორინგის ანგარიშმა მოსთხოვა AGL-ს, გამოეკლინა და შეეფასებინა თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები პროექტის საოპერაციო ფაზაში, შეემუშავებინა და განეხორცილებინა პრევენციული ზომები და გეგმები რისკების მოსაგვარებლად, მათ შორის: „საზოგადოებრივი რისკების იდენტიფიცირება და შეფასება; რუკა, რომელშიც ასახულია თემის რისკის პროფილი; საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკების კომუნიკაციის მექანიზმი; და გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა (მაგ. საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის ხელმოწერა, შემოღობვა, საზოგადოების ჩართულობა/ინფორმაცია).“<sup>62</sup> იმავე მონიტორინგის ანგარიშში ნათქვამია AGL-ის გარემოს დაცვის და სოციალური გუნდების უფრო მჭიდრო კოორდინაციის საჭიროებაზე, რათა უკეთ მოგვარდეს თემის პრობლემები.

2019 წლის ოქტომბერში, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის ადგილზე ვიზიტის დროს, ადგილობრივმა სოფლის მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ მათ უჭირდათ ინფორმაციის მოპოვება გვირაბის ჩამონგრევის საპასუხოდ გატარებული გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ იყო განხილული მე-9 საკითხში და როგორც უშუალოდ ზემოთ აღინიშნა, გამსესხებლები ახორციელებენ პროექტის მონიტორინგს დაწყების დღიდან. გამსესხებელთა ჯგუფის მონიტორინგის ანგარიშები თანმიმდევრულად ეხება დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მათ შორის, ინფორმაციის საჯარო გამჟღავნებას და კომუნიკაციას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან. 2014 წლის 31 ოქტომბერით დათარიღებული გამსესხებელთა ჯგუფის მონიტორინგის ანგარიში განსაზღვრავს AGL-ის ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის მრავალ გზას, მათ შორისაა: საჯარო საინფორმაციო ცენტრები; რეგულარული შეხვედრები თემის წევრებთან; საინფორმაციო გვერდები ადგილობრივ მედიაში; ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ოფისებში, საჯარო საინფორმაციო ცენტრებსა და ადგილობრივი უნივერსიტეტში ბროშურებისა და ფლაერების დარიგება.

2017 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული გამსესხებელთა ჯგუფის მონიტორინგის ანგარიში მოიცავს ცალკე სექციას ინფორმაციის გაზიარების შესახებ. ანგარიშში ნათქვამია, რომ „საზოგადოების მხრიდან ბოლო დროს წამოჭრილმა საკითხებმა, პროექტის სიახლეების ანგარიშებმა და პროექტის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ანგარიშებმა გვიბიძგა გადაგვეხედა, თუ როგორ აზიარებს და ასაჯაროებს AGL ინფორმაციას დაინტერესებული მხარეებისთვის.“ ანგარიშში ამის შემდეგ მოცემულია რჩევები იმ პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომლითაც AGL აწვდის პროექტის სიახლეებს,

---

<sup>62</sup> გამსესხებელთა ჯგუფი (EBRD, IFC, ADB), შუახვევის ჰიდროენერგეტიკული პროექტი, საქართველო, გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის ანგარიში ოპერაციებისთვის #1, (1 დეკემბერი 2017).

განახლებებს და ინფორმაციას ადგილობრივ თემებსა და ინტერნეტის საშუალებით. მათ შორის —

- AGL-ის გარემოს დაცვის და სოციალური გუნდის ჩართვა ყველა პრეს-რელიზისა და კომპანიის განცხადების განხილვაში და/ან მათი მონაწილეობა პროცესში, იმის უზრუნველყოფად, რომ ისინი სათანადოდ ითვალისწინებდნენ თემის პრობლემებს;
- AGL-ის ვებსაიტზე გარემოს დაცვის და სოციალური გვერდის განახლება, რათა უფრო მოსახერხებელი გახდეს მომხმარებლისთვის და ასახოს პროექტის მიმდინარე ეტაპი;
- ადგილობრივად და ვებსაიტზე გასავრცელებლად, „ხშირად დასმული კითხვების“ სტილის ბროშურის ან მსგავსი რამის მომზადება, რომელიც მოიცავს ძირითად გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხებს და პრობლემებს, რომლებიც წამოჭრილია ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ;
- AGL-ის ვებგვერდის საშუალებით რეალურ დროში საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს ეკოლოგიური ხარჯის გაზომვები და მოხდეს იმის ახსნა, თუ როგორ ხდება ეკოლოგიური ხარჯის ვალდებულებების მიწოდება და გაზომვა.<sup>63</sup>

#### e. კვლევის შედეგები

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა უზრუნველყო, რომ AGL-ს მიაწოდებინა მიმდინარე/განახლებული ინფორმაცია იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის განხორციელების დროს, გაეზიარებინა პროექტის ხასიათის, მასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების და პროექტის ინტერესის დონის შესაბამისი ინფორმაცია, (მათ შორის, ინფორმაცია უსაფრთხოებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესახებ).

**საკითხი 15:** შეასრულა თუ არა ბანკმა თავისი ვალდებულებები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ AGL-ს სათანადოდ გამოევიდნა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დაუცველი ან მოწყვლადი ხალხი და სხვა დაინტერესებული მხარეები, განეხორციელებინა სათანადო ჩართულობა პროექტის მომზადებისა და განხორციელების დროს? (PR 10, პუნქტები 8, 9, 12, 13, 15)

#### a. საჩივარი

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკმა და AGL-მა არ გაითვალისწინეს პროტესტი და არ გამოიკვლიეს ხალხის პროექტით უკმაყოფილების მიზეზი. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ გაურკვეველია, როგორ სრულდება პროექტის SEP-ის ზოგიერთი ვალდებულება, მათ შორის, „რომლებიც ეხება „ოპერაციების ფაზის ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და რეგულარულ ჩართულობას შესაბამის თემებთან ამ ზემოქმედების შესახებ, მათ შორის,

<sup>63</sup> გამსესხებელთა ჯგუფი (EBRD, IFC, ADB), შუახევის ჰიდროენერგეტიკული პროექტი, საქართველო, გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის ანგარიში ოპერაციებისთვის #1, § 3.5.3, გვ. 21.

ასოცირებული შემარბილებელი ღონისძიებების ტიპისა და წარმატებული გამოყენების შესახებ“ და „კომპანიის ვებგვერდის [www.agl.com.ge](http://www.agl.com.ge) წარმოება, რომელიც რეგულარულად განახლდება, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის.”

მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკი და AGL არ თანამშრომლობდნენ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. მომჩივანთა თქმით, „მაშინ როდესაც, პროექტის დოკუმენტაციის პირველადი გაზიარება შეესაბამებოდა A კატეგორიის პროექტების მოთხოვნებს, EBRD-მა და მისმა კლიენტმა ვერ მოახერხეს პროექტის გეგმების ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, ვინაიდან საოპერაციო ეტაპი გადაიდო გვირახის ჩამონგრევის გამო“. მომჩივნები ასევე ამტკიცებენ, რომ „საკონსულტაციო პროცესი არ იყო ინფორმირებული და განმეორებადი და, როგორც ადგილობრივი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების PCM საჩივარი მიუთითებს, შუახვევის ჰესის პროექტში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არ იყო ღია, არსებითი და სათანადო წესით მისაღები პოტენციურად დაზარალებული თემებისთვის“ (სქოლიოები გამოტოვებულია ციტატებში.) მომჩივნები ამტკიცებენ, რომ ბანკი და AGL არ არ მოქმედებდნენ სათანადო გამჭვირვალობით, საჯაროდ ხელმისაწვდომი არასაკმარისი ინფორმაციის გამო შემდეგთან დაკავშირებით: „შუახვევი ჰესის პროექტის სტატუსი, ცვლილებები პროექტის განხორციელების გეგმებში და ამ ცვლილებების შედეგები შეთანხმებულ გარემოს დაცვისა და სოციალურ ზომებზე, როგორც წარმოდგენილია პროექტის ESMP-ში, ESAP-სა და SEP-ში“.

## **b. ბანკის პასუხი**

ბანკის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციას PR 10-ის კონტექსტში. ბანკი აცხადებს, PR1-ისა და გეოლოგიური რისკების კონტექსტში, რომ AGL-მა „მოახდინა მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან ჩართულობის მიზნით, რომლებმაც გამოხატეს შემფოთება, პროექტის ტექნიკური მოსაზრებების ასახსნელად“.

## **c. კლიენტის პასუხი**

AGL აცხადებს, რომ 2012 წლიდან, აქტიური მშენებლობის ფაზამდე, მან გამართა მრავალი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან ორივე მუნიციპალიტეტში, სადაც შუახვევის სქემა მდებარეობს, მათ შორის შეხვედრები თემის ლიდერებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიის წარმომადგენლებთან. 2013 წელს მშენებლობის დაწყების შემდეგ, AGL აცხადებს, რომ ორივე მუნიციპალიტეტში გახსნა საჯარო ინფორმაციის ცენტრები (PIC), „ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ყოველდღიური კომუნიკაციის ხელშესაწყობად და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის საჩივრებსა და წამოჭრილ

საკითხებზე რეაგირებისთვის სოციალური გუნდის ძალისხმევის გასაძლიერებლად“. 2014 წელს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, კომპანიამ სხალთის ხეობაში დამატებითი PIC გახსნა, ხულოს მუნიციპალიტეტის ამ არეალის სოფლებთან აქტიური ჩართულობისთვის. აქტიური სამშენებლო ფაზის დასრულებამდე, AGL-მა პროექტის საექსპლუატაციო ეტაპისთვის შეიმუშავა SEP, სესხის გამცემ პარტნიორებთან თანამშრომლობით და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციებით. AGL ამტკიცებს, რომ საინფორმაციო შეხვედრები საოპერაციო ფაზის დაწყებამდე გაიმართა ყველა სამუშაო ზონაში.

## **EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR 10.8, PR 10.9, PR 10.12, PR 10.13, PR 10.15)**

PR 10.8 ითვალისწინებს:

9. დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებული ჩართულობის პირველი ნაბიჯია, რომ კლიენტმა განსაზღვროს პირები ან ჯგუფები, რომლებზეც (i) მოქმედებს ან შესაძლოა იმოქმედოს (პირდაპირ ან ირიბად) პროექტმა („ზეგავლენის ქვეშ მყოფი მხარეები“), ან (ii) შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ პროექტით („სხვა დაინტერესებული მხარეები“). რესურსები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციისთვის პირველ რიგში ორიენტირებული უნდა იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებზე.
10. როგორც დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციის პროცესის ნაწილი, კლიენტი მოახდენს ინდივიდებისა და ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება განსხვავებულად ან არაპროპორციულად დაზარალებულნი პროექტის მიერ მათი დაუცველი ან მოწყვლადი სტატუსის გამო. კლიენტი ასევე განსაზღვრავს, თუ რა ზემოქმედება შეიძლება მოხდეს დაინტერესებულ მხარეებზე და პოტენციური (ფაქტობრივი ან სავარაუდო) ზემოქმედების მასშტაბებს. როდესაც ზემოქმედება არის სავარაუდო, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი კომუნიკაცია, რათა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება და ზემოქმედების შეფასებულ დონის სისწორეში დარწმუნება. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და ანალიზი უნდა მოიცავდეს დეტალების ადეკვატურ დონეს, რათა ბანკმა შეძლოს განსაზღვროს კომუნიკაციის დონე, რომელიც შეესაბამება განსახილველ პროექტს. თანამშრომლები ყოველთვის დაინტერესებულ მხარეებად ითვლებიან.

PR 10.12 ითვალისწინებს:

12. პროექტის რელევანტური ინფორმაციის გაზიარება ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს გააცნობიერონ პროექტის რისკები, ზემოქმედება და შესაძლებლობები. თუ თემებს შესაძლოა შეეხოთ პროექტის უარყოფითი გარემოზე ან სოციალური ზემოქმედება, კლიენტი გაუზიარებს მათ ინფორმაციას („ინფორმაცია“) შემდეგზე:

- პროექტის მიზანი და მასშტაბი
- შემოთავაზებული პროექტის აქტივობების ხანგრძლივობა
- ნებისმიერი რისკი და პოტენციური ზემოქმედება გარემოზე, მუშების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე და სხვა სოციალური ზემოქმედება თემებზე და შემოთავაზებული შემარბილებელი გეგმები
- გათვალისწინებული საკონსულტაციო პროცესი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და შესაძლებლობები და გზები, რომლებითაც საზოგადოებას შეუძლია მონაწილეობა
- ნებისმიერი გათვალისწინებული საჯარო შეხვედრის დრო/ადგილი და პროცესი, რომლითაც ხდება შეხვედრების შეტყობინება, შეჯამება და ანგარიშგება.

PR 10.15 ჩამოყალიბებულია ზემოთ მე-14 საკითხში.

PR 10.13 ითვალისწინებს:

13. ინფორმაციის გაზიარება მოხდება ადგილობრივ ენაზე (ენებზე) და ისე, რომ იყოს ხელმისაწვდომი და კულტურულად შესაბამისი, ნებისმიერი მოწყვლადი ადამიანის გათვალისწინებით (მაგალითად, ეთნიკური ჯგუფები ან იძულებით გადაადგილებული პირები). პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური ან გარემოზე ზემოქმედების მქონე პროექტებისთვის, გაზიარება უნდა მოხდეს გარემოს დაცვის და სოციალური შეფასების პროცესის დასაწყისში.

PR 10.15 ჩამოყალიბებულია ზემოთ მე-14 საკითხში.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

როგორც ზემოთ განხილული იყო მე-2 საკითხში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის („SEP“) მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემები გულისხმობს 15 სოფელს სამ მუნიციპალიტეტში: ხულოს მუნიციპალიტეტი (დიდაჭარის თემი [დიდაჭარა], ლეკანაშვილების თემი [დიაკონიძეები, დუაძეები, წიფნარი]); შუახევის მუნიციპალიტეტი (ჭვანის თემი [ახალდაბა], ოლდადაურის თემი [პაპოშვილები, მახალაკიძეები]); და ქედის მუნიციპალიტეტი (მახუცეთის თემი [ქვედამახუნცეთი, ქვედაბზუბზუ], პირველი მაისის თემი [პირველი მაისი], ქედას თემი [კორომხეთი], მერისის თემი [სიპაძეები, ინაშარიძეები], ჭვანის თემი [დანდალო, ბალაძეები]).<sup>64</sup>

<sup>64</sup> აჭარისწყალი ჰესი SEP, 314320/PWR/EFR/2/D 04 სექტემბერი 2013, გვ. 11-12.

დაინტერესებულ მხარეთა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის სიაში მითითებულია ორი სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში (დიდაჭარა და ქვატია), სამი თემი შუახევის მუნიციპალიტეტში (ჭვანას თემი, ზამლეთის თემი და ოლადაურის თემი).<sup>65</sup>

მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით, როგორც ზემოთ იყო განხილული მე-3 საკითხში, ESIA განსაზღვრავს ადგილობრივ ქალთა ჯგუფებს, როგორც პირდაპირ დაინტერესებულ მხარეებს და არაპირდაპირ დაინტერესებულ მხარეებს პროექტში.<sup>66</sup> 2013 წელს AGL-ის „საკვანძო თემები“ სათემო კონსულტაციებისთვის მოიცავდა ქალთა უფლებებს.<sup>67</sup> AGL-მა პირობა დადო, რომ მისი სოციალური ინტერაქციის ფარგლებში, „გასწევს ძალისხმევას, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა პროექტის აქტივობებში და დაეხმაროს ქალებს, აიღონ პასუხისმგებლობა მამაკაცებთან თანაბარი პარტნიორობით. საკონსულტაციო აქტივობები ქალებს ურჩევს, რომ მათი მოსაზრებები და იდეები მამაკაცებთან მიმართებით თანაბარი მნიშვნელობისაა და რომ ქალებს შეუძლიათ ცვლილებების შეტანა ადგილობრივ საზოგადოებაში და უფრო ფართოდ“. ESIA-ში ნათქვამია, რომ ქალები იქნებიან წახალისებული, გამოიყენონ თავიანთი უნარები ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც ადრე აღიქმებოდა როგორც „მხოლოდ მამაკაცებისთვის“ განკუთვნილი.

ESDD აღნიშნავს SEP-ზე მითითებით, რომ „საჭიროა დამატებითი აღწერა წარსულ კონსულტაციებთან, კომუნიკაციის არხებთან და სამომავლო ინფორმაციის გაზიარების გზებთან და ქალთა და მოწყვლად ჯგუფებთან კონსულტაციებთან დაკავშირებით“. 2013 წლის სექტემბერში AGL-მ ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ხუთი თემის წარმომადგენელ ქალებთან და აღნუსხა პროექტთან დაკავშირებული შემფოთება, რომელიც გამოხატული იყო მონაწილეთა მიერ. შეხვედრები და მათ მიერ წამოჭრილი საკითხები აღნიშნულია ESIA-ში.<sup>68</sup>

პროექტის ESAP კონკრეტულად არ ეხება ქალებს ან სხვა მოწყვლად ჯგუფებს. არც თავად ESAP „მოიცავს დიფერენცირებულ ზომებს, რათა მათზე არაპროპორციულად არ მოხდეს უარყოფითი ზემოქმედება და არ აღმოჩნდნენ არახელსაყრელ პირობებში პროექტის შედეგად მიღებული განვითარების ნებისმიერი სარგებლისა და შესაძლებლობების გაზიარებისას“. . თუმცა, ESMP მოიცავს დიფერენცირებულ ზომებს ქალების დასაცავად.<sup>69</sup>

<sup>65</sup> ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა, 290039/TRD/EFR/BBAP/01/E 22 ივლისი 2013, გვ. 9, ცხრილი 2.1.

<sup>66</sup> ESIA, § 6.4.2, გვ. 90; ცხრილი 6.2, გვ. 91.

<sup>67</sup> ESIA, § 6.5.3.2, გვ. 108.

<sup>68</sup> ESIA, ცხრილი 6.7, გვ. 109-110.

<sup>69</sup> ESMP, ცხრილი 3.1 (გეგმები, პოლიტიკა და პროცედურები), გვ. 29 (“სპეციალური ზომები ეთნიკურ ჯგუფებსა და ქალთა შორის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის.”), § 4.2.3.2, გვ. 60 (მოწოდება კორპორატიული მეკავშირე ოფიცერს, მოაწიოს შეხვედრები ადგილობრივ ქალთა ჯგუფებთან).

**e. კვლევის შედეგები**

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა შეასრულა თავისი ვალდებულებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ AGL-ს სათანადოდ გამოევიდინა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დაუცველი ან მოწყვლადი ადამიანები და სხვა დაინტერესებული მხარეები, და პროექტის მომზადებისა და განხორციელების დროს, შეენარჩუნებინა მათთან შესაბამისი ურთიერთობა.

**საკითხი 16:** დაადასტურა თუ არა ბანკმა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებთან გამართულიყო სათანადო კონსულტაცია მათი მოწყვლადი/დაუცველი სტატუსის გათვალისწინებით და ისე, რომ ეს ყოფილიყო ინკლუზიური და კულტურულად მართებული? (PR 10, პუნქტები 11, 15 და 16)

**a. საჩივარი**

მომჩივანები ამტკიცებენ, რომ პროექტის არატექნიკური რეზიუმე არ შეიცავს ინფორმაციას გენდერული ზემოქმედების შესახებ, არ არის ნახსენები სპეციალური დებულებები ადგილობრივი თემების წარმომადგენელ ქალთა დაცვის შესახებ, ნაკლებად ითვალისწინებს ქალთა კონსულტაციებში მონაწილეობის კულტურულ ბარიერებს და არ ახსენებს ქალების ხელმძღვანელობით საოჯახო მეურნეობებს ან შესაძლებლობებს მეწარმე ქალებისთვის. მომჩივანები ამტკიცებენ, რომ ESIA-ს აკლია საკმარისი შეფასება ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე პროექტის გავლენის შესახებ, ხოლო მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა არ აანალიზებს მიწის საკუთრებისა და მიწათსარგებლობის მოდელს ან ზემოქმედებას ქალთა საარსებო წყაროზე, თუ კომპენსაცია გადაეცემა მამრობითი სქესის ქონების მფლობელებს.

მომჩივანები მიუთითებენ „მწვანე ალტერნატივის“ მიერ მომზადებულ 2016 წლის ანგარიშზე, სახელწოდებით „შუახევის ჰესის პროექტის გენდერული გავლენა და მისი შესაბამისობა EBRD-ის მოთხოვნებთან“ და ისინი ამტკიცებენ, რომ ბანკმა და AGL-მა არ შეასრულეს ანგარიშის რეკომენდაცია, რომ ბანკმა „უნდა მოითხოვოს პროექტის შემმუშავებლებისგან გენდერული შეფასების და სამოქმედო გეგმის შექმნა და შემდეგ მოახდინოს მისი განხორციელების მკაცრი მონიტორინგი“.

**b. ბანკის პასუხი**

ბანკის პასუხი საჩივარზე კონკრეტულად არ ეხება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებთან კონსულტაციებს. უფრო ზოგადად, ბანკი აცხადებს, რომ „დარწმუნებულია, რომ სოციალური ზემოქმედების შეფასება მომზადდა შესაბამისი შესრულების მოთხოვნების შესაბამისად“.



### c. კლიენტის პასუხი

AGL ამტკიცებს, რომ პროექტის განვითარების ადრეული ეტაპიდან იგი მზად არის უზრუნველყოს ჩართულობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, ქალებთან. AGL აცხადებს, რომ მან დაიწყო საინფორმაციო შეხვედრები სკოპინგის ფაზაში, 2011 წლის ივნისში. საველე შეხვედრები ჩატარდა შერეულ ჯგუფებთან, მათ შორის ქალ მაცხოვრებლებთან. გარდა ამისა, AGL აცხადებს, რომ 2013 წელს მან ცალკე შეხვედრები გამართა ქალებთან (აქტიური სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე) და 2016 წელს (ხეობაში ქალთა ზოგადი პრობლემებისა და სოციალური პროექტების განხილვა).

გადაწყვეტილების მიღებასა და ფულადი კომპენსაციის განაწილებაში ქალების ჩართულობის გასაძლიერებლად, AGL ამტკიცებს, რომ კომპენსაციის პროცესში იგი მიჰყვებოდა გენდერულად სენსიტიურ პროცედურებს, როგორცაა იმის უზრუნველყოფა, რომ კომპენსაციის მიმღების მეუღლეები ინფორმირებულნი იყვნენ მათი ოჯახებისთვის გადახდილი კომპენსაციების ოდენობისა და დროის შესახებ. ამრიგად, AGL-ის თანახმად, „მეუღლეები დაესწრნენ მოლაპარაკების პროცესს და ასევე, მოაწერეს ხელი მიღება-ჩაბარების აქტებს“ (კონტრაქტების მისაღებად). გარდა ამისა, AGL აცხადებს, რომ მან განახორციელა „ცნობიერების ამაღლების პროგრამების ფართო სპექტრი, რაც გამიზნული იყო ადგილობრივ ქალებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამებში მათი მონაწილეობის გაძლიერებისთვის“.

### EBRD-ის პოლიტიკა და შესრულების მოთხოვნები (PR10.11, PR 10.15, PR 10.6)

PR 10.11 ითვალისწინებს:

11. კლიენტი აცნობებს EBRD-ს, თუ როგორ წარიმართება კომუნიკაცია იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მომზადებისა და განხორციელების განმავლობაში, გათვალისწინებული საჩივრების პროცედურის (იხ. პუნქტები 24–26) ტიპის ჩათვლით. ჩართულობისა და კონსულტაციების სხვადასხვა დონე შეიძლება უფრო მართებული იყოს ზეგავლენის ქვეშ მყოფი და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. კლიენტმა უნდა შეიმუშაოს ცალკეული პროცესები მუშების ჩართულობისა და ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების ჩართულობისთვის; მუშებთან ურთიერთობა სამუშაო პირობებთან დაკავშირებით, მათ შორის სამუშაო ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და სამუშაო ადგილზე ურთიერთობა უნდა შეესაბამებოდეს მინიმუმ PR 2-ის მოთხოვნებს. იქ, სადაც დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები იდენტიფიცირებულია, როგორც დაუცველი ან მოწყვლადი, შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებული მიდგომები და რესურსების გაზრდილი დონე ამ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის, რათა მათ სრულად გააცნობიერონ ის საკითხები, რომლებიც პოტენციურად ზეგავლენას მოახდენს მათზე. კლიენტებმა, ასევე, უნდა აცნობონ EBRD-ს

ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაციის ან საკონსულტაციო აქტივობების შესახებ, რომელიც ჩატარდა სანამ EBRD-ს მიმართავდნენ დაფინანსების მიზნით.

PR 10.15 აღწერილია საკითხში 14.

PR 10.16:

16. კონსულტაციების პროცესი ჩატარდება ინკლუზიური და კულტურულად შესაბამისი გზით. კლიენტი მორგებს კონსულტაციის პროცესს ზეგავლენის ქვეშ მყოფი მხარეების ენობრივ არჩევანს, მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ნებისმიერი მოწყვლადი ან დაუცველი ჯგუფის საჭიროებებს. კონსულტაცია ასევე მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების გარდა, ნებისმიერ ჯგუფს ან ინდივიდს, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც სხვა დაინტერესებული მხარე. კონსულტაციის პროცესი იქნება დოკუმენტირებული, როგორც კლიენტის საჯარო ვალდებულების ნაწილი. კლიენტი დროულად აცნობებს მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო საჯარო კონსულტაციის პროცესში პროექტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების, მასთან დაკავშირებული გარემოს დაცვის და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების და პროექტის ნებისმიერ სარგებელის შესახებ ადგილობრივი თემებისთვის, ასევე, გააცნობს მიზეზებსა და მოსაზრებებს, რომლებზეც დაეფუძნა რომელიმე გადაწყვეტილება და საჩივრის ან ანგარიშგების არსებულ მექანიზმებსა თუ პროცესებს.

#### d. დაკვირვებები და დასკვნები

AGL-მა დანიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, როგორც ადგილობრივ თემებთან, მათ შორის, ქალთა ჯგუფებთან მთავარი საკონტაქტო პირი. 2013 წელს AGL-ის „საკვანძო თემები“ სათემო კონსულტაციებისთვის მოიცავდა ქალთა უფლებებსაც.<sup>70</sup> AGL-მა პირობა დადო, რომ მისი სოციალური ურთიერთობების ნაწილი იქნება, „ძალისხმევა, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა პროექტის აქტივობებში და დაეხმაროს ქალებს პასუხისმგებლობის აღებაში მამაკაცებთან თანაბარი პარტნიორობით. საკონსულტაციო აქტივობები ურჩევს ქალებს, რომ მათი მოსაზრებები და იდეები თანაბარი მნიშვნელობისაა და რომ მათ შეუძლიათ ცვლილებების შეტანა ადგილობრივ თემში და უფრო ფართოდ“. ESIA-ში ნათქვამია, რომ ქალებს წახალისებენ გამოიყენონ თავიანთი უნარები სამუშაოებზე, რომლებიც ადრე აღიქმებოდა როგორც „მხოლოდ მამაკაცებისთვის“.

<sup>70</sup> ESIA, § 6.5.3.2, გვ. 108.

წინასწარი კვლევის დროს, კონსულტანტებმა დაადგინეს, რომ საჭიროა დამატებითი დეტალები წარსული კონსულტაციებისა და ჩართულობის სამომავლო გეგმებისა და ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ქალებთან და დაუცველ ჯგუფებთან დაკავშირებით.<sup>71</sup> ESIA-ს (2013) მიხედვით, ეს განხილული იქნა ფოკუს-ჯგუფების ორგანიზების გზით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხუთი თემის ქალებთან და დაფიქსირდა პროექტთან დაკავშირებული შემფოთება, რომელიც გამოხატული იყო მონაწილეთა მიერ. შეხვედრები და წამოჭრილი საკითხები აღნიშნულია ESIA-ში.<sup>72</sup>

ESMP მოიცავს დიფერენცირებულ ზომებს ქალების დასაცავად.<sup>73</sup> LALRP-ში ნათქვამია, რომ „ქალის ხელმძღვანელობით მომუშავე შინამეურნეობები განსაკუთრებით დაუცველია სოფლად, რადგან ქალები ახორციელებენ ფერმის სამუშაოების დიდ ნაწილს და გადამუშავების სამუშაოებს და შეიძლება დაექვემდებარონ დამატებით ზეწოლას, თუ ოჯახის მამრობითი სქესის წევრები სამუშაოს საძიებლად მიგრირებენ“.<sup>74</sup> LALRP ითვალისწინებს, რომ დოკუმენტაცია ან საკუთრება და კომპენსაცია უნდა გაიცეს ორივე მეუღლის ან ოჯახის უფროსების სახელზე და რომ „[1]და შექმნის აქტივობები ჩაფიქრებულია და განხორციელდება, როგორც მდგრადი განვითარების პროგრამები და უზრუნველყოფილი იქნება საკმარისი საინვესტიციო რესურსები, რათა შესაძლებელი გახდეს ხალხმა გაიზიაროს პროექტის სარგებელი. განსაკუთრებული მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება ქალებისათვის, ღარიბი და ყველაზე დაუცველი ადამიანებისათვის“. როგორც ზემოთ აღნიშნა, AGL აცხადებს, რომ იგი უზრუნველყოფდა მეუღლეების დასწრებას მოლაპარაკების პროცესში და მათ ასევე მოაწერეს ხელი კომპენსაციასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტებს.

#### e. დასკვნა

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი ასკვნის, რომ ბანკმა დაადასტურა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებს კონსულტაციები გაუწიეს სათანადო გზით, მათი მოწყვლადი/დაუცველი სტატუსის გათვალისწინებით და ისე, რომ პროცესი იყო ინკლუზიური და კულტურულად შესაბამისი.

### 9. შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები და რეკომენდაციები

<sup>71</sup> გარემოს დაცვის და სოციალური წინასწარი კვლევის ანგარიში (ESDD), 2013 წლის 9 აგვისტო.

<sup>72</sup> ESIA, ცხრილი 6.7, გვ. 109-110.

<sup>73</sup> ESMP, ცხრილი 3.1 (გეგმები, პოლიტიკა და პროცედურები), გვ. 29 („სპეციალური ზომები ეთნიკურ და ქალთა შორის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის“), § 4.2.3.2, გვ. 60 (მოუწოდებს კომუნიკაციების ოფიცერს, მოაწიოს შეხვედრები ადგილობრივ ქალთა ჯგუფებთან).

<sup>74</sup> LALRP, § 2.9, გვ. 19

**დასკვნები.** როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკმა არ შეასრულა ESP ოთხ შემთხვევაში:

- ბანკმა არ შეასრულა PR 1, რადგან ESIA და მასთან დაკავშირებული პროექტის დოკუმენტაცია მკაფიოდ და თანმიმდევრულად არ განსაზღვრავს პროექტის ზეგავლენის არეალს.
- ბანკმა არ შეასრულა PR 4, რადგან ბანკმა არ უზრუნველყო, რომ შექმნილიყო ვრცელი ტესტირების პროგრამა გვირაბების გათხრების დროს, მათ შორის, ტესტები ქანების მდგრადობის საკითხებთან და ქანების ქცევასთან დაკავშირებით წყალთან მუდმივი კონტაქტის დროს, გვირაბის ჩამონგრევის რისკის საკმარისად შერბილების მიზნით.
- ბანკმა არ შეასრულა PR 4.16, რადგან არ მიიღო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ AGL-ს თავიდან აეცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ წყლის რესურსებზე, მათ შორის, წყაროს წყლის შესახებ საბაზისო მონაცემების დადგენის და დასკვნების დადასტურების ღონისძიებები.
- ბანკმა არ შეასრულა PR 6, რადგან ბანკის, AGL-ის მიერ BAP-ის განხორციელების მონიტორინგი მუდმივად და თანმიმდევრულად არ უზრუნველყოფდა, რომ პროექტს მიეღწია ბიომრავალფეროვნების ნულოვანი დანაკარგისთვის.

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტმა დაასკვნა, რომ ბანკი სხვა შემთხვევაში ასრულებდა ESP-ს.

**რეკომენდაციები.** PCM-ის პროცედურული წესების 44-ე პუნქტის შესაბამისად -

44. თუ შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი დაასკვნის, რომ ბანკი არ ასრულებდა EBRD-ის შესაბამის პოლიტიკას, შესაბამისობის განხილვის ექსპერტი გამოსცემს შესაბამისობის განხილვის ანგარიშს, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს:

ა) მოხდეს რეაგირება EBRD-ის სისტემების ან პროცედურების დონეზე შეუსაბამობის დასკვნებზე, EBRD-ის შესაბამის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ასეთი ან მსგავსი შემთხვევების განმეორება და/ან

ბ) მოხდეს რეაგირება შეუსაბამობის დასკვნებზე პროექტის განხორციელების ფარგლებში, ბანკის ან კლიენტის წინასწარი ვალდებულებების გათვალისწინებით პროექტთან დაკავშირებით

გ) განხორციელდეს მონიტორინგი და ანგარიშგება ნებისმიერი რეკომენდებული ცვლილების შესახებ.

შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტი გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს:

**რეკომენდაციები EBRD-ის სისტემების ან პროცედურების დონეზე**

1. PR 1-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კონკრეტულად პროექტის გავლენის ზონის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის სპონსორებს და ბანკს ჰქონდეთ შეთანხმებული, ერთიანი და მკაფიო სურათი პროექტის გავლენის ზონასთან დაკავშირებით, მათ შორის, ცვლილებებთან დაკავშირებით გავლენის არეალში, განსაკუთრებით პროექტებში, რომლებსაც აქვთ საგარეო გავლენა ეკოლოგიაზე. ეს გულისხმობს, რომ პროექტის დოკუმენტები თანმიმდევრულად უნდა ადგენდნენ გავლენის არეალს, როგორც ბანკის შიგნით, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისას, და რომ პროექტის მასშტაბის ცვლილებები ეფექტურად უნდა ეცნობებოდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებს. ამავდროულად, ბანკმა უნდა აღიაროს და წახალისოს პროექტის მომხრეები ინფორმაციის გავრცელებაში, რომ მოცემულმა პროექტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვადასხვა თემებზე (და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებზე) სხვადასხვა გზით, და ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემის წევრებს, განსაკუთრებით დაუცველ წევრებს, ჰქონდეთ ადეკვატური შესაძლებლობა გაეცნონ პროექტის პოტენციურ ზემოქმედებას და მიაწოდონ ინფორმაცია ბანკსა და პროექტის სპონსორებს.
2. PR 4-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა იზრუნოს, რომ იმ სიტუაციებში, როდესაც დამოუკიდებელი ტექნიკური ექსპერტები დაადგენენ შემდგომი ტესტირების აუცილებლობას რისკების სამართავად პროექტის სტრუქტურული ელემენტების ან კომპონენტების მშენებლობასთან, ექსპლუატაციასთან ან დეკომისაციასთან დაკავშირებით, ბანკის მენეჯმენტი დაუკავშირდეს პროექტის სპონსორს, რათა დაადასტუროს, რომ რეკომენდირებული ტესტირება ჩატარდა განსაზღვრულ ვადებში და რომ ტესტების შედეგები დოკუმენტირებულია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და მას მოჰყვა შესაბამისი რეაგირება.
3. PR 4.16-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა იზრუნოს, რომ საბაზისო კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ პროექტის მშენებლობამდე და რომ ბუნებრივ რესურსებზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემდგომი მიმოხილვა არ შემოიფარგლოს დოკუმენტების ანალიზით.
4. PR 6.8-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა იმოქმედოს სწრაფად და მტკიცედ, თუ ბანკის მხრიდან კლიენტის მიერ პროექტის BAP-ის განხორციელების მონიტორინგი ვერ ადასტურებს, რომ პროექტი მიაღწევს ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს. ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტებმა პრიორიტეტად მიიჩნიონ BAP-ის განხორციელება ისე, რომ ბანკს შეეძლება ის დაადასტუროს

განსაზღვრულ ვადებში, რასაც კონკრეტული შედეგები მოჰყვება შეუსრულებლობის შემთხვევაში.

### **პროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციები**

1. პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა ითანამშრომლოს AGL-თან, რათა შედგეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საბოლოო სია, რომელიც მოიცავს იმასაც, თუ როგორ მოქმედებს პროექტი თითოეულ ასეთ თემზე. ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისგან, მათ შორის, ქალებისა და ამ თემის სხვა მოწყვლადი წევრებისაგან უკუკავშირის მიღებას.
2. პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა უზრუნველყოს საჯარო წვდომა გეოლოგიური ტესტირების შედეგებზე (კანონით დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე), მათ შორის, შლაკების გამძლეობის ტესტების ჩათვლით და და AGL-ის მიერ განხორციელებული ქმედებების დოკუმენტირება ასეთი ტესტების შედეგებზე რეაგირებისათვის.
3. პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან საფუძვლიანი ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვის ორგანიზებისათვის (ან არსებული მიმოხილვების გასაძლიერებლად), რომელიც მოიცავს ისტორიული ინფორმაციის შეგროვებას წყლის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ, ასევე, ვარაუდისა და დასკვნების სათანადო დადასტურებას ფიზიკურ ანალიზზე დაყრდნობით და არ შემოიფარგლება დოკუმენტების ანალიზით.
4. პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა ჩამოაყალიბოს პროტოკოლი ბიომრავალფეროვნების სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშგების, მათ შორის, ვადებისა და შინაარსის მოთხოვნების ჩათვლით, რაც საშუალებას მისცემს AGL-ს, ბანკს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაადგინონ პროექტის ყველა ფაზის განმავლობაში. პროექტი აღწევს თუ არა, ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს